საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

4417

აკად. ნ. მარის სახელობის

აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

შრომები

ТРУДЫ

АБХАЗСКОГО НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКОГО ИНСТИТУТА им. акад. Н. Я. МАРРА

т. 23 32

XXIII

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

სუხუმი 1949 СУХУМИ



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. ნ. მარის სახელობის
აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

შრომები

ТРУДЫ

АБХАЗСКОГО НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКОГО
ИНСТИТУТА им. акад. Н. Я. МАРРА

Ч 808

XXIII



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

სუხუმი 1949 СУХУМИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო — საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით.

*Напечатано по постановлению РИСО Академии
Наук Грузинской ССР.*

რედაქტორი პ. რატიანი

Редактор П. К. Ратиани

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.X. 11/III 1950
საბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11,5 საავტ. 15,25
ზომა 7×11 ქალ. ს. 84×60 სმ
შეკვ. № 5384; უე 00072.
ტირაჟი 1000.

ქ. სუხუმი, აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 4.

შინაარსი — СОДЕРЖАНИЕ

გვ. — стр.

1. ა. კობახიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. აკად. ნ. მარი — გენიალური საბჭოთა მეცნიერი 5

А. Г. Кобахидзе, кандидат филологических наук. Академик Н. Я. Марр — гениальный советский ученый

2. შ. მესხია, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. აკადემიკოსი ს. ჯანაშია და ქართული ისტორიული მეცნიერება 17

Ш. А. Месхиа, кандидат исторических наук. Академик С. Н. Джанашиа и грузинская историческая наука

3. Х. С. Бгажба, кандидат филологических наук. Георгий Шарвашидзе — видный представитель грузинской культуры 31

ხ. ბღაჟბა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. გიორგი შარვაშიძე — ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი

4. დოც. ი. ანთელავა. საქმე თავად ბაგრატიონების მიერ საქართველოში მამულის ძიების შესახებ 43

Доц. И. Г. Антелава. Дело об отыскании князьями Багратионами имения в Грузии

5. Ш. Д. Инал-Ипа, кандидат исторических наук. Об абхазских нартских сказаниях 81

შ. ინალ-იფა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. აფხაზური ნართული თქმულებების შესახებ

6. Г. А. Дзидзария, кандидат исторических наук. Соломон Званба (Биографическо-библиографический очерк) 124

გ. ძიძარია, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. სოლომონ ზვანბა (ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ნარკვევი)

7. დ. წიკლაური, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ჰავრილის ტიპის ჰიდროკომპრესორის მუშაობის თეორიული საფუძვლები 148

Д. С. Циклаури, кандидат технических наук. Теоретические основания работы гидрокомпрессора струйного типа

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — Критика и библиография

8. К. В. Ломтатидзе, доктор филологических наук. Некоторые замечания на работы проф. Г. П. Сердюченко по абазинскому языку 165

ქ. ლომთათიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. ზოგიერთი შენიშვნა პროფ. ნ. სერდიუჩენკოს შრომებზე აბაზური ენის შესახებ

9. ხ. ბღაჟბა. ახალი წიგნი აფხაზეთის სახალხო პოეტზე . . . 179

Х. С. Бгажба. Новая книга о народном поэте Абхазии

ქრონიკა — Хроника

ახალი არქეოლოგიური გათხრების შესახებ (სოფ. აბღარხუქი, გუდაუთის რაიონი) 183

О новых археологических раскопках (в сел. Абгархук, Гудаутского района)

ალ. კობახიძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

აკად. ნ. მარი — გენიალური საბჭოთა მეცნიერი

ოთხმოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქ. ქუთაისში დაიბადა საბჭოთა მოწინავე ენათმეცნიერების ფუძემდებელი, გენიალური მეცნიერი აკადემიკოსი ნიკოლოზ იაკობის-ძე მარი.

— „მთელი ჩემი ბავშვობა, — წერს იგი თავის „ავტობიოგრაფიაში", — ქართველებს შორის გავატარე. ბავშვობიდანვე ქალ. ოზურგეთში, ქართველი ფეოდალების ღარიბი შთამომავლის ოჯახში გადავსახლდით. მაგონდება შეხვედრები ქართველ მსახიობებთან და მგოსნებთან, როგორც ადგილობრივ, ისე ჩამოსულ უკვე სახელმოხვეჭილებთან და ურთიერთობა მოსამსახურეებთან — მეჯინიბეებთან და ბაზიერებთან. ყოველ საღამოს, დაძინების წინ, ქართველი გოგონა მიყვებოდა სულ ახალ-ახალ, მომხიბლავ ქართულ ზღაპრებს... მშობლიურ ენად მე მიმაჩნია ქართული, უფრო კი, გურული კილოკავი. პირველი წერა-კითხვა მე ვისწავლე ქართულ ენაზე" *).

1874 წელს, დედამისის (მაღულარიას) მეცადინეობით, ნ. მარი მიღებულ იქნა ქუთაისის გიმნაზიაში. იგი წარმატებით ითვისებს ძველ ენებს: ბერძნულსა და ლათინურს; კარგად ეუფლება ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურსა და იტალიურს. სცემს ჟურნალს, გართულია ტოპონიმიკით, თარგმნის ქართულად (ჰაინეს) და წერს ორიგინალურ ლექსებს, მათ შორის რომანტიკულთან ერთად — ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის ქართულ ლექსებს მოწოდებით: „სჯობს ხელში იარაღის აღება, გაუთავებელი ჭიკ-ჭიკის მაგივრად" (ალექსანდრე მეორის მოკვლის გამო). ჯერ ისახავს მიზნად ნატურალისტ-ექიმად გახდომას, შემდეგ კი ქართული ფილოლოგიის შესწავლას **).

1884 წ. ნ. მარმა დაასრულა გიმნაზია ოქროს მედლით და ამავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ გიმნაზიის უფროს კლასებში მან გამოიჩინა განსაკუთრებული ლინგვისტიკური ნიჭი. „ჯერ კიდევ მაშინ, — წერს იგი, — მე დავისახე მიზნად გავარკვიო ქართული ენის წარმოშობა" ***).

1888 წ. სტუდენტობის დროს, მან გამოაქვეყნა თავისი პირველი წერილი გაზეთ „ივერიაში". — სათაურით: „ბუნება და თვისება ქართულის ენისა" ****).

---

*) **Н. Я. Марр. Избранные работы.** ტ. 1, გვ. 6. შემდეგ მითითება ნ. მარის რჩეულ შრომებზე მოცემულია გვარის აღუნიშნავად.

) **ИР, ტ. 1, გვ. 269—270.

***) იქვე, გვ. 9.

****) „ივერია", 1888 წ. № 86.

ასე წარმოიშვა პირველი გაფორმება მისი შრომისა — „О родстве грузинского с семитическими языками".

იგონებს რა ამ პირველ წერილს, ნიკო მარი მას „მეცნიერული აპარატით ბრძოლაში პირველ გამოწვევას" უწოდებს. ბრძოლაში კი იგი იწვევდა თავის ხელმძღვანელებს უნივერსიტეტში, რომლებიც ქართულს იზოლირებულად განიხილავდნენ. ქართული ენა, მათი აზრით, მიეკუთვნებოდა სრულებით დამოუკიდებელ ენათა ჯგუფს, მაგრამ, სახელდობრ, რომელ ჯგუფს, ამის ახსნას არ კისრულობდნენ. ეს მისია თავის თავზე ნ. მარმა აიღო. ის ჯერ კიდევ მიმდევარი იყო ქართული ენის ამ განმხოლოების თეორიისა, მაგრამ უკვე სტუდენტის ამ პირველ წერილში ჩანასახის სახით არსებობდა ის ელემენტები, რომლებიც შემდგომ, აკადემიკოსის ხელში, მწყობრ მეცნიერულ სისტემად უნდა ჩამოყალიბებულიყო.

1908 წ. გამოვიდა მისი შრომა: **„Предварительное сообщение о родстве грузинского с семитическими"**, რომელიც ქართულ-სემიტური თეორიის დასაბუთებას წარმოადგენს. ეს წერილი არის შესავალი მისივე შრომისა **„Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка"** და ამავე დროს ზმნების სტრუქტურის ფუძეთა გაშიფრვის პირველი ცდა ქართულში *).

ნ. მარის ადრინდელი შრომები მიძღვნილია ისტორიის, ლიტერატურისა და საშუალო საუკუნეების ქართული და სომხური ენებისადმი. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი აწარმოებდა ანისის გათხრებს. ერთსადაიმავე დროს იგი იყო ისტორიკოსი და ხელოვნების მცოდნე, ძველი საქართველოსა და სომხეთის ხალხთა მსოფლმხედველობის მკვლევარი, მაგრამ იგი არასდროს არ ყოფილა კარჩაკეტილი „წმინდა" მეცნიერების მოძრე.

1905 წლის რევოლუციის დროს ნიკო მარი გურიაშია. იქიდან ათავსებს გაზეთ „Рассвет"-ში სტატიებს სათაურით: „წერილები კავკასიის ახალგაზრდობის მიმართ", სადაც ნათქვამია — ხელისუფლება ხალხის ხელში უნდა იყოსო. იგი იძლევა ცნობებს გურიის რევოლუციური ამბების ირგვლივ და წერს ერთი მიტინგის შესახებ თავის შთაბეჭდილებას: მიტინგზე შეკამათებულან მენშევიკი და ბოლშევიკი. „ბოლშევიკი, — წერს ნ. მარი, — არ ჰკარგავდა სიმშვიდეს და კვალდაკვალ ცდილობდა თავის ოპონენტების დამარცხებას". კამათი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარ განხეთქილებას შეეხებოდა. ნ. მარის სიმპათია სავსებით ბოლშევიკის მხარეზეა.

1909 წ. მას ირჩევენ ადიუნქტად მეცნიერებათა აკადემიაში, ნამდვილ წევრად კი არჩეულ იქნა 1912 წელს. იგი აძლიერებს მუშაობას ახალ კადრებთან თავის სპეციალობაში. აკადემიის პირველ სხდომაზე წარადგინა დასაბეჭდად ილია ჭყონიას შრომა: „სიტყვის-კონა. საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები".

1909 წ. ნ. მარი მოგზაურობს თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწა-წყალზე ლაზისტანში. სწავლობს ჭანურს (ლაზურს).

ადგილობრივ მეცნიერთა მეთოხებით და თავის მოწაფეთა დახმარებით სწავლობს კავკასიურ ცოცხალ ენებს.

1911 წელს ნ. მარი პირველად მოგზაურობს სვანეთში.

*) ИР, ტ. 1, გვ. 9—10.

1912 წელს მიემგზავრება აფხაზეთში და ადგენს მომავალი მუშაობის გეგმას. მოუპოვებს სვანურს, აფხაზურსა და მეგრულ ენებს უფლებას შეტანილ იქნენ იმ ენათა წრეში, რომელნიც უნივერსიტეტში ისწავლებიან. ბეჭდავს „იაფეტური ენათმეცნიერების მასალებში“ („Материалы по яфетическому языкознанию“) თვითნასწავლ-აფხაზის პ. გ. ჭარაიას შრომას: **„Об отношении абхазского языка к яфетическим“.**

1914-1916 წლებში ნ. მარი განაგრძობს უფრო ღრმად სვანურისა და აფხაზურის შესწავლას, აღგენს აფხაზურ ანბანს და კრებს აფხაზეთის ეთნოგრაფიულსა და ფოლკლორულ მასალებს, ექსპედიციებს აწყობს ეთნოგრაფიულ რეგიონებში, აგალებს მათ დასახული პრობლემების დამუშავებას.

ნ. მარის სიტყვები „ოქტომბრის რევოლუციამ გაანთავისუფლა... სწავლულნი, რომელნიც ბრმა იდეალიზმის ტყვეობაში იმყოფებოდნენ“, ზედგამოჭრილია თვით აკადემიკოს მარზე. სწორედ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნ. მარმა ფართოდ გაშალა თავისი მრავალმხრივი ნიჭი მეცნიერის, პედაგოგის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწისა. მისი შრომები: **„Родная речь — могучий рычаг культурного подъема“ (1930), „Языковая политика яфетической теории и удмуртский язык“ (1931)** და აგრეთვე ამ პერიოდის მრავალი სხვა მისი გამოკვლევა, მოწმობენ ნ. მარის უდიდეს ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა კავშირის ლენინურ-სტალინური ნაციონალური და ენობრივი პოლიტიკის თანმიმდევრობით ცხოვრებაში განხორციელების საქმეში.

ნ. მარი პოლიგლოტი იყო. აკადემიაში არჩევის დროს მან 30-მდე ენა იცოდა. მას 80 ენის მასალა აქვს განხილული. ბევრი შრომა ნ. მარს დაუბეჭდავი დარჩა. მისი ხელნაწერი ლექციები, მოხსენებები და სხვ. საბუთები — 3.000 ერთეულს შეადგენს. მის ნაბეჭდ შრომათა რიცხვი 700-ს აღემატება. მის არქივს შეადგენს თვით ნ. მარის ხელით გადაღებული მდიდარი ფოტოტეკა. 10 ათასი წერილი და სხვ.

ენათმეცნიერული პრობლემების გარკვევის მიზნით, ნ. მარს ხშირად უხდებოდა გამგზავრება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მეცნიერულ ექსპედიციებში, აგრეთვე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში.

„ჩემი შემოქმედებითი ენათმეცნიერული აზრები, — წერდა ნ. მარი, — არ წარმოადგენენ კაბინეტური მუშაობის შედეგს. ისინი ისახებოდნენ და ფორმდებოდნენ ხალხთან და ბუნებასთან ურთიერთობის დროს, ქუჩებში, სათარდულოებში, უდაბნოებში, ზღვებზე, მთებში და ველებზე, მდინარეებთან და წყაროებთან, ან ვაგონში, მაგრამ კაბინეტში კი არა“.

ნ. მარი ვერ იტანდა ცრუმეცნიერთ. „ფლირტი მეცნიერებასთან არ შეიძლება“-ო, — ამბობდა იგი. მიმართავდა რა ამ მოთხოვნით სხვას, მთელი სიმკაცრით სთხოვდა თავის თავსაც მის შესრულებას. ნ. მარი იყო ზუსტი, პუნქტუალური და ზედმიწევნით კეთილსინდისიერი ყოველგვარი დავალების შესრულებაში, რასაც მას დააკისრებდა ხოლმე პარტია და საბჭოთა მთავრობა. მისი ინიციატივით საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ დააარსა (1921) ლენინგრადში სპეციალური იაფეტური ინსტიტუტი“, რომელსაც 1931 წელს გადაერქვა „ენისა და აზროვნების ინსტიტუტი“. ეს ინსტიტუტი ამჟამად აკადემიკოს ნ. მარის სახელს ატარებს.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, დირექტორი მეცნიერებათა აკადემიის ორი ინსტიტუტისა. იგი უწევდა ხელმძღვანელობას

აკადემიის ვეებერთელა დარგებს, მათ შორის მთელ საგეგმო-საორგანიზაციო საქმეს. გარდა ამისა, იგი 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობას უწევდა საბჭოთა არქეოლოგიას და უცვლელად თავმჯდომარეობდა მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიას.

ნ. მარი იყო სსრკ ცაკის მოსკოვის ეროვნებათა ინსტიტუტის დირექტორად და ამავე დროს კითხულობდა ლექციებს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში; მონაწილეობას იღებდა (ბელორუსიისა და კომუნისტური აკადემიის მუშაობაში, შედიოდა რსფსრ განსახკომის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში, აგრეთვე საკავშირო ცაკის აღმასკომთან არსებულ ძეგლების დამცველ კომისიაში.

ამასთან ერთად, იგი ხალისით ასრულებდა მრავალგვარ საპასუხისმგებლო პარტიულსა და საზოგადოებრივ მუშაობას. ნ. მარი იყო საკავშირო ცაკის წევრი, ლენინგრადის საბჭოს წევრი, მეცნიერ მუშაკთა ცენტრალური საბჭოს სექციის წევრი და სხვ.

საკ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით 1933 წ. 1 დეკემბერს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებდა ნ. მარის მეცნიერულ მოღვაწეობას. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით.

1930 წელს. ნ. მარი მიღებული იქნა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე აკად. ნ. მარი დაუღალავად შრომობდა საბჭოთა მეცნიერების აყვავებისათვის, როგორც ნამდვილი ბოლშევიკი.

1934 წ. 20 დეკემბერს ნ. მარი გარდაიცვალა. ლენინგრადის კომუნისტურ სასაფლაოზე ნ. მარის ძეგლზე ამოკვეთილია მარისავე სიტყვები:

„როდესაც ადამიანი კვდება ინდივიდუალურად, სომატური სიკვდილით, იგი არ კვდება საზოგადოებრივად... ის ცოცხლობს მათში, ვინც დარჩა ცოცხალი, თუ იგი ცხოვრობდა სიცოცხლეში და არ იყო მკვდარი. ცოცხალი კოლექტივი აცოცხლებს მკვდრებს".

ნ. მარის ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ამტკიცებს მთელი მისი სიცოცხლე.

* * *

საბჭოთა ენათმეცნიერების წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული აკად. ნ. მარის სახელთან. მან შექმნა ბურჟუაზიული ლინგვისტიკისადმი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მეცნიერული სისტემა. აკად. ნ. მარის მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ენათმეცნიერებაში გამოიყენა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პრინციპები.

„ახალი ენათმეცნიერების თეორიის მეთოდი, — ამბობს ნ. მარი, — არის ერთადერთი მარქსისტულ-ლენინური მეთოდი" *). ენის შესახებ ახალი მოძღვრება თანმიმდევრობითსა და გადამწყვეტ ბრძოლას ეწევა რასული თეორიისა და უცხოეთის წინაშე ქედმოხრის წინააღმდეგ, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ნამდვილი რევოლუციური მეცნიერებისათვის, დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის აყვავებისა და აღმავლობისათვის.

*) ИР, ტ. 2, გვ. 442.

აკადემიკოსმა ნ. მარმა უარყო საზღვარგარეთ გავრცელებული ენათმეცნიერების ძირითადი საფუძვლები და შექმნა ახალი მატერიალისტური მოძღვრება ენის შესახებ, რომელიც ორგანული ნაწილია სოციალისტური საზოგადოების იდეოლოგიისა.

ენის ახალი მოძღვრებისადმი უდიდეს ინტერესს იჩენენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რაც მოწმობს აკადემიკოს მარის მოძღვრების დიდ პროგრესულ როლს.

ნ. მარმა გააღრმავა და გააფართოვა კავკასიის შესწავლის არე, მისი ხალხებისა და ენების შესწავლა. მან შექმნა განსაკუთრებული დისციპლინა მის მიერ წოდებული ქართულ-სომხურ, შემდეგ კი კავკასიის ფილოლოგიად და ჩაუყარა საფუძვლები მეცნიერულ კავკასიისმცოდნეობას.

განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ნ. მარს ქართველთმცოდნეობის წინაშე. „ქართველთმცოდნეობა მისი მეოხებით ,— წერს პროფ. კ. დონდუა, — გადაიქცა ნამდვილ მეცნიერულ დისციპლინად" *).

ნ. მარი მაღლა აყენებდა ქართული ენის თვისებებს. „ქართული ენით,— წერდა იგი, — ყველაფერი გამოითქმება, რაც დედა-მიწაზე შეიძლება გამოითქვას... მეტად ცოცხალი ქართული ენა უფრო ხორცს ასხამს ყოველ აზრს... ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია" **).

ქართულ ენას ნ. მარმა უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა მეცნიერებაში. „ქართულს და მის მონათესავე ენებს, — ამბობდა იგი, — ჩემთვის ყოველ ეჭვს გარეშეა, ფრიადი პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოელის მეცნიერებაში" ***). ეს აზრი კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქვა ნ. მარმა ერთ თავის ლექციაში, რომელიც მან საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა ****).

ნ. მარი სწავლობს, როგორც უმწერლობო, ისე დამწერლობის მქონე კავკასიის ხალხთა ენებს. ამასთან ენების შესწავლას იგი ახდენს ისტორიასა, ლიტერატურასა და ფოლკლორთან, განსაკუთრებით კი მატერიალურ კულტურასთან დაკავშირებით, ენობრივი ფაქტების საზოგადოებრივ-ეკონომიურ ნიადაგზე ახსნით. ამის მიხედვით სრულებით ახალი გზით განიხილავს იგი კავკასიის ხალხთა წერილობითს წყაროებსაც. ცოცხალი ენების შესწავლა, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა დამწერლობა ამ ენებს, აგრეთვე თანამედროვე დიალექტებისა და კილოკავების შესწავლა, ეხმარება ნ. მარს ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის ჭეშმარიტ გამოაშკარავებაში. მისი აზრით, ენის შესწავლა საწარმოო დამოკიდებულებისაგან მოწყვეტით მეცნიერებას ჩიხში აყენებს და ქმნის მას დილეტანტების მითქმა-მოთქმაზე აგებულ ფანტაზიად.

ნ. მარი მიუთითებს, რომ არაა საკმარისი ფაქტებისა და მასალების შეკრება, საჭიროა უნარი მათი სწორად გაშუქებისათვის; მათი გაშუქების დროს საჭიროა გამოსვლა არა წინასწარ შემუშავებული დებულებებიდან, არამედ

---

*) **К. Д. Довдуа**. Н. Я. Марр и грузиноведение. Язык и мышление. VIII, გვ. 59.

) **Н. Марр. Пособие для изучения живого грузинского языка. გამ. 1, Л., 1926, გვ. 57.

***) ნ. **მარი**. ქართული ენათმეცნიერებაში. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1937, გვ. 322.

****) აკად. ნ. მარი. რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში. საქართველოს სამეცნიერო აკადემია. ენათმეცნიერების სექცია. თბილისი, 1930, გვ. 9, 11—12.

თვით მასალებიდან. „ჭეშმარიტება, — ამბობს ნ. მარი, — მეცნიერიდან კი არ გამოიკვლება, არამედ მასალებიდან“ *).

აფართოებს რა კავკასიის ენათა შესწავლის წრეს, იგი პოულობს იაფეტურ ენას პამირზე (ვერშიკული ენა). ეს სრულიად მოულოდნელი იყო. ვერშიკული ენის შესწავლამ გამოიწვია ოსური ენის შესწავლაც.

1917-1919 წ. წ. შესასწავლი საკითხების წრეს ნ. მარი უმატებს ბასკურსა და ეტრუსკულ ენებს. ამ ხანას ეკუთვნის მისი კავკასიის კულტურის ისტორიის ნარკვევები.

ენის ახალი მოძღვრების ძირითადი საფეხურების განხილვის დროს ვხედავთ, რომ ნ. მარი — ქართველოლოგი და კავკასიისმცოდნე, გამოდის კავკასიის ენების შესწავლის საზღვრებიდან, ამყარებს გენეტიკურ კავშირს იაფეტურსა და არაიაფეტურ ენათა შორის, ამთავრებს ამ ეტაპის მუშაობას ნარკვევით: **„Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании Средиземноморской культуры“** (1920, 1923) და მიეყავართ ახალი ეტაპის დასაწყისთან. ესაა მოძღვრება ხმელთაშუაზღვის მოსახლეობათა წინაისტორიულ სუბსტრატზე, რომელიც ახალი მოძღვრების წინა საფეხურია ენის, აზროვნებისა და მატერიალური კულტურის შესახებ.

დაადგინა რა ახალი დებულება იმის შესახებ, რომ ინდოევროპული ენები წარმოადგენენ მხოლოდ საფეხურს იაფეტური ენებისას, აკად. ნ. მარი (1923-1926) აგროვებს სულ ახალ-ახალ მასალებს ყველაზე უფრო უცნობ ენებში, ამზადებს გამოსაცემად აფხაზურ ლექსიკონს, განაგრძობს მუშაობას კავკასიის ძველ დამწერლობიან ენებში, დაუცხრომლად მუშაობს ენის მონაცემებისა და მატერიალური კულტურის საკითხების შესათანხმებლად.

ნ. მარი უარყოფს რასული ენებისა და კულტურების თეორიას და აგრეთვე მატერიალური კულტურის ძეგლების გარეგნული მსგავსების მიხედვით ახსნის მეთოდს.

იგი მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის დროს მთავარ ყურადღებას აქცევს მოცემული საგნის საზოგადოებრივ ფუნქციას სათანადო საზოგადოებრივ წრეში და საკითხებს აშუქებს პალეონტოლოგიური სემანტიკის გზით. ენის ახალი მოძღვრების უდიდეს მონაპოვარს მეტყველების პალეონტოლოგია წარმოადგენს. ნ. მარმა შესძლო წინაინდოევროპეისტული ელემენტების დადგენა ხმელთაშუაზღვის კულტურაში, შეიარაღდა რა მარქსისტული მეთოდოლოგიით. ნ. მარი სრულებით წყვეტს კავშირს ტრადიციულ ენათმეცნიერებასთან. „ინდოევროპეისტული ლინგვისტიკა დრომოჭმული ბურჟუაზიული საზოგადოებრიობის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია. იგი აგებულია ევროპული ხალხების მიერ აღმოსავლეთის ხალხთა ჩაგვრაზე, მათი მომაკვდინებელი კოლონიური პოლიტიკის საშუალებით“ **).

ამ გაბედულმა და ამკარა გამოძახილმა გამოიწვია პროფ. პოლივანოვის ტიპის ლინგვისტების, მათი მიმდევარი „იაზიკოფრონტელებისა“ და საერთოდ სხვა იდეალისტ-რეაქციონერთა ღვარძლიანი კრიტიკა.

აკად. ნ. მარმა ჯერ კიდევ 1924 წელს თქვა: „ბრძოლა აუცილებელია არა მარტო მეცნიერული მეთოდებისა და თეორიული დებულებების

*) ИР, ტ. 1, გვ. 121.
**) ИР, ტ. 1, გვ. 1.

ფრონტზე, არამედ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემების ფრონტზედაც" *).

იგი მოუწოდებდა ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტობას შეუპოვრად ებრძოლონ ყოველგვარ რეაქციულ-იდეალისტურ გამოვლინებას მეცნიერებაში. „არც ლაჩრული უკან დახევა, არც შემთანხმებლური მორიგება" — ამბობდა აკადემიკოსი ნ. მარი **).

ნ. მარის მოძღვრება ვერ გაიგო მეცნიერთა ერთმა ნაწილმა. ამის მიზეზს თვით ნ. მარი ასე ხსნის: „სხვა საზოგადოებრივი სამყაროს ადამიანებს არ შეუძლიათ ადვილად, ზედმიწევნით სწორად და სავსებით შეითვისოს ჩვენი იდეები. სინამდვილეში ჩემთვის ისე ცხადი გახდა, როგორც მიკროსკოპში, რომ ყოველი თეორიული მოძღვრება, ენის მოძღვრებაც კი, არის ღვიძლი შვილი განსაკუთრებული საზოგადოებრიობისა" ***). „ბრძოლა... ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან არც ისე იოლი და უბრალო საქმეა", — თქვა ნ. მარმა 1931 წ. 26 ივნისს, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო სესიაზე.

ამ სესიაზე ნ. მარი გამოვიდა საინტერესო მოხსენებით ფრიად აქტუალურ თემაზე: „Язык и мышление". მოუწოდა რა მსმენელთ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მიმართ შეუპოვარი ბრძოლისაკენ, მან შემდეგი განაცხადა: „Нужно ли напомнить следующие слова В. И. Ленина из статьи „Наука массам": „Мы должны понять, что без солидного философского обоснования никакие естественные науки, никакой материализм не может выдержать борьбы против натиска буржуазных идей и восстановления буржуазного мировоззрения" ****).

აკადემიკოსი ნ. მარი მოუწოდებდა მეცნიერებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ღრმად და ყოველმხრივად შესწავლისაკენ. „უფრო მეტი კონკრეტულობა, უფრო ნაკლები ბურუსი ზოგადი მსჯელობებისა", — თქვა მან ხსენებულ სესიაზე.

შესწავლილი ფაქტების ძალით აკად. ნ. მარი სისტემატურად და განუხრელად ამხელდა ბურჟუაზიულ ენათმეცნიერთათვის ჩვეულ მსოფლმხედველობას.

მე-16 პარტიულ ყრილობაზე ნ. მარი მისალმებით გამოვიდა დელეგატების წინაშე და სრული სიცხადით დაახასიათა თავისი მეცნიერული სახე, თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ნ. მარმა თქვა: „ოქტომბრის პირველ დღეებიდანვე მე შეძლებისდაგვარად მხარში ამოვუდექი ამხანაგ კომუნისტებს და უპარტიო ნაწრთობ ამხანაგებთან ერთად, ვეხმარებოდი თავისი გაქანებით უმაგალითო რევოლუციური, მეცნიერულ-კულტურული მშენებლობის საქმეს.

მივხვდი რა აპოლიტიკურობის ფიქციას, ბუნებრივია, უკუვაგდე იგი... მე მტკიცედ ვდგავარ მეცნიერულ-კულტურული ფრონტის მებრძოლის ჩემს სადარაჯოზე, კომუნისტური პარტიის მკაფიო გენერალური ხაზისათვის" *****).

---

*) ИР, ტ. 3, 34.

**) ИР, ტ. 1, გვ. 272.

***) Академик Н. Я. Марр. О языке и истории абхазов. М, Л. 1939, გვ. 391—392.

****) ИР, ტ. 3, გვ. 120.

*****) XVI съезд ВКП(б). Стенографический отчет. М., 1930, გვ. 98.

მარქსიზმი ნ. მარისათვის იყო სახელმძღვანელო მოქმედებისათვის. გამოდიოდა რა მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი დებულებებიდან, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმიდან, იგი ქმნიდა ახალ მოძღვრებას ენის შესახებ. სახელწოდება „იაფეტური თეორია“ მან თვითონვე უარყო.

„ტერმინი „იაფეტური“ მთლიანად თეორიასთან მიყენებით ღებულობს,— ნ. მარის სიტყვით, — იმდენად ზოგად მნიშვნელობას, რომ სხლანდელ დროში ზედმეტი ხდება“. მართალია, ნ. მარი არ უარყოფს ინდოევროპეისტული ენათმეცნიერების დამსახურებასაც მეცნიერების ისტორიაში, ფაქტიურ მასალების შეკრების საქმეში, მაგრამ, მისი აზრით „პრინციპულ საკითხებში ახალი თეორიის შერიგებაზე ძველთან ლაპარაკიც კი ზედმეტია“.

1925 წ. ნ. მარი წერდა: „ზოგიერთების ცდას ჩემს მცირერიცხოვან მოწაფეთაგან და განსაკუთრებით კი მიმდევართაგან გადრო ხიდი (ახალსა და ძველ ენათმეცნიერებას შორის!), უფრო დამღუპველ საქმედ ვთვლი, ვიდრე ინდო-ევროპისტ-ლინგვისტთა უმრავლესობის სურვილს— სავსებით გვერდი აუხვიონ იაფეტურ ენათმეცნიერებას“ *).

გამოდის რა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულებებიდან, ნ. მარს ენა ესმის, როგორც საზოგადოებრივ-იდეოლოგიური ხასიათის ზედნაშენი კატეგორია. „ენა, — ამბობს იგი, — ისეთივე ზედნაშენი საზოგადოებრივი ღირებულებაა, როგორც მხატვრობა და საერთოდ ხელოვნება“ **).

„კაცობრიობამ შექმნა თავისი ენა, — განაგრძობს იგი, — შრომის პროცესში, განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში და აწარმოებს მის გარდაქმნას ყოფაცხოვრების ნამდვილად ახალი სოციალური ფორმების დადგომასთან ერთად, შესაბამისად ამ პირობებში არსებული ახალი აზროვნებისა ...ყველა ენა კაცობრიობისაგანაა შექმნილი... მემკვიდრეობითი მეტყველების ფესვები არაა არც გარეშე ბუნებაში, არც ჩვენში, — ჩვენს შინაგან ფიზიკურ ბუნებაში, არამედ საზოგადოებრიობაში. ...საზოგადოებრიობა მემკვიდრეობს, ინახავს, ან სახეს უცვლის თავის მეტყველებას ახალ ფორმებში, აძლევს მას ახალ სახეს და გადაიყვანს ახალ სისტემაში“ ***).

ნ. მარი ხაზგასმით აღნიშნავს: „ენობრივ მოვლენებს სიცოცხლის უნარი აქვთ მხოლოდ მაშინ, თუკი დაკავშირებული არიან მატერიალური კულტურის ისტორიასთან და საზოგადოებრიობასთან“ ****).

აკად. ნ. მარი, ითვალისწინებს რა ენის ისტორიულ განვითარებას, ამბობს: „ენა ურთიერთობის იარაღია, წარმოშობილი შრომითს პროცესში“ *****).

წინააღმდეგ ბურჟუაზიული კონცეფციის „სოციოლოგიური“ მიმართულებისა, ნ. მარი ენას განიხილავს მის ისტორიულ განვითარებაში. იგი იხილავს ენის დიალექტიკურ კავშირს საზოგადოების ისტორიას-

*) ИР, ტ. 1, გვ. 219.
**) ИР, ტ. 2, გვ. 107.
***) იქვე, გვ. 25.
****) იქვე, გვ. 70.
*****) ИР, ტ. 2, გვ. 127.

თან, რადგანაც ენა, მარის აზრით, არის „ძლავრი ბერკეტი კულტურული აღმავლობისა და კლასობრივი ბრძოლის შეუცვლელი იარაღი" *).

მარის განსაზღვრა ენის არსისა, დაფუძნებულია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებაზე, მათს სახელმძღვანელო დებულებებზე: ენა, რო-გორც „**непосредственная действительность мысли, действительно практическое сознание**",**) როგორც „**важное средство человеческого общения**",***) როგორც „განვითარებისა და ბრძოლის იარაღი" ****).

ენის ახალი მოძღვრების ერთერთი ძირითადი დებულება, რომელსაც ნ. მარი თვლიდა ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს და პირველი რიგის საკითხად, ესაა საკითხი ენის წარმოშობის შესახებ.

ნ. მარი ხელმძღვანელობდა ლენინური პრინციპით: „არ დაივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შეხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა განსახილველი მოვლენა ისტორიაში, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო მან თავის განვითარებაში, და ამ განვითარების თვალსაზრისით შეხედოთ იმას, თუ რა სახე მიიღო ამ მოვლენამ ამჟამად" *****).

ბურჟუაზიულ ლინგვისტიკას ენის წარმოშობის საკითხი არ აქვს მიჩნეული ენათმეცნიერების შესწავლის ძირითად საკითხად. უფრო მეტიც: ბურჟუაზიული ენათმეცნიერება გვერდს უვლის ამ საკითხის დასმას, როგორც ისეთ საკითხს, რომელიც მის კომპეტენციაში არ შედის. ბურჟუაზიული „სოციოლოგი" ს. სოსიური ამბობს, რომ „ისტორიის ჩარევა სრულებით ჰკუას უბნევს ენათმეცნიერს"-ო ******). მეორე ბურჟუაზიული ლინგვისტი ე. სეპირი ენის წარმოშობის საკითხის გადაწყვეტას ანდობს „ფილოსოფოსებს და ბელეტრისტებს" *******).

ენის წარმოშობის პრობლემის სწორი გადაწყვეტა მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა შრომებში. საზოგადოების განვითარების კანონების ახსნით მარქსიზმის კლასიკოსებმა გააშუქეს აგრეთვე ენის საკითხებიც. მათ მოგვცეს ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოების ისტორიის უდიდესი მასალის განზოგადება.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის გენიალური შრომები შეიცავენ მრავალრიცხოვან გამონათქვამს ენისა და აზროვნების ურთიერთობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურ საფუძველზე მათი წარმოშობის შესახებ, აგრეთვე ენის ჩასახვისა და განვითარების პირობების შესახებ.

აკადემიკოსმა ნ. მარმა თავის გამოკვლევებს საფუძვლად დაუდვა მარქსიზმის კლასიკოსთა აზრები და თავისი ენათმეცნიერული თეორია დააბუთა მსოფლიოს მრავალი ენის შესწავლის ნიადაგზე.

აკად. ნ. მარმა გადაჭრით უარყო სხვადასხვა უსაფუძვლო თეორია ენის წარმოშობის შესახებ. იგი გვასწავლიდა, რომ ენა კი არ შექმნილა, არამედ იქმნებოდა მრავალ ათეული და ასეული ათასწლეულების განმავლობაში, ხალხთა

---

*) ИР, ტ. 3, გვ. 20.

**) Маркс и Энгельс. Сочин. ტ. 4, გვ. 18—21.

***) Ленин. Сочин. ტ. XXIV, გვ. 364.

****) ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 1, გვ. 43.

*****) ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. 6, ქართ. გამოც. 1935, გვ. 328.

******) Соссюр, С. Курс общей лингвистики, 1933, გვ. 11.

*******) Э. Сепир. Язык. Соцэкгиз, 1934, გვ. 121.

სხვადასხვა გაერთიანებებში. „თვით დანაწევრებული მეტყველების წარმოშობა არ შეიძლებოდა მომხდარიყო კაცობრიობის ხელოვნურად გაკეთებული იარაღების საფუძველზე სწარმოო შრომაზე გადასვლაზე ადრე“ *).

შემდეგ: „ადამიანის პირველი მეტყველება არაა ხმიერი. პირველყოფილი ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დაუფლებული დანაწევრებულ ხმიერ მეტყველებას, მოხარული იყო, რომ როგორმე ეჩვენებინა, ან მიეთითებინა საგანზე, და ამიტომ მის განკარგულებაში იყო ასეთ მიზნისათვის თავისებურად მოწყობილი იარაღი, — ხელი, რომელიც ასე ასხვავებდა ადამიანს დანარჩენ ცხოველთა სამყაროსაგან“ **).

აზროვნება მაშინ კონკრეტული იყო, აბსტრაქცია კი უფრო შემდეგი დროის ამბავია. კაცობრიობა იმ დროს თავისი საზოგადოებრივი შრომის განვითარების უმდაბლეს საფეხურზე იდგა. როდესაც კაცობრიობა შრომაზე გადავიდა, ამ ხანაში აღინიშნება ხმიერი ენის წარმოშობაც, თუმცა, ხმიერი ენის ელემენტები, ნ. მარის აზრით, შეიძლება ხელის ენის გვერდითაც ყოფილიყო ხმარებაში.

ამრიგად, ენის ახალი მოძღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ხელის ენის პირველობის დადგენა. ამ ენამ სამეურნეო ცხოვრების განვითარების შემდეგ ადგილი დაუთმო ხმიერ ენას, როგორც უფრო მომარჯვებული ხერხებით აღჭურვილ იარაღს და საურთიერთო კავშირის უფრო მდიდარ საშუალებას.

ბურჟუაზიული ენათმეცნიერება ჩვეულებრივად ენასა და აზროვნებას ერთი მეორისაგან გათიშულად სწავლობდა. ნ. მარი კი, პირიქით, ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ენა და აზროვნება განუშორებელნი არიანო.

ნ. მარის თქმით, აზროვნების პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხია, რადგანაც მისი ფესვები არის არა ადამიანის ბუნებაში, არამედ მატერიალურ ბაზისში.

მიიჩნევდა რა ენა-აზროვნებას ერთ-ერთ უდიდეს თეორიულ პრობლემად, მის გადაწყვეტას ნ. მარი უდგებოდა დიალექტიკურად. მისი აზრით, ენის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნების განვითარებასთან. „აზროვნება ყველა სტადიაზე განუშორებელია ენასთან და ერთგვარად ცვალებადია“-ო — ამბობს ნ. მარი. მაშასადამე, ენა და აზრი, როგორც ეს ნ. მარმა დაამტკიცა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე, იქმნებოდნენ ერთსა და იმავე დროს.

ნ. მარმა დაადგინა, რომ დანაწევრებული მეტყველება ჩაისახა ჯერ კიდევ უძველეს ხალხთა ტომებში (პიტეკანტროპები).

ნ. მარის აზრით, როდესაც დაიშალა პირველყოფილ ხალხთა ჯგუფები, ენაც დანაწევრდა (ნეანდერტალები). საზოგადოების შემდეგ საფეხურზე (ნეოანტროპების ტომებში) ენა უკვე იღებს მორფოლოგიურ წყობას. კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის დროს იქმნებიან ხალხთა ენები, ხოლო კაპიტალიზმის ეპოქაში ეროვნული ენები.

მარქსისტულ მოძღვრების საფუძველზე ნ. მარმა დაამუშავა პრინციპი, რომელსაც ეწოდება: კანონი „ერთიანი გლოტოგონიური პროცესისა“, ე. ი. კანონი „ენის შექმნის ერთიანი პროცესისა“. მანვე დაამუშავა კანონი ენისა და აზროვნების სტადიურობის შესახებ.

*) ИР, ტ. 2, გვ. 205.

**) იქვე, 200—201.

ენის შესახებ ახალი მოძღვრების დიდ მიღწევას წარმოადგენს ენის კლასობრივი ხასიათის გამორკვევა კლასობრივ საზოგადოებაში.

იაფეტური ენების შესწავლის მაგალითზე ნ. მარმა დაამტკიცა, რომ ენის ჩასახვისა და მეტყველების ისტორიის საკითხების გამოკვლევის დროს ყოველი თანამედროვე ცოცხალი ენის შესწავლას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უძველესი დამწერლობის ძეგლებს, რადგანაც ამ ძეგლებში ხშირად მოცემულია არა ხალხის ცოცხალი ენა, არამედ ლიტერატურული ენის მკვდარი ფორმები, რომელთაც გაბატონებული კლასები თავიანთი კლასობრივი ინტერესების მიზნით იყენებდნენ.

ასევე დიდმნიშვნელოვანია ენის ახალი მოძღვრების დებულება მსოფლიო ენების შეჯვარედინებისა და მათი ნარევი ხასიათის შესახებ. ეს დებულება ემყარება მარქსისტულ მოძღვრებას ნაციის შესახებ, რომელიც მთელი სიცხადით დაამუშავა ამხანაგმა სტალინმა თავის გენიალურ შრომაში „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“.

ენის წარმოშობას ძველი ბურჟუაზიული თეორიის მომხრეები ასე წარმოიდგენენ: უწინარეს ყოვლისა, იყო ერთი ენა („პრეენა“), შემდეგ კი მის საფუძველზე გამრავლდა დანარჩენი ენები. ამრიგად, „პრეენა“ რჩება „წმინდა“ ფუძედ, რომელიც, მათი აზრით განსაზღვრულ რასას ეკუთვნის და მუდამ უცვლელია.

ნ. მარი კი პირიქით გვასწავლის.

სტიქიურად შექმნილი მეტყველება მაშინდელ მსოფლიოში აერთებდა სხვადასხვა კუთხეში ხალხთა მცირე კოლექტივებს. ეს პირველყოფილი გაერთიანებები ურთიერთობის პროცესში იძლეოდნენ უფრო მსხვილ გაერთიანებებს. შემდეგში ტომური ენები განვითარდებიან, შეჯვარედინდებიან და კლასობრივი საზოგადოების ბაზაზე ქმნიან ხალხურ ენებს. ეროვნებათა წარმოშობასთან დაკავშირებით კი იქმნებიან ნაციონალური ენები.

ნ. მარს ყოველთვის აინტერესებდა ენის მომავალი. მომავალი საზოგადოების ენა. იგი შთაგონებული იყო ამხანაგი სტალინის სიტყვებით იმის შესახებ, რომ: „ნაციონალური ენების კვდომისა და მათი ერთ საერთო ენად შედუღების საკითხი არის არა **შინასახელმწიფოებრივი** საკითხი, არის არა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი, არამედ **საერთაშორისო** საკითხი, სოციალიზმის **საერთაშორისო** მასშტაბით გამარჯვების საკითხი“ *).

საკითხს კომუნისტური საზოგადოების ენის შესახებ, ნ. მარი ლინგვისტიკური ანალიზით წყვეტდა. იგი წერს: „ენა გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ ერთიანი მსოფლიო ენისაკენ“ **).

ნ. მარი აყენებდა ენის სტადიურობის თვალსაზრისს. ნ. მარის მოწაფემ, აკად. ი. მეშჩანინოვმა მნიშვნელოვნად გააღრმავა ეს პრობლემა, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო ***).

*) ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხ., მე-10 ქართ. გამოც., გვ. 513.

**) ИР, ტ. 2, გვ. 135.

***) Мещанинов И. И. — Проблема стадиальности в развитии языка. ИАН СССР ОЛ и Яз. 1947, გამოც. 3, გვ. 173—188.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ნ. მარი მტერი იყო კოსმოპოლიტიზმისა და უცხოეთის წინაშე ქედმოხრისა. ენის ზოგადი მოძღვრების შესაქმნელად იგი მოითხოვდა მსოფლიოს ყოველი ენის თავისებურების, ხვითეული | ენის კონკრეტული სისტემის შესწავლას. ამის გარეშე, მარის აზრით, მეცნიერება ენის შესახებ არ იქნება ჭეშმარიტი მეცნიერება. „მხოლოდ ის მოძღვრება შეიძლება იქნას მიღებული, რომელიც ანგარიშს უწევს მსოფლიოს ყოველი ენის თავისებურებას“-ო — წერდა იგი 1929 წელს. *).

ასეთია ნ. მარის მიერ შექმნილი ენის ახალი მოძღვრება, რომელიც ანგარიშს უწევს მსოფლიოს ყველა ენას, თვითეულ მათგანს თავის ადგილს ანიჭებს სხვა ენათა შორის და, რაც მთავარია, სპეციალურ მუშაობას აწარმოებს ყოველი ენის ირგვლივ, რათა გამოარკვიოს ის ნამდვილი გზები, რომელსაც ენათმეცნიერი ენის შესწავლის დროს უნდა ადგეს.

ენის შესახებ ნ. მარის ახალი მოძღვრება მოითხოვს შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ცნობილი გადაწყვეტილებები იდეოლოგიურ ხაკითხებზე წარმოადგენენ უდიდეს ეტაპს საბჭოთა მოწინავე მეცნიერებისათვის ბრძოლაში, მეცნიერებისა, რომელიც აგებულია მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე საფუძველზე. ამ გადაწყვეტილებებმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ბრძოლა რეაქციულ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ცოდნის ყოველ დარგში.

შემოქმედებითმა დისკუსიებმა ენათმეცნიერებაში გვიჩვენეს, რომ ჩვენი ქვეყნის ენათმეცნიერთა შორის არსებობს ორი ერთმანეთისადმი შეურიგებელი მიმართულება, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ურთიერთშორის სასტიკ ბრძოლას აწარმოებს.

ერთი მიმართულება, როგორც ცნობილია „აერთიანებს აკად. ნ. მარის მოწაფეებსა და მიმდევრებს, მეორე კი წარმოდგენილია მისი მოწინააღმდეგეებით, იმ მეცნიერთაგან, რომელნიც მიისწრაფიან ხელუხლებლად შეინარჩუნონ ბურჟუაზიული ენათმეცნიერების ძირითადი დებულებები“ **).

ეჭვს გარეშეა, რომ ნ. მარის მრავალრიცხოვანი მოწაფეები და მიმდევრები, რომლებიც გარემოცულნი არიან სტალინური მზრუნველობით, შესძლებენ ნ. მარის მემკვიდრეობის შემდგომ განვითარებას და საბჭოთა ენათმეცნიერებას აიყვანენ ახალ სიმაღლეზე, დიადი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნათა სიმაღლეზე.

---

*) ИР, ტ. 2, გვ. 410.

**) „Культура и жизнь“ № 13 (105), 11 მაისი, 1949 წ.

Y 808

შოთა მესხია
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია და ქართული ისტორიული მეცნიერება

სიმონ ჯანაშია დაიბადა 1900 წ. 13 ივლისს, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ სიმონის-ძე ჯანაშიას ოჯახში. დაწყებითი განათლება პატარა სიმონმა ოჯახში მიიღო. ოჯახიდანვე გაჰმოჰყვა მას უანგარო სიყვარული ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიისადმი.

ჯერ კიდევ სკოლამდე საფუძვლიანად მომზადებულმა ბავშვმა წარმატებით დაამთავრა ძველი-სენაკის დაწყებითი ქართული სასწავლებელი.

მალე ჯანაშიების ოჯახი საცხოვრებლად სუხუმში გადავიდა. 1911 წ. ს. ჯანაშია სუხუმის რეალურ სასწავლებელში შეიყვანეს. სუხუმის რეალურ სასწავლებელში ყოფნისას ს. ჯანაშია არ კმაყოფილდებოდა სასკოლო პროგრამით და უფრო მეტს სკოლის გარეშე კითხულობდა, განსაკუთრებით ისტორიაში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულსა და უცხოურ ლიტერატურაში. აღსანიშნავია, რომ 15 წლის ყმაწვილის მიერ ფაქიზად შედგენილ კონსპექტებში ხშირად არის ამონაწერები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“, აღ. წულუკიძის ცნობილი ნაშრომიდან „ოცნება და სინამდვილე“ და სხვა მარქსისტული ლიტერატურიდან. შემდეგში ს. ჯანაშია კიდევ უფრო ბეჯითად დაეწაფა მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებს. სუხუმის რეალური სასწავლებლის უკანასკნელ კლასში ყოფნისას მას წაუკითხავს ი. ბ. სტალინის „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგი“, გ. პლეხანოვის „მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე“ და სხვ. ყველა ამ ნაშრომებზე ბეჯით ახალგაზრდას ვრცელი კონსპექტი შეუდგენია.

მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების შესწავლამ გადამწყვეტი გავლენა იქონია მომავალი მოღვაწის მსოფლმხედველობის შემუშავებაზე. ეს კარგად ჩანს ს. ჯანაშიას მიერ 1917 წ. დამდეგს დაწერილ სასკოლო ნამუშევარიდან, სადაც განხილულია არსებული საზოგადოებრივი წყობილება და გაბედულად არის მითითებული უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის აუცილებლობაზე: „თუ ამ თვალთახედვით განვიხილავთ თანამედროვე საზოგადოებას, — წერდა ს. ჯანაშია 1917 წ., — ამ იდეალისაკენ რევოლუციური მისწრაფების თვალსაზრისით, ჩვენ უსათუოდ შევჩერდებით მის ერთ ფენაზე, მის ერთ კლასზე, ეს კლასი პროლეტარიატია, რომელიც ისტორიულად მოწოდებულია განახორციელოს ეს იდეალი და რომელიც ატარებს ამ იდეალს თავის თავში“.

1918 წ. 25 თებერვალს ს. ჯანაშიამ წარმატებით დაამთავრა სუხუმის რეალური სასწავლებელი. სავალდებულო საგნების გარდა, მან ქართული ენისა და ლიტერატურის განსაკუთრებით მოყვარულმა — დამატებით ჩააბარა ქართული და აფხაზური ენები.

1918 წ. ს. ჯანაშიას მამა გარდაეცვალა. ოჯახს მძიმე მატერიალური მდგომარეობა შეექმნა, მაგრამ ამან ვერ შეუშალა ხელი ცოდნის შეძენისათვის მებრძოლ ყმაწვილს სწავლის გაგრძელებაზე ეფიქრა. 1918 წ. დასასრულისათვის ს. ჯანაშია თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და იმავე წელს ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაერიცხა. იგი აქ ორ დარგზე სწავლობდა — ისტორიულსა და ენათმეცნიერულზე. უნივერსიტეტში ს. ჯანაშიამ სანიმუშო მეცნიერული მომზადება მიიღო, ამასთან მის მრავალმხრივ ცოდნას განსაზღვრული მიმართულება მიეცა: ქართველი ხალხის ისტორიის ღრმად შესწავლა, ფილოლოგიურ-ენათმეცნიერული კვლევა-ძიება მისი მომავალი მოღვაწეობის უპირველესი საგანი გახდა.

ნიჭიერმა სტუდენტმა ადრე მიიქცია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. მას განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობოდა და ყოველნაირად ხელს უწყობდა ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი.

1922 წ. ს. ჯანაშიამ დაასრულა უნივერსიტეტის სრული კურსი და იმავე წელს ორი სადიპლომო შრომა წარადგინა: ისტორიული დარგისათვის — „ქართული ფეოდალური ქცევის წესები მე-18 საუკუნეში“, ხოლო ენათმეცნიერული დარგისთვის „შეთანხმებისა და მართვის წესები ქართლის მოქცევაში“. ამის შემდეგ მან ბრწყინვალედ ჩააბარა სპეციალური (სადიპლომო) გამოცდები და თბილისის უნივერსიტეტის ხსენებულ განყოფილებათა დამთავრების დიპლომი მიიღო.

1922 წ. ივ. ჯავახიშვილმა იშუამდგომლა უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე და ამის შესაბამისად ს. ჯანაშია საპროფესოროდ მოსამზადებლად უნივერსიტეტთან იქნა დატოვებული.

მიუხედავად ავადმყოფობისა, ს. ჯანაშიამ უნივერსიტეტთან დატოვების პირველ წელს არაჩვეულებრივი სიბეჯითით იმუშავა. ამ პერიოდში ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად ახასიათებდა მის ღირსეულ მოწაფეს:

„ს. ჯანაშია ყველა თავის ტოლ-ამხანაგებში თავისი ნიჭითა, მკვირცხლი გონებითა და შრომის მოყვარეობით ირჩეოდა. სტუდენტობის დროსვე რამდენიმე კარგი მოხსენება დასწერა. საუკეთესოდ სწავლობდა, როგორც ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას, ისე არაბულს, სპარსულსა და სომხურს. მისი სადიპლომო შრომაც კარგი გამოდგა. ამიტომ 1922 წ. ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის დამთავრებისთანავე დატოვებულ იქნა სპარსეთ-საქართველოს ისტორიის კათედრასთან. ერთი წლის განმავლობაში მუყაითად ემზადებოდა და პატარ-პატარა გამოკვლევებიც დასწერა“...

1926 წ. ს. ჯანაშიამ სადოქტორო ზეპირი გამოცდები ჩააბარა და იმავე დღიდან იგი მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და აფხაზური ენის ლექტორად.

სიმონ ჯანაშიას მთელი შემდგომი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა უნივერსიტეტს: 1935 წ. იგი უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ და პროფესორად აირჩიეს. იგი იყო პირველი პროფესორი

უნივერსიტეტის მიერ აღზრდილთა შორის. 1938 წ. მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა ქართველ ტომებში“, და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა.

დაუღალავმა სამეცნიერო კვლევამ, მრავალმხრივმა ორგანიზაციულმა და საზოგადოებრივმა მუშაობამ მალე დიდი სახელი და პატივისცემა მოუპოვეს ს. ჯანაშიას საქართველოს საზოგადოებრივობაში.

1941 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ს. ჯანაშია შეუდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში.

ს. ჯანაშიას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ფართოდ იყო ცნობილი მთელს ჩვენს საბჭოთა კავშირში. სწორედ ამიტომ აირჩიეს სახელმოწვეული მეცნიერი 1943 წ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

* * *

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. ახალმა ეპოქამ ახალი ამოცანები დააყენა ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშეც. საჭირო იყო საქართველოს ისტორიის ხანგრძლივი კვლევის შედეგად მიღებული ფაქტიური მასალის მარქსისტული გამუშავება. სწორედ ქართული ისტორიოგრაფიის მდიდარი მემკვიდრეობის შემდგომი გაღრმავება და მარქსისტული თვალსაზრისით მისი შესწავლა-გამუშავება იყო ს. ჯანაშიას მეცნიერული მოღვაწეობის მიზანი.

ს. ჯანაშია სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზე 1923 წ. გამოვიდა. მაშინ დაიბეჭდა მისი პირველი ნაშრომი. ამ დროიდან, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში მან ორმოცდაათზე მეტი ნაშრომი შესძინა ჩვენი სამშობლოს მეცნიერულ საგანძურს. ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური და ენათმეცნიერული განათლება, საკვლევო-ტექნიკური მეთოდების ბრწყინვალე დაუფლება, მარქსისტული მეთოდის სწორად მოშარჯვება და დიდი ერუდიცია ს. ჯანაშიას შესაძლებლობას აძლევდა მის დრომდე არსებულ შეხედულებათა განსხვავებით სრულიად ახლებურად დაესვა და გადაეწყვიტა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

მის მეცნიერულ კვლევას ახალი ისტორიული კონცეპცია დაედვა საფუძვლად, რომელიც ემყარება თანამედროვე მეცნიერების ყველაზე უფრო შემოწმებულ დებულებებს. ამ ძირითადი ისტორიული კონცეპციის შესახებ ს. ჯანაშია წერდა: „ძველი საქართველო უფრო ვრცელი სამყაროს ორგანული, მაგრამ თავისთავადი ნაწილია; ამ სამყაროს შეადგენს ვიწრო ასპექტში კავკასია, ფართო ასპექტში — ძველი აღმოსავლეთი, რომელთაც სხვა კომპონენტებშიაც საქართველო უკავშირდება მრავალსახოვანი და ნაირსახოვანი გენეტური და ისტორიული კავშირებით: კომპონენტების დამოუკიდებელი შესწავლა განვითარებაში ხელს უწყობს და მოითხოვს კიდევაც მათი კავშირების შესწავლას იმავე თვალსაზრისით: სათანადო მეცნიერებათა მდგომარეობის დონე აუცილებელს ხდის კომპლექსური მეთოდის გამოყენებასა და ცალკეული დისციპლინების (ენათმეცნიერება, ისტორია და არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია...), კოოპერაციას; საშუალო და ახა-

ლი საუკუნეებისათვის ფართოვდება ისტორიული გარემო და ჩნდება ახალი ყავშირები". *)

ძველი საქართველოს ისტორიული გარემოს ამგვარი განხილვა, ე. ი. ძველი საქართველოს უფრო ვრცელი სამყაროს ორგანიულ ნაწილად წარმოდგენა, ისტორიკოსის წინაშე აყენებდა ე. წ. „გავლენის საკითხის" სწორად გადაჭრის აუცილებლობასაც.

ს. ჯანაშიამ ქართული ისტორიული მეცნიერება ამ თვალსაზრისითაც მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დააყენა. ჯერ კიდევ 1937 წ. რუსთაველის საიუბილეო დღეებში ს. ჯანაშია წერდა: „გავლენების საკითხში... ჩვენ განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ცალმხრივს ან სრულიად ყალბ შეხედულებებსა და მტკიცებებს. მაგალითისათვის, ძირფესვიანად მცდარად მიგვაჩნია ის შეხედულება, რომელმაც, სამწუხაროდ, გავრცელება მოიპოვა და რომელსაც დაჰყავს... მნიშვნელოვანი პრობლემა ქართული კულტურის გარემოს შესახებ მექანისტურ გაგებამდე, რომლის მიხედვითაც გარედან მომავალსა და შეჯვარედინებულ გავლენებს შეუძლიათ შექმნან ეროვნული კულტურები".

შ ე მ დ ე გ:

„გარედან მომავალი გავლენების ნაკადთა არავითარ სინთეზს, არავითარ „ჰარმონულ" შერწყმას არ შეუძლია წარმოშვას ახალი, ორიგინალური კულტურული მოვლენა, თუ ამისათვის არ არსებობს სათანადო და საკმაო შინაგანი პირობები. ამაში ჩვენ შეიძლება ისტორიულად დავრწმუნდეთ იმ ქვეყნების მაგალითზე, რომელნიც როგორც გეოგრაფიულად, ისე კულტურულ-ისტორიულად გაცილებით უფრო მჭიდროდ, ვიდრე საქართველო დაკავშირებულნი იყვნენ ირანთან, რომლის ლიტერატურულ ზემოქმედებაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ. ამ ქვეყნებში... საერო პოეზია მხოლოდ ჩანასახის ვითარებაში იმყოფება".

„ამრიგად, — დაასკვნიდა ს. ჯანაშია, — გარედან მომავალი გავლენის შემთხვევაში საჭირო ხდება ადგილობრივი ნიადაგისა და მისი შემხვედრი ზემოქმედების გათვალისწინებაც. ამას გარდა, საძიებელია ურთიერთობის პირუკუმიქცეული პროცესების მოვლენებიც. მათი გამორიცხვა აპრიორულად შეუწყნარებელია". **)

ეს მწყობრი მეცნიერული კონცეპცია — საქართველოს ისტორიის განხილვა მეზობელ ხალხთა ისტორიასთან მჭიდრო კავშირში, ამასთან ერთად „ადგილობრივი ნიადაგისა და მისი შემხვედრი ზემოქმედების გათვალისწინება" — იყო საფუძველი, რომელზედაც ს. ჯანაშიამ დაამყარა საქართველოს ისტორიის მრავალი უმნიშვნელოვანესი საკითხის შესწავლა.

ქართულ-სომხური საისტორიო მწერლობის, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის წყაროებისა და ანტიკურ მწერალთა ცნობების ღრმა ცოდნის საფუძველზე, ისტორიის მარქსისტული მეთოდოლოგიის დაუფლების საფუძველზე, ს. ჯანაშიამ კვლევის ობიექტად გაიხადა, საქართველოს ისტორიის გარდა, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ლიტერატურის ისტორია. მისი კვლევის ძირითადი საკვანძო პრობლემები შემდეგი იყო:

*) ს. ჯანაშია, მოკლე ანგარიში აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მუშაობისა, „ენიძკის" მოამბე, 14, 1944 წ., გვ. 385.

**) იხ. იქვე.

1. ქართველ ტომთა გენეტიკური კავშირი კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებთან;
2. ქართველ ტომთა საზოგადოებრივი წყობილება;
3. ისტორიული გეოგრაფია;
4. სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოსა და კავკასიაში;
5. მოსახლეობის მოძრაობა საქართველოს ტერიტორიაზე და სხვა.

ქართულს ისტორიოგრაფიაში ადრე გამოითქვა მოსაზრება ქართველ ტომთა წინა-აზიის უძველეს ხალხებთან ნათესაობის შესახებ, მაგრამ ყველაფერი ეს ახსნილი იყო ქართველ ტომთა ე. წ. გადმოსახლებით საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე, რაც ხელს უშლიდა ქართველ ტომთა განსახლების საკითხის გაგებას.

აკად. ს. ჯანაშიამ ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ისტორიული წყაროების გათვალისწინებით, ქართულ-სომხური და ბერძნული საისტორიო მწერლობის მასალების ანალიზით, არქეოლოგიური და ლიტერატურული ფაქტების მოშველებით, ქართველურ-კავკასიურ და წინა-აზიის ძველ ენათა მონაცემების საფუძველზე, ნათლად უჩვენა ქართველ ტომთა გენეტიკური კავშირი კავკასიის ხალხებთან და ახლო აღმოსავლეთის ძველ მკვიდრებთან — ხეთა-სუბარებთან და ხალდებთან, გაარკვია ამ ტომთა ნათესაური დამოკიდებულება, მათი აღრინდელი საცხოვრისი და პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა.

აღნიშნულ საკითხების შესწავლას ს. ჯანაშიამ მიუძღვნა შემდეგი სპეციალური მონოგრაფიები: „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“, „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე“, „მესხთა ტომის ისტორიიდან“, „კავკასიელ ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა“, „ურარტუ“, და სხვ.

მოპოვებულ მასალათა შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე აკად. ს. ჯანაშიას შესაძლებლობა ჰქონდა ეჭვმიუტანლად დაემტკიცებინა, რომ „ხეთები და სუბარები ქართველების წინაპრები არიან“, *) რომ „ხალდების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია: ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენდნენ“ **).

ქართველ ტომთა მონათესაობის საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებული იყო ქართველ და კავკასიელ ტომთა ურთიერთობის სკითხის შესწავლასთან. აკად. ს. ჯანაშია თავის წერილებში „სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები“, „ჩერქეზულ (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში“, „საქართველოს ისტორიის უძველესი ქრონოლოგიიდან ენობრივი მასალების მიხედვით“ და სხვ. სწყვეტს არა მარტო ლინგვისტიკურ პრობლემებს — ქართველური და ადიღეური ენების ნათესაობის საკითხს, — არამედ შეისწავლის ამ ენათა მატარებელი ხალხების განსახლებასა და ურთიერთ გავლენას. ხსენებული წერილები იხილავენ უძველეს, მწერლობამდისეულ ისტორიულ პრობლემებს ქართული ონომასტიკონისა და ენობრივი მასალების სინათლეზე.

*) ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946 წ. გვ. 20.

**) იქვე. გვ. 41.

ამას გარდა, ქართველ ტომთა უძველესი ისტორიული მოვლენებისა და მათი განსახლების გაგებისათვის, საჭირო იყო ისტორიული გეოგრაფიის შესწავლა. ისტორიული გეოგრაფიის გათვალისწინება გაარკვევდა მრავალ გაუგებარ საკითხს ქართველ ტომთა განსახლებასა და მონათესაობასთან დაკავშირებით. აკად. ს. ჯანაშიამ არა ერთი გამოკვლევა მიუძღვნა ქართლის ისტორიულ გეოგრაფიას. ამ საკითხებს ეხებიან მისი წერილები — „იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში", „პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები" და სხვ. პირველ წერილში, უმთავრესად ბერძნულ-რომაული წყაროების ურთიერთ შეპირისპირებისა და ანალიზის საფუძველზე, აღდგენილია ქართლის უძველესი პოლიტიკური საზღვრები; კერძოდ, ს. ჯანაშიას აზრით, ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს, ქართლის ჩრდილოეთის საზღვარი გადიოდა კავკასიის მთავარ ქედზე (დარიალის კარი ქართველების ხელშია და მათ მიერაა გამაგრებული). აღმოსავლეთით — ალაზნის ველზე, დასავლეთით კოლხეთის სასაზღვრო გამაგრებულ ქალაქებზე — შორაპანსა და სკანდაზე, სამხრეთით კი წყალგამყოფ ქედზე მტკვარსა და არაკსს შორის *).

ამგვარი ახსნით შეესებული იქნა ის ხარვეზი, რაც არსებობდა მის დრომდე ქართულს ისტორიოგრაფიაში და გასწორდა მრავალგვარი შეცდომა ამ საკითხთან დაკავშირებით დაშვებული. დასახელებულ მეორე წერილში კი უარყოფილია მოსხური მთების, პარიადრისა და სკიდისის წინათ არსებული ლოკალიზაცია და ქართულ, სომხურ-ბერძნულ (უმთავრესად სტრაბონის) ცნობების მოშველიებით დადგენილია, რომ „სკიდისი ის მთებია, რომლებიც გირესუნ-კერასუნტისა და ტრაბზონ-ტრაპეზუნტის ხაზზე გასდევს შავი ზღვის სანაპიროს, მოსხური მთები სკიდისის გაგრძელებაა აღმოსავლეთისაკენ, გადაჭიმული ტრაპეზუნტ-ბაიბურდის ხაზიდან ვიდრე ჭოროხის ქვემოწელამდე, პარიადრი კიდევ — ყველაზე დასავლეთით მდებარე ნაწილი, რომელიც სტრაბონის წარმოდგენით, იწყება ფატისა-ტერმეს რაიონიდან და გასდევს დასავლეთისაკენ". **) ამ მთების ახლებურ ლოკალიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ამ ოროგრაფიული ობიექტების მიხედვითაა განსაზღვრული არა ერთი სარწმუნო მითითება ქართველობის განსახლებისა და სამოქალაქო ცხოვრების ისტორიიდან.

აკად. ს. ჯანაშია ქართველთა უძველეს განსახლებისა და კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხს შეეხო აგრეთვე სპეციალურ ნარკვევში „აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის", საიდანაც ირკვევა, რომ ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დამდეგისათვის იბერიის (ქართლის) სამეფო სწვდება სამხრეთისაკენ ჭოროხის ხეობის ქვემო წელსა და ჯანეთის (მოსხურ) მთებს, ე. ი. უკვე შეიცავს სამუალო საუკუნეების „ზემოქართლსაც", რომლის პოლიტიკურ ცენტრად მცხეთა იყო.

ამათ გარდა, ს. ჯანაშიამ შეისწავლა დასავლურ-ქართული სახელმწიფოს, კოლხეთის პოლიტიკური გეოგრაფია. ამ საკითხს მან მიუძღვნა ნაშრომი „კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან", რომლის მხოლოდ ერთი თავი „ფასიდი" — გამოაქვეყნა ავტორმა თავის სიცოცხლეში ***).

*) იხ. საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", ტ. 3, № 7. 1942 წ. გვ. 730.

**) საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", ტ. 3. № 6, 1942 წ. გვ. 610.

***) იხ. „ენიმკის" მოამბე. ტ. 10.

თავის წერილში პ. ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ ძველი ქართული კანონების მიხედვით, იმ პირთა მამული, რომლებიც უცხო სახელმწიფოს სამსახურში შედიოდნენ, გადადიოდა საქართველოს სხვა ქვეშევრდომების დროებით სარგებლობაში წინანდელ მფლობელთა სამშობლოში დაბრუნებამდე. ამ კანონის საფუძველზე პ. ბაგრატიონსა და მის ძმებს ჩამოერთვათ თავიანთი სამფლობელოები საქართველოში და ისინი გადაეცა საქართველოს სხვა ქვეშევრდომებს. პ. ბაგრატიონი მოგონებს ტორმასოვს, რომ 1801 წლიდან, ე. ი. რუსეთთან შეერთების დროიდან, საქართველო არ შეიძლება ჩაითვალოს უცხო სახელმწიფოდ, და ამიტომ კანონი, რომლის მიხედვითაც მას მამული ჩამოერთვა, ძალადაკარგულად უნდა იქნას ცნობილიო. „და ვინაიდან რუსეთის სახელმწიფოსთან საქართველოს შეერთების შემდეგ, — ნათქვამია წერილში,**) — აღნიშნულ დაკანონებას ადგილი უკვე აღარა აქვს, რასაც რამდენიმე მაგალითი უკვე მოჰყვა, — მე, როგორც თავად ბაგრატიონების გვარეულობის უფროსი პირი, ვალდებულად ვთვლი თავს ჩემი ძმებისათვის გამოვიყენო გულმოდგინება ჩვენი შთამომავლობის კუთვნილი იმ მამულის საძებნელად, რომლის აღწერილობას თქვენ, ჩემო მოწყალეო ხელმწიფევ, ნახავთ თანდართული ექვსი ქართველი ბატონიშვილების დასტურში".

---

*) „საქმე თავად ბაგრატიონების მიერ საქართველოში მამულის ძებნის შესახებ". საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. (ცსსა) ფონდი 8 (9). საქმე 236, ფ. 1—160.

**) ცსსა ფონდი 8 (9), საქმე 236, ფ. 1—2.

იმ დროს პეტერბურგში მცხოვრები ექვსი ქართველი ბატონიშვილის — გიორგი XII შვილების მიერ დაწერილ მოწმობაში აღნიშნული იყო, რომ 1745 წლის 27 დეკემბერს და 1756 წლის 4 ივლისს *) მეფის სიგელებით სოფლები ლაჯაბადანი, ყულარი (თბილისის მაზრა), თელეთგორი, გორის-ჯვარი, წედისი (გორის მაზრა) და თბილისის მიდამოებში არსებული ბაღი, გარეუბნად წოდებული, — „მთელი თავისი კუთვნილებით“ ებოძა „ბატონ ინფანტერიის გენერლისა და სხვადასხვა ორდენების კავალრის პეტრე ბაგრატიონის პაპას“ — ისაყ-ბეგს, რომელიც 1750 წლამდე მუსლიმანური სარწმუნოებისა იყო და რომელსაც ნათლობის დროს ალექსანდრე ეწოდა. მეფის-ძენი, გამოდიოდნენ რა პეტრეს და მისი ძმების მოწმეებად, ზემოაღნიშნული სოფლების ნამდვილ მფლობელებად აცხადებდნენ ბაგრატიონებს არა მარტო იმიტომ, რომ ისინი ოდესღაც მათ (ბაგრატიონებს) ეკუთვნოდათ, არამედ იმიტომაც, რომ მეფე ერეკლე II სიგელებით ეს მიწები გადაეცა აწინდელ მფლობელებს „იჯარის სახით, ბაგრატიონების გვარეულობიდან ვინმეს დაბრუნებამდე საქართველოში“ **).

გენერალმა ტორმასოვმა ბაგრატიონის მიერ დასმული საკითხის შესასწავლად დაიწყო კვლევა-ძიება, რამაც შედარებით დიდხანს გასტანა. ტორმასოვმა 1811 წლის 3 აგვისტოს სპეციალური მიწერილობით დაავალა საქართველოს მმართველის თანამდებობის აღმსრულებელს გენერალ-მაიორ სტალს „შეეგროვებინა ზუსტი ცნობები მოწმობაში აღნიშნული მამულის შესახებ, ეკუთვნოდა თუ არა იგი წინათ თავად ბაგრატიონებს, როდის ჩამოერთვა მათ, სახელდობრ ვის გადაეცა იგი და აქვთ თუ არა ახლანდელ მფლობელებს მისი ფლობის კანონიერი უფლება“ ***). ყველა ეს ცნობა, ტორმასოვის პირადი აზრის თანდართვით, სტალს უნდა გადაეგზავნა მთავარსარდლის კანცელარიისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ, 1811 წლის აგვისტოში, ტორმასოვმა შეატყობინა ბაგრატიონს, რომ ამ საქმის გამოძიება უკვე დაწყებულია და შედეგები, როგორც კი გამოირკვევა, ეცნობება მას.

ტორმასოვის განკარგულება გენერალ-მაიორმა სტალმა წერილობით წარუდგინა საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციას, ხოლო ამ უკანასკნელმა თავის მხრივ განკარგულება მისცა ყველა კომენდანტსა და საერობო პოლიციას, შეეკრიბათ ცნობები პეტრე ბაგრატიონის მიერ ნათხოვნი მამულების შესახებ და სათანადო დოკუმენტაციით წარედგინათ ისინი აღმასრულებელი ექსპედიციისათვის. ასე დაიწყო ამ საქმის ძიება.

სხვადასხვა დაწესებულებათა და დაინტერესებულ პირთა მიერ წარდგენილი საბუთები და განცხადებები ერთსულოვნად ადასტურებდნენ იმ ფაქტს, რომ ზემოდასახელებული სოფლები ოდესღაც მართლაც ეკუთვნოდა პეტრე ბაგრატიონსა და მის წინაპრებს. ამასთან ერთად, საბუთები მოწმობდნენ, რომ რუსეთში ბაგრატიონების გადასახლების შემდეგ ეს მამულები მათ დაუკარგავთ და მეფის სიგელებით (მაშასადამე კანონიერად) ისინი სხვა

*) საბუთში შეცდომით 1757 წლის 4 ივლისია ნაჩვენები. სინამდვილეში უნდა იყოს 1756 წელი, როგორც ეს იმავე „საქმის“ სხვა საბუთშია აღნიშნული. 1757 წელს კი თეიმურაზ II ახალი სიგელით პ. ბაგრატიონის წინაპრების კუთვნილი მამული უკვე სხვას უბოძა.

**) ცსსა. ფონდი 8 (9). საქმე 236. ფურც. 7—16.

***) იქვე.

პირებისათვის გადაუცია. სადავო სოფლების ნაწილი კი ხაზინის უწყებაში გადასულა.

ვიდრე გადაწყვეტდა საკითხს, თუ ვის ხელში უნდა დარჩენილიყო მამული, აღმასრულებელმა ექსპედიციამ კიდევ ერთხელ გადასინჯა იმპერატორ ალექსანდრე I 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და მასში გამონახა ამ პრობლემის გადაწყვეტის საშუალება. თავის ოქმში ექსპედიციამ მოიტანა მანიფესტის ის სტრიქონები, სადაც ნათქვამი იყო, რომ თითოეულის ქონება და საკუთრება ხელშეუხებელი დარჩება *).

ამ მითითების მიხედვით აღმასრულებელი ექსპედიციის დასკვნები სავსებით ნათელი იყო. მან დაასკვნა, რომ „ყველა აღნიშნული მამული უნდა დარჩეს იმავე უწყებებში, რომელთა ხელშიაც ამჟამად იმყოფება". **) პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონისათვის ეს უარყოფითი გადაწყვეტილება ექსპედიციამ გადაუგზავნა საქართველოს ჯარების მთავარსარდალს, რომელიც პირადად ესწრებოდა ექსპედიციის 1813 წლის 18 ივლისის სხდომას.

მაგრამ, სანამ აღმასრულებელი ექსპედიციის აზრი ცნობილი გახდებოდა, ბევრი რამ შეიცვალა. 1812 წელს ბოროდინოს ბრძოლაში მიღებული მძიმე ჭრილობის შედეგად, მთხოვნელი პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი გარდაიცვალა. საქართველოში მყოფი ჯარების მთავარსარდალი გენერალი ტორმასოვი გაწვეულ იქნა, ხოლო მის ადგილზე დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი მარკოზ პაულუჩი, რომელმაც შემდეგ თავისი საქმეები გადააბარა გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ თედორეს-ძე რტიშჩევს ***).

ხედავდა რა, რომ საქმის გადაწყვეტა ჭიანურდებოდა, პეტრეს ძმამ, ალექსანდრე ივანეს-ძე ბაგრატიონმა, 1813 წლის 8 დეკემბერს წერილით მიმართა გენერალ რტიშჩევს.

ალექსანდრე ბაგრატიონმა მოაგონა ახალ მთავარსარდალს, რომ ეს საკითხი დასმული იყო 1811 წელს ტორმასოვის წინაშე მისი უფროსი ძმის პეტრე ბაგრატიონის მიერ, რომელიც დაიღუპა „რუსეთში მტრის შემოჭრის დროს". ვინაიდან პასუხის მიღება გაჭიანურდა, ალექსანდრემ, როგორც უფროსმა პეტრეს შემდეგ, თავის მოვალეობად ჩათვალა მიეღო ზომები იმ მამულების მოსაძებნად, რომლებიც ეკუთვნოდა როგორც მას, ისე მის ძმას რომან ივანეს-ძე ბაგრატიონს, მაშინ საზღვარგარეთ, ფრანგების წინააღმდეგ მოქმედ არმიაში მყოფს.

---

*) **Акты Кавказской археографической комиссии, т. I, стр. 433.**

**) ცსსა, ფონდი 8 (9), საქმე 236, ფურც. 7—16.

***) 1811 წელს ტორმასოვი გაიწვიეს რუსეთში, ტორმასოვის წასვლის შემდეგ კავკასიის ჯარები ორ ნაწილად გაიყო. საქართველოში მყოფი ჯარების მთავარსარდლად დაინიშნეს გენერალ-ლეიტენანტი მარკოზ პაულუჩი, ხოლო კავკასიის ხაზზე განლაგებული ჯარების სარდლობა მიანდეს გენერალ-ლეიტენანტ რტიშჩევს. 1812 წლის დასაწყისში კი პაულუჩმა მიიღო იმპერატორ ალექსანდრე I შემდეგი უმაღლესი რესკრიპტი: „თქვენმა საუცხოო სამსახურმა მიიქცია ჩემი განსაკუთრებული ყურადღება და მე, მსურს რა ღირსებათა მიხედვით თქვენი მეტი ბრწყინვალებით გამოყენება, გიბრძანებთ გამოემგზავროთ სანკტ-პეტერბურგში და საქართველოს უფროსობა ჩააბაროთ გენერალ-ლეიტენანტ რტიშჩევს". (**В. Потто. „Кавказская война в отдельных очерках, легендах и биографиях", т. I, выпуск III, стр. 499—500).** მაშასადამე, 1812 წლიდან საქართველოს ჯარების მთავარსარდლად გახდა რტიშჩევი.

მიუხედავად იმისა, რომ გენერალი რტიშჩევი პირადად ესწრებოდა აღმასრულებელი ექსპედიციის იმ სხდომას, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ საკითხზე და, მაშასადამე, კარგად იცოდა გადაწყვეტილების შინაარსი, მან ჩვენთვის უცნობი მიზეზით (უფრო მეტად, ალბათ, ფორმალობის დაცვისათვის) ალექსანდრე ბაგრატიონის თხოვნა მთელ რიგ სხვა ქაღალდებთან ერთად გადაუგზავნა ექსპედიციას განკარგულებით „გულმოდგინედ განეხილათ“ საქმე და შედეგები ეცნობებინათ მისთვის.

თავის პასუხში ექსპედიცია აცნობებდა რტიშჩევს, რომ ა. წ. 18 ივნისს მან მიიღო დადგენილება „ყველა მამული დარჩეს იმ უწყებებში, რომლებშიაც ისინი ამჟამად იმყოფებიან“.*) ამ მოსაზრებათა გამო ექსპედიციამ უარი თქვა ამ საქმის ხელმეორედ განხილვაზე.

მასალებიდან არა ჩანს, რომ რტიშჩევს პასუხი გაეცა ალექსანდრე ბაგრატიონისათვის და ეცნობებინა მისთვის აღმასრულებელი ექსპედიციის დასკვნა.

საქმე სადავო სოფლების კანონიერ მფლობელთა შესახებ გადაწყვეტილი არ ყოფილა მაშინაც კი, როცა ალექსანდრე ივანეს-ძე ბაგრატიონმა გენერალ რტიშჩევისათვის 1814 წლის 3 იანვარს გაგზავნილი მეორე თხოვნით წამოჭრა საკითხი პირადად მისი კუთვნილი სოფელ ხიდისთავის (გორის მაზრა) დაბრუნების შესახებ. ალექსანდრე ბაგრატიონი წერილში აღნიშნავდა, რომ სოფელი ხიდისთავი ეკუთვნოდა მას 1803 და 1804 წლებში, როცა იგი (ბაგრატიონი) გრუნადერთა კავკასიის პოლკის ბატალიონთან ერთად ქართლში იმყოფებოდა. საქართველოდან მისი წასვლის გამო სოფელ ხიდისთავის მმართველობა მან დაავალა აზნაურ გოგი თურმანიძესა და მის ძმას, რომლებიც 1812 წელს გარდაიცვალნენ ქართლში მძვინვარე გადამდები ავადმყოფობით. ძმების თურმანიძეების სიკვდილის გამო სოფელი ხიდისთავი, როგორც ბეითალმანი, გადავიდა სახაზინო უწყების განკარგულებაში**).

ჩანს, გენერალმა რტიშჩევმა 1814 წლის 12 იანვრის მიწერილობით***) წინადადება მისცა საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციას შეესწავლა ეს საქმე და თავისი აზრი ეცნობებინა მისთვის. ექსპედიციამ 1814 წლის 31 იანვარს გაცემულ პასუხში აცნობა გენერალ რტიშჩევს, რომ მან დაავალა გორის საერობო პოლიციის უფროსს გამოიკვლიოს, „ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა ხსენებული სოფელი ხიდისთავი მთხოვნელ ალექსანდრე ბაგრატიონს“ და საჭიროლიანია თუ არა მისი განცხადება იმის შესახებ, რომ ეს სოფელი „ბაგრატიონის რუსეთში ყოფნის გამო ძრიდობილი ჰქონდა აზნაურ გოგი თურმანიძეს და მის ძმას“ ****).

აღმასრულებელმა ექსპედიციამ, იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც მან მიიღო სახაზინო ექსპედიციისა და გორის საერობო პოლიციის უფროსისაგან, უარყოფითი დადგენილება გამოიტანა მთხოვნელის მიერ აღძრულ საკითხზე. თუმცა, ამავე დროს, ექსპედიცია არ სთვლიდა გამორიცხულად იმის შესაძლებლობას, რომ ალექსანდრე ბაგრატიონი მომავალში, სათანადო საბუთების წარმოდგენით, მოახერხებდა თავისი კანონიერი უფლებების დამტკიცებას სადავო სოფელზე.

---

*) ცსსა, ფონდი 8 (9), საქმე 236, ფურც. 19—20.

**) იქვე, ფურც. 26.

***) „საქმეში“ რტიშჩევის მიწერილობა არ აღმოჩნდა.

****) ცსსა. ფონდი 8 (9), საქმე 236, ფურც. 27.

დოკუმენტებს შორის არის თავად ალექსანდრე ბაგრატიონის თხოვნა, შეტანილი აღმასრულებელ ექსპედიციაში 1814 წლის 20 მარტს. თხოვნა ეხება იმავე საკითხს (სოფ. ხიდისთავს) მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში დამატებით ლაპარაკია აგრეთვე ბაგრატიონის ოდესღაც კუთვნილი ათი კომლი გლეხის შესახებ, რომლებიც 1814 წლისათვის დაფანტული ყოფილან საქართველოს სხვადასხვა სოფლებში.

ალექსანდრე ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ მამა მისმა, ივანე ბაგრატიონმა, აზნაურ თურმანიძეს ერთგვარი დამსახურებისათვის უბოძა ათი კომლი წედისელი გლეხი, რომლებიც „მაშინ ცხოვრობდნენ გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში, რათა ესარგებლა შემოსავლით, მაგრამ არამუდმივი ძფლობელობით" *). თურმანიძის სიკვდილის შემდეგ კი (1812 წ.) მის მმართველობაში მყოფი გლეხები „მმართველის უყოლობის გამო დაიფანტნენ სხვადასხვა სოფლებში და მიკუთნებულ იქნენ ხაზინაზე. თურმანიძეების შემდეგ დარჩენილი ქონება კი ინახება ხიდისთავის ნაცვალთან" **).

დაურთო რა თხოვნას ამ ათი კომლი გლეხის სია, ალექსანდრე ბაგრატიონი სთხოვდა ექსპედიციას განეხილა ეს საქმე და დაებრუნებინათ გლეხები მისთვის, თურმანიძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებასთან ერთად.

ალექსანდრე ბაგრატიონის თხოვნის მიღების შესახებ აღმასრულებელმა ექსპედიციამ 1814 წლის 23 მარტს აცნობა მთავარსარდალ რტიშჩევს სპეციალური წერილით, რომელშიც, სხვათაშორის, სთხოვდა მითითებას: ღირდა თუ არა ამ საკითხზე ხელახალი კვლევა-ძიების დაწყება, რამდენადაც ხიდისთავის ნამდვილი მფლობელის თაობაზე უკვე არსებობდა გადაწყვეტილება.

1814 წლის 28 მარტს მთავარსარდალმა ექსპედიციას შემდეგი პასუხი გასცა: „საჭიროა აღნიშნული ათი კომლი გლეხის და მათი მმართველის თურმანიძის შესახებ კვლევა-ძიების წარმოება".

ამასთანავე რტიშჩევი ავალდებულებდა ექსპედიციას, თავად ალექსანდრე ბაგრატიონისათვის ჩამოერთმია განმარტება იმის შესახებ, თუ რა საზღაურს მოითხოვდა იგი აღნიშნული სოფლების ნაცვლად, რომელთაგანაც, როგორც გამოირკვა, ზოგი ხაზინის მფლობელობაში ირიცხებოდა, ხოლო ზოგი კი კერძო პირთა ხელში იყო.

ბაგრატიონების მიერ დაკარგული სოფლების ღირებულების ანაზღაურების საკითხი პირველად მთავარმართებლის ზემოაღნიშნულ წერილში დაისვა. რტიშჩევის აზრით, შეუძლებელი იყო მამულების ჩამორთმევა იმ პირთათვის, რომლებიც ფლობდნენ ბაგრატიონების ყოფილ მამულებს ქართველი მეფეების სიგელების თანახმად. მისი აზრით, ამის ჩადენა, უწინარეს ყოვლისა, არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ მანიფესტის ერთერთ მუხლში ნათქვამი იყო: ყველანი უნდა დარჩნენ თავიანთი საკუთრებით ხელუხლებლადო.

თავადი ბაგრატიონი ექსპედიციისადმი მიმართვაში (იხ. საბუთი № 6) აღნიშნავდა, რომ მისი ყოფილი გლეხები ამჟამად (1814 წ.) ცხოვრობენ თბილისისა და გორის მაზრების სხვადასხვა სოფლებში. ამიტომ აღმასრულებელმა ექსპედიციამ მისწერა გორის მაზრის უფროსს და კომენდანტს პოდ-

*) იქვე. ფურცელი 42—43.

**) იქვე.

პოლკოვნიკ ლადინსკის და თბილისის ქალაქის პოლიციას შეეკრიბათ ამ საქმისათვის საჭირო ცნობები.

როცა ეს ცნობები მიიღო, აღმასრულებელმა ექსპედიციამ ასეთი დასკვნა გააკეთა: „აზნაური თურმანიძეები ნამდვილად ეკუთვნოდნენ ლეიბგვარდიის როტმისტრის თავად ალექსანდრე ბაგრატიონის წინაპრებს, ხოლო ძათ შემდეგ თვით ალექსანდრე ბაგრატიონს. თურმანიძეები სიკვდილის დღემდე არ გამოსულან ბაგრატიონების მფლობელობიდან და ქართლში, კავკასიის პოლკში, მთხოვნელის (ალექსანდრეს) სამსახურის დროს ემორჩილებოდნენ მას, როგორც მემამულეს. მაშასადამე, თუ გათვალისწინებული იქნება მთელი ეს მდგომარეობა, შეიძლება ყოველგვარი ეჭვის გარეშე დავასკვნათ, რომ გლეხები, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდა თავადი ბაგრატიონი, ნამდვილად ეკუთვნოდნენ ბაგრატიონების გვარეულობას, ხოლო სხვა შემთხვევაში კი თურმანიძეები თავისუფალი იქნებოდნენ ყოველგვარი მოვალეობისაგან თავად ბაგრატიონის წინაშე და მათ არ დასჭირდებოდათ ემსახურათ ბაგრატიონისათვის" *), როგორც ბატონისათვის.

მაშასადამე, ექსპედიციამ საკითხი გადაწყვიტა ბაგრატიონის სასარგებლოდ. სადავო გლეხების თურმანიძის კუთვნილებად, ხოლო ამ უკანასკნელის ბაგრატიონების გვარეულობის საკუთრებად აღიარებით, მტკიცდებოდა ალექსანდრეს უფლებები აღნიშნულ ათ კომლ გლეხზე. სწორედ ასეთი დასკვნა წარუდგინა ექსპედიციამ მთავარსარდალს 1816 წლის 2 ივნისს.

მაგრამ, როგორც ნათქვამი იყო, ბაგრატიონების მიერ მოთხოვნილი მამულის (ლაჯაბადანი, ყულარი, თელეთგორი, გორის ჯვარი, წედისი, ხიდისთავი და ბაღი გარეუბანი) ჩამორთმევას უკანასკნელი მეპატრონეებისაგან უკანონოდ თვლიდნენ. ასეთი ღონისძიების გამოყენება დაუშვებლად მიაჩნდათ განსაკუთრებით იმ სოფლებისა და გლეხების მიმართ, რომლებსაც საქართველოს რუსეთთან შეერთების დროისათვის ფლობდნენ არა ბაგრატიონები, არამედ სხვა თავადები.

შემდგომი კვლევა-ძიება გვიჩვენებს, რომ ალექსანდრე ბაგრატიონმა დაკარგული სოფლების მაგივრად საზღაურის სახით მოითხოვა ერთი სოფელი შინდისი, რომელიც გორის მაზრაში მდებარეობდა. 1804 წლის კამერალური აღწერით მასში ითვლებოდა: სახელმწიფო გლეხი — 139 კომლი, აქედან — 120 მამაკაცი და 81 ქალი; გარდა ამისა, მემამულეთა გლეხები — 39 კომლი, აქედან 127 მამაკაცი და 94 ქალი.

საზღაური, რომელსაც ალექსანდრე ბაგრატიონი მოითხოვდა, არ ეჩვენებოდა გენერალ რტიშჩევს დიდად, პირიქით, იგი მას სავსებით ზომიერად თვლიდა. მაგრამ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მის რწმუნებათა ფარგლებს სცილდებოდა; ამიტომ მან შეჰკრიბა ყველა საჭირო ცნობა ამ საქმის შესახებ, გააკეთა თავისი დასკვნა და სათანადო პირთა საშუალებით იმპერატორ ალექსანდრე I სთხოვა მიეცა შესაფერი მითითებანი.

რტიშჩევმა 1816 წლის 2 ივნისს ამ საქმეზე სპეციალური წერილით მიმართა ფინანსთა მინისტრს დიმიტრი ალექსანდრეს-ძე გურიევს (1810-1823). მინისტრისათვის გაგზავნილ მიმართვაში მთავარსარდალი დაწვრილებით ლაპარაკობდა ამ საქმის ისტორიაზე. მას საჭიროდ და სამართლიანად მიაჩნდა, რომ ბაგრატიონებს, თუ მამულები არ დაუბრუნდებოდათ, ყოველ შემთხვევაში, შესაფერი საზღაური მაინც მისცემოდათ. მიმართვის

*) იქვე, ფურც. 44—55.

დასასრულს რტიშჩევი წერდა: *) „რადგანაც ამის (მამულის. ი. ა.) დიდი რაწილი სხვა მემამულეთა მფლობელობაში იყო, მეფის სიგელების მიხედვით, წინადადება მივეცი საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციას ჩამოერთმია ამჟამად დარჩენილი უფროსი ძმის ლეიბგვარდიის როტმისტრ თავადი ალექსანდრე ბაგრატიონისათვის ახსნა-განმარტება, თუ რა საზღაური სურს მას მიიღოს (მოთხოვნილი) მამულის ნაცვლად, რაზედაც მან განაცხადა, რომ ყველა მოსაძებნი სოფლისა და ბაღის ნახევრის ნაცვლად მიეცეს მას საშთამომავლო მფლობელობაში ერთი სახაზინო სოფელი შინდისი, რომელიც გორის მაზრაში იმყოფება, და სადაც აღწერით აღმოჩნდა 39 კომლი მცხოვრები, აქედან მამრობითი სქესისა 138 და დედრობითისა — 113“ **).

სცნო რა ეს სურვილი თავად ალექსანდრე ბაგრატიონისა „ზომიერად იმ მამულთან შედარებით, რომელიც ჩამოართვეს ამ გვარეულობას საქართველოს მეფეებმა და გადასცეს სხვა მემამულეებს“, რტიშჩევი შუამდგომლობდა მისი დაკმაყოფილების შესახებ.

ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტმა რტიშჩევის მიმართვაზე უპასუხა 1816 წლის 24 აგვისტოს წერილით, რომელიც მიიღო (1816 წლის 14 ოქტომბერს) არა რტიშჩევმა, არამედ ამ დროისათვის საქართველოში მთავარსარდლად დანიშნულმა გენერალმა ალექსი პეტრეს-ძე ერმოლოვმა. მთავარსარდალს ევალებოდა ზუსტად გამოერკვია სოფელ შინდისის ღირებულება, რომელსაც მოითხოვდნენ ბაგრატიონები საზღაურის სახით. მასვე უნდა გამოერკვია მოსაძებნი სოფლების ღირებულება, შეეტოლებინა ის შინდისის ღირებულებასთან და შედეგები ეცნობებინა ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტისათვის. ამ დავალების შესასრულებლად ერმოლოვმა სათანადო ზომები მიიღო, რის შედეგადაც აღმასრულებელმა ექსპედიციამ უკვე 1817 წლის თებერვალში

---

*) იქვე, ფურც. 56—59.

**) ცნობები შინდისის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. რტიშჩევის წერილის თანახმად, მასში ითვლებოდა 39 კომლი, აქედან 138 მამაკაცი და 113 ქალი. აღმასრულებელი ექსპედიციის ცნობათა მიხედვით კი (ფურ. 44—45) შინდისში იყო: 139 კომლი სახელმწიფო გლეხი, აქედან 120 სული მამაკაცი და 81 ქალი. გარდა ამისა, იქ ითვლებოდა 39 კომლი მემამულეთა გლეხი, აქედან 127 მამაკაცი და 94 ქალი. იმის თქმა, თუ რომელი უფრო სწორია ამ ცნობათაგან, ძნელია. თუმცა აღმასრულებელი ექსპედიციის ცნობები ეჭვს ბადებენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ 139 კომლ სახელმწიფო გლეხთა შორის ყოფილიყო მხოლოდ 120 მამაკაცი. სხვანაირად რომ ვთქვათ, საშუალოდ 19 კომლი უმამაკაცოა (დანარჩენ ოჯახებზე მოდის თითო მამაკაცი). გარდა ამისა, ოჯახები გამოდიან მეტად მცირერიცხოვანი: თითეულ კომლზე საშუალოდ მოდის (ორივე სქესის) ერთნახევარ კაცზე ნაკლები. სხვა შემთხვევაში. მემამულეთა გლეხების მიმართ, იმავე ექსპედიციის ცნობათა მიხედვით, საქმე გვაქვს სრულიად საწინააღმდეგო სურათთან: 39 კომლში ითვლება — 127 მამაკაცი. ანუ საშუალოდ თითო ოჯახში — 3 მამაკაცზე მეტი. ორივე სქესის რაოდენობა კი — 5 კაცზე ოდნავ ნაკლებია. რტიშჩევისა და აღმასრულებელი ექსპედიციის ცნობებში ერთმანეთს ემთხვევა ერთადერთი ციფრი — 39. რტიშჩევის ცნობაში იგი გვიჩვენებს შინდისის კომლთა საერთო რაოდენობას, ექსპედიციის მასალებში კი აღნიშნავს მემამულეთა გლეხების კომლთა რიცხვს. შეიძლება რტიშჩევიც ამ უკანასკნელს იღებდა მხედველობაში?.

აცნობა მთავარსარდალს, რომ ის მამულები, რომლებსაც ბაგრატიონები ეძებენ, შეფასებულია 12 ათას მანეთად, მაშინ, როდესაც მარტო ერთი სოფელი შინდისი შეფასებულია 20.000 მანეთად. თანხა 12 ათასი მანეთი შედგენილი იყო მხოლოდ ოთხი სოფლის: ლაჯაბადანის, თელეთგორის, გორისჯვრისა და წედისის ღირებულებიდან. სხვა მამულები კი (ყულარი, ხიდისთავი, გარეუბნის ბაღი) შეფასების დროს მხედველობაში მიღებული არ ყოფილა. ამის ნამდვილი მიზეზები ჩვენთვის ცნობილი არ არის. ექსპედიციის ერთადერთი შენიშვნა ამასთან დაკავშირებით ეხება გარეუბანში არსებულ ბაღს, რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ იგი არ შეფასებულა, როგორც სახაზინო უწყებაში მყოფი *).

დოკუმენტებით ირკვევა, რომ მამულების ღირებულება, რომელიც უკვე 1817 წლის თებერვლისათვის გამოირკვა, არ იყო ცნობილი პეტერბურგში თვით 1820 წელსაც კი. ამიტომ ფინანსთა სამინისტრო თავის 1820 წლის 21 თებერვლის მიმართვაში ერმოლოვისადმი ლაპარაკობდა მამულების ღირებულების შესახებ მოთხოვნილ ცნობათა მიუღებლობაზე და სთხოვდა მას წარედგინა აღნიშნული მასალები საკუთარი დასკვნითურთ. **) ეს წინადადება გენერალმა ერმოლოვმა შეასრულა 1822 წლის დეკემბერში. ამ წელს მან ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტში გაგზავნა წერილი, რომლის შინაარსი ასეთია: ჯერ ერთი, ერმოლოვს შეუძლებლად მიაჩნდა 12 ათას მანეთად შეფასებული სოფლების (ლაჯაბადანის, თელეთგორის, გორისჯვრის და წედისის) მაგივრად, ბაგრატიონებისათვის მიეცათ შინდისი, შეფასებული 20 ათას მანეთად. მეორე, დიმიტრი ბაგრატიონის მაგალითი, რომელიც ხშირად მოჰყავდათ მთხოვნელებს, ერმოლოვს მეტად უსაფუძვლოდ ეჩვენებოდა, რადგან დიმიტრის საზღაური, მისი აზრით, მიეცა არა იმიტომ, რომ ეკუთვნოდა იგი, არამედ „მხოლოდ და მხოლოდ მისი ძმისწულის გენერალ თავად პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის დამსახურებისადმი პატივისცემის გამო". ***) მესამე, საერთოდ ძმების ბაგრატიონების მოთხოვნა, დაებრუნებინათ მათთვის დაკარგული მამულები, მთავარსარდალს უმართებულოდ მიაჩნდა იმიტომ, რომ მათ მამას, რომელმაც დატოვა საქართველო და გადასახლდა რუსეთში, თავის დროზე საკმაო საზღაური მიეცა. მეოთხე, დიმიტრი ბაგრატიონის მსგავსად, რომელმაც კომპენსაცია მიიღო ნახული ზარალისათვის პეტრე ივანეს-ძის დამსახურებისადმი პატივისცემის გამო, მთხოვნელებს ალექსანდრე ბაგრატიონსა და მის შვილებსაც უნდა მიეცეთ საზღაური მათი ძმისა და ბიძის იმავე დამსახურებისათვის. მეხუთე, საზღაურის სახით ერმოლოვი წინადადებას იძლეოდა მიეცათ მთხოვნელებისათვის წედისის ათი კომლი გლეხი, რომლებსაც ის ეძებდა და დამატებით 10 ათასი მანეთი ასიგნაციებით.

წერილის დასასრულს ერმოლოვი აღნიშნავდა, რომ ასეთი ზომა იქნებოდა „სამართლიანი დაფასება გენერალ პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის... დამსახურებისა" ****).

ფინანსთა მინისტრი დაეთანხმა ერმოლოვის წარდგინებას და დასვა ეს საკითხი მინისტრთა კომიტეტში. 1823 წლის 10 აპრილს ეს საკითხი გან-

*) იქვე, ფურც. 63.
**) იქვე, ფურც. 64.
***) იქვე, ფურც. 70 და უკ. გვ.
****) იქვე.

ხილულ იქნა მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე და გადაჭრილ იქნა გენერალ ერმოლოვის აზრის სრული შესაბამისობით. 1823 წლის 12 ივნისს იმავე კომიტეტის სხდომაზე გამოცხადებულ იქნა, რომ იმპერატორმა ალექსანდრე I მოიწონა ამ საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.*) ამის საფუძველზე ერმოლოვს დაევალა განკარგულება გაეცა იმის შესახებ, რომ დაებრუნებინათ ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი თავადი ალექსანდრე ბაგრატიონის შვილებისათვის ის 10 კომლი გლეხი, რომლებსაც ისინი ეძებდნენ, ხოლო სახელმწიფო ხაზინას დაევალა მიეცა მათთვის 10 ათასი მანეთი ასიგნაციებით **).

ზემოაღნიშნული წინადადების მიღებისთანავე ერმოლოვმა მიწერილობა გაუგზავნა აღმასრულებელ ექსპედიციას დაუყოვნებლივ მოეყვანა სისრულეში უმაღლესი ბრძანება და დაეკმაყოფილებინა ალექსანდრე ბაგრატიონის შვილები ***).

საზღაურთა ხასიათისა და ოდენობის განსაზღვრის დროს ერმოლოვმა მხედველობიდან გამოუშვა პეტრეს მეორე ძმა, გენერალ-მაიორი (შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი) რომან ივანეს-ძე ბაგრატიონი. „ჩემს მიერ წარმოდგენილ აზრში, — სწერდა ერმოლოვი იმპერატორს 1825 წლის ივნისის პატაკში, — მე მხედველობიდან გამოვუშვი დაღუპული ინფანტერიის გენერლის თავად ბაგრატიონის ძმა, გენერალ-მაიორი თავადი რომან ბაგრატიონი, რომელსაც თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის მოწყალებაზე თანაბარი უფლება ჰქონდა თავის ძმისწულებთან ერთად, და ამიტომ მას არ რგებია არაფერი არც იმ ათი კომლი გლეხიდან, რომლებიც მის ძმისწულებს ებოძათ, და არც იმ თანხიდან, რომელიც მათ ერთდროულად მიეცათ ****).

ერმოლოვი „ყოვლად უქვეშევრდომილესად“ ითხოვდა, რათა რომან ბაგრატიონისათვის გამოეყოთ ხუთი ათასი მანეთი (ასიგნაციებით) დამატებით იმ თანხისა, რაც უკვე მიეცა მის ძმისწულებს, ხოლო ნაცვლად ხუთი კომლი გლეხისა, რომელიც მას უნდა რგებოდა წილად, მიეცათ 1.000 მანეთი ასიგნაციებით, თითო გლეხის ოჯახისათვის, სულ ათი ათასი მანეთი *****).

მიღებული პასუხი დადებითი იყო: ნებადართულ იქნა მიეცათ რომან ბაგრატიონისათვის ერმოლოვის მიერ ნაშუამდგომლევი თანხა — 10 ათასი მანეთი ******).

კანკრინმა მითითება მისცა ასტრახანის სახაზინო პალატას რომან ბაგრატიონისათვის კუთვნილი თანხის გამოყოფის შესახებ.

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ცვლევა-ძიება ბაგრატიონების საქმეზე ამით დამთავრდა. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. რომან ბაგრატიონმა, რომელიც უკმაყოფილო იყო მისთვის მიცემული საზღაურით, 1827 წელს, ისარგებლა რა „მისი იმპერატორობით უდიდებულესობის“ მთავარი შტაბის უფროსის გრაფ დიბიჩის თბილისში ყოფნით, მიართვა მას

*) იქვე, ფურც. 72 და უკ. გვ.

**) იქვე, ფურც. 71 და უკ. გვ.

***) იქვე, ფურც. 73.

****) იქვე, ფურც. 79-82.

*****) იქვე.

******) იქვე, ფურც. 83.

ნიკოლოზ I სახელზე თხოვნა იმის შესახებ, რომ დაებრუნებინათ მისთვის ყველა ის მამული, რომელიც წინათ მის წინაპრებს ეკუთვნოდა. ამით მან ხელახლა აღძრა ის საქმე, რომლის კვლევა-ძიებაც, როგორც ჩვენ დავინახეთ, 14-15 წლის განმავლობაში წარმოებდა. თავის საჩივარში რომან ივანეს-ძე განსაკუთრებით ესხმოდა თავს გენერალ ერმოლოვს, რომლის დასკვნაც მამულების საკითხში, მისი აზრით, მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლიანობას და ბაგრატიონთა გვარეულობის მიმართ ცილისწამებას წარმოადგენდა.

გრაფმა დიბიჩმა რომან ბაგრატიონის საჩივარი 1827 წლის 25 აპრილს გადაუგზავნა გენერალ-ადიუტანტ პასკევიჩს, რომელმაც ამ დროისათვის ალექსი პეტრეს-ძე ერმოლოვი შესცვალა. პასკევიჩმა რომან ბაგრატიონის მიერ წამოყენებული საკითხის შესწავლა მიანდო თბილისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-ადიუტანტ სიპიაგინს, რომელმაც ამ საქმის კვლევა-ძიების შედეგები ჩამოაყალიბა მოხსენებით ბარათში, რომელიც მან მიართვა პასკევიჩს 1828 წლის 28 მარტს. *) მოხსენების პირველ ნაწილში სიპიაგინს მოჰყავს კვლევა-ძიების ისტორია ტორმასოვიდან ერმოლოვამდე, ხოლო ამის შემდეგ აკეთებს თავის დასკვნებს, რომლებშიც თანმიმდევრულად არჩევს ბაგრატიონის მიერ წამოწყებულ არგუმენტებს (იხ. დოკუმენტი № 14).

სიპიაგინის აზრით, თავად ბაგრატიონებს საერთოდ არავითარი უფლება არ ჰქონდათ ეთხოვათ თუნდაც რაიმე საზღაური. მაგრამ მთავრობამ, მიიღო რა მხედველობაში გენერალ პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის უდაო დამსახურებანი, არ დატოვა მისი ძმა და ნათესავები უწყალობოდ და წერა დართო მიეცათ მათთვის 20 ათასი მანეთი და 10 კომლი გლეხი, რომლებიც არსებითად მათ არ ეკუთვნოდათ. ამიტომ სიპიაგინი გამოთქვამდა თავის გაკვირვებასა და აღშფოთებასაც კი რომან ბაგრატიონის ესოდენ უტაქტიკო და ხარბიერი ქცევის გამო, რაც იმაში გამოიხატა, რომ ის უკმაყოფილო დარჩა მთავრობის მოწყალებით და განაგრძობდა „საზღაურის მიღების შემდგომ ცდას".

თბილისის გენერალ-გუბერნატორის ასეთ დასკვნას საფუძვლად ედო პასკევიჩის 1828 წლის 8 აპრილს არმიის მთავარი შტაბის უფროსის სახელზე გაგზავნილ წერილში პასკევიჩი სიპიაგინის დასკვნას „სრულიად სამართლიანად" სთვლიდა. პასკევიჩის აზრით, საკითხის სხვანაირად გადაჭრა „წარმოშობდა მრავალ ამგვარ არასწორ ძიებას იმ ქვეყანაში, სადაც რუსეთის იმპერიასთან მის შეერთებამდე ძლიერ ხშირად ართმევდნენ მამულებს და სხვები იძენდნენ მას მეფის ნიშა-სურვილით" **). ამით წინასწარ გადაწყდა რომან ბაგრატიონის თხოვნის ბედი.

ჩვენი დოკუმენტებიდან არა სჩანს დაკმაყოფილეს ბაგრატიონის თხოვნა. თუ უარი უთხრეს მას, რადგანაც კვლევა-ძიება უეცრივ შეწყვეტილი აღმოჩნდა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ რომან ბაგრატიონს თხოვნაზე უარი ეთქვა. ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობენ შემდეგი მოსაზრებანი: პირველი, თბილისის სამხედრო გუბერნატორის სიპიაგინის მკაცრი დასკვნა ამ საკითხზე: მეორე, უარყოფითი აზრი პასკევიჩისა. მესამე, ის ფაქტი, რომ დიმიტრი ბაგრატიონის ანალოგიური თხოვნა, რომელიც მან 1824 წელს შეიტანა, წარმატებით არ დამთავრებულა და სენატის 1830

*) იქვე. ფურც. 109—116.

**) იქვე. ფურც. 118—120.

წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით ურაყოფილ იქნა.*) კვლევა-ძიებისა და მიმოწერის უეცარი შეწყვეტის ფაქტიც უთუოდ ლაპარაკობს ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ.

ამნაირად, რომან ბაგრატიონი იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო წინათ მიღებული საზღაურით (10 ათასი მანეთის რაოდენობით) და შეეწყვიტა შემდგომი ძიება ამ საკითხზე.

ახლა კვლავ მივუბრუნდეთ ალექსანდრე ბაგრატიონის ოჯახს. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ალექსანდრე ბაგრატიონის ცოლმა დარიამ, რომელმაც გაიგო მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება მისი ბავშვებისათვის 10 კომლი გლეხის დაბრუნების შესახებ, 1827 წლის დასაწყისში თხოვნით მიმართა ერმოლოვს იმის შესახებ, რომ გაეგზავნათ მისთვის ასტრახანში (სადაც იგი ცხოვრობდა მაშინ თავის შვილებთან ერთად) ზემოალნიშნული გლეხებიდან მხოლოდ ორი გლეხი. **) ამ საკითხზე აღმასრულებელ ექსპედიციას, ერმოლოვის წინადადებით, ქონდა მსჯელობა და იმავე 1825 წელს მთხოვნელს უარი უთხრა.

ამით უკმაყოფილო დარია ბაგრატიონმა ახალი თხოვნით მიმართა მთავარსარდალ პასკევიჩს. თხოვნაში იგი აღწერდა თავის გაჭირვებულ მდგომარეობას და თხოულობდა გაეგზავნათ მისთვის მომსახურების გასაწევად გოგია შერვაშიძის მთელი ოჯახი, რომელიც ხუთი მამაკაცისა და ერთი ქალისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, იგი ითხოვდა გაეგზავნათ გრიგოლ სოლუაშვილის ოჯახიდან ერთი კაცი მისი პირადი ბრძანების მისაღებად დანარჩენი მამულის მართვის შესახებ ***). შედეგები არც ამ ხელმეორე მიმართვას მოჰყოლია.

ჩვენ ვილაპარაკეთ უკანასკნელ დოკუმენტზე, რომელიც შეეხება თავად ბაგრატიონების მიერ მამულების ძებნის საკითხს. არ არის ცნობილი, თუ როგორ სარგებლობდა ალექსანდრეს ოჯახი იმ გლეხებით, რომლებიც მას მიეცა, მაგრამ რომელთა ასტრახანში გაგზავნაზე მას უარი ეთქვა. რაც შეეხება ფულად საზღაურს, ალექსანდრეს ოჯახმა, როგორც ნათქვამი იყო, მიიღო 10 ათასი მანეთი (ასიგნაციებით). ამდენივე თანხა მიიღო პეტრეს მეორე ძმამაც, გენერალმა რომან ივანეს-ძე ბაგრატიონმა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მოწმობით, რომანისა და მისი ძმისწულების ცდა — დაებრუნებინათ ყველა დაკარგული მამული, რომელიც მათ წინაპრებს ეკუთვნოდა საქართველოში, უშედეგოდ დამთავრდა.

ასე დასრულდა თავად ბაგრატიონების მიერ მამულების ძიების საქმე, რომლის გარშემოც კვლევა-ძიება დაახლოებით თვრამეტი-ოცი წელიწადი გრძელდებოდა.

„საქმე თავად ბაგრატიონების მიერ საქართველოში მამულის ძებნის შესახებ" შეიცავს ზოგიერთ ცნობებს პეტრე ბაგრატიონისა და მისი მშობლების ოჯახის წევრთა ბიოგრაფიების დასაზუსტებლად. ჩვენი დოკუმენტები პეტრე ბაგრატიონს იცნობენ, როგორც ისაყ-ბეგის შვილიშვილს, პეტრეს ძმა — ალექსანდრე ერთ-ერთ თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავდა****), რომ სოფელი წედისი ნამდვილად ეკუთვნოდა „მის მამას, თავად

*) იქვე. ფურც. 157—159.

**) იქვე. ფურც. 125—132.

***) იქვე.

****) იქვე. ფურც. 44-55.

ივანე ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონს, მისი პაპის თავად ისაყ-ბეგისაგან, რომელსაც შემდეგ ალექსანდრე ეწოდა". სწორედ ამ ისაყ-ბეგის (ალექსანდრეს) სახელზე იქნა გაცემული მეფე თეიმურაზ II 1748 წლის 27 დეკემბერს სიგელი მისთვის სოფლების — ლაჯაბადანის, ყულარის, თელეთგორის, გორისჯვარისა და წედისის ბოძების შესახებ. ამავე სიგელით, რომლის ასლიც ალექსანდრე ივანეს-ძემ აღმასრულებელ ექსპედიციას წარუდგინა, აღნიშნული სოფლების მცხოვრებთ წინადადება ეძლეოდათ, „რომ ისინი, როგორც ბოძებულნი მისთვის (ისაყ-ბეგისათვის). დამორჩილებოდნენ მას". დოკუმენტში ნათქვამია, რომ ისაყ-ბეგს ამის შესახებ სიგელი აქვს სპარსეთის შაჰისაგანაც.

იმავე ისაყ-ბეგს თეიმურაზ II 1756 წლის 4 ივლისის სიგელით ებოძა ბაღი გარეუბანში *).

ერთადერთი ხსენება ჩვენს დოკუმენტებში ისაყ-ბეგის მამისა, მეფე იესესი, შეიცავს მითითებას, რომ „ამავე ბაღში (ბაღი გარეუბანში. ი. ა.), სადაც სასაფლაოა იყო... დასაფლავებულია მეფე იესე ბაგრატიონი" **).

ისაყ-ბეგის მამა — იესე — პეტრე ბაგრატიონის პაპის მამა — კარგად ცნობილი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. იგი ქართლის მეფე ვახტანგ VI ძმაა. თვით იესეც ქართლის მეფე იყო 1714 წლიდან 1716 წლამდე. ***) 1724 წელს, როდესაც ვახტანგ VI იძულებული იყო რუსეთში გადასახლებულიყო, იესე, რომელმაც მუსლიმანობა მიიღო, თურქეთის მხარდაჭერით კვლავ ქართლის მეფე გახდა 1725 წელს ****). მეორე ქორწინებით იესემ ცოლად შეირთო მეფე თეიმურაზ I ქალიშვილი — ელენა *****), რომლისაგანაც მას, ისაყ-ბეგს გარდა, ჰყავდა კიდევ სამი შვილი: თეიმურაზი (შემდგომში გამოჩენილი მეცნიერი და საეკლესიო მოღვაწე ანტონი I), აბდულ-ბეგი და უსეინ-ბეგი.

პ. ბაგრატიონის პაპა ჩვენს დოკუმენტებში ცნობილია ისაყ-ბეგისა და ალექსანდრეს სახელწოდებით. მართლაც, ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს, რომ ბატონიშვილმა ისაყ-ბეგმა, რომელიც მუსლიმანი იყო, ქრისტიანობა მიიღო მხოლოდ 1750 წელს და ეწოდა მას ალექსანდრეო. „ისაყ ბატონის შვილი, რომელი ესევდა სჯულსა მაჰმადისასა, აღიარა წმინდა სჯული ქრისტიანობისა და განიზარა მეფემან მორწმუნემან, ცხებულმან თეიმურაზ. განიყვანეს ქალაქისა გარედ, ჩასვეს ისაყ მტკვარსა შინა, განბანეს შვილითურთ წმინდისა ნათლისღებითა და აღბეჭდეს წმინდისა ბეჭდისა მირონისათა. აღქმულ ექმნეს თითონ მეფე ცხებული და უწოდეს სახელი ქრისტიანობისა ალექსანდრე და ძესა მისთა უწოდეს იოანე და სოლომონ" ******). იოანე პეტრე ბაგრატიონის მამაა.

როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ, ბაგრატიონების მიერ მამულების დაკარგვას ჩვენი დოკუმენტები უკავშირებენ მათს გადასახლებას რუსეთში. ამ მიზეზს ასახელებდნენ ყოველ შემთხვევაში თვითონ ბაგრატიონები (პეტრე,

*) იქვე, ფურც. 2 და უკ. გვ.

**) იქვე, ფურც. 7—16.

***) საქართველოს ისტორია, თბილისი, 1946 წ. ნაწ. I. გვ. 368. აკად. ს. ჯანაშიას რედ.

****) „ქართლის ცხოვრება". პეტერბურგი, 1854 წ. ტ. 2, გვ. 476; ალ. ორბელიანი, „დაღისტნის ლეკების გადმოსელა ახალციხეში და სხვა ამბები", 1914 წ., გვ. 13.

*****) თ. ლომოური, პეტრე ბაგრატიონი. თბილისი, 1942 წ. გვ. 9.

******) „ქართლის ცხოვრება", ტ. გვ. 428.

ალექსანდრე და რომანი) ყველა თავის თხოვნასა და ახსნა-განმარტებაში. მასალებში არ არის ნაჩვენები ამ გადასახლების ზუსტი თარიღი. სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ პეტრე ბაგრატიონის პირდაპირ წინაპართაგან რუსეთში პირველად გადასახლებულა მისი პაპა ისაყ-ბეგი, რომელსაც აგრეთვე ალექსანდრე ეწოდებოდა. ამასთან, ის წასულა მარტო, შვილები თან არ წაუყვანია. კერძოდ, პეტრეს მამა ივანე, როგორცა ჩანს, ჯერ კიდევ საქართველოში დარჩენილა. დოკუმენტში, რომელიც მოგვითხრობს ალექსანდრეს (პეტრეს ძმის) ერთ-ერთი ახსნა-განმარტების შინაარსს, არაერაზროვნად არის ნათქვამი, რომ ისაყ-ბეგმა „რუსეთს გამგზავრებისას გლეხები დატოვა თავისი შვილის (ივანეს) მფლობელობაშიო“ *). მაშასადამე, პაპა და მამა რუსეთს სხვადასხვა დროს გამგზავრებულან.

ჩვენი მასალები შეიცავს სამ მომენტს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ვიმსჯელოთ ისაყ-ბეგის რუსეთში გადასახლების თარიღზე. პირველი, მეფე თეიმურაზ II სიგელი, გაცემული 1757 წლის ივლისში, რომლის მიხედვითაც წინათ ისაყ-ბეგის კუთვნილი სოფელი ყულარი ებოძა თავად ორბელიანებს. თუ მართალი იყვნენ ბაგრატიონები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ მათმა წინაპრებმა დაკარგეს მამულები საქართველოს ფარგლებიდან მათ წასვლასთან დაკავშირებით, მაშინ ეს გადასახლება, ცხადია, უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1757 წელს; მეორე, ჩვენი დოკუმენტები ლაპარაკობენ იმავე მეფე თეიმურაზ II კიდევ ერთი სიგელის შესახებ, რომელიც გაცემულ იქნა 1756 წელს და შეიცავდა ბაღის მიცემას ისაყ-ბეგისათვის გარეუბანში. მაშასადამე, 1756 წელს ისაყ-ბეგი უნდა ჩავთვალოთ საქართველოს ფარგლებში მცხოვრებად, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ თეიმურაზს ჯილდოდ ებოძებინოს მამული იმ ადამიანისათვის, რომელმაც უკვე დატოვა თავისი სამშობლო. მესამე, აღმასრულებელი ექსპედიციის 1813 წლის 18 ივნისის წარდგინების თანახმად, გორის მაზრის ძველმა მცხოვრებლებმა ჩვენება მისცეს, რომ ალექსანდრე (ისაყ-ბეგი) გაემგზავრა **„в российские пределы в гор. Кизляр назад тому лет до 60.“** **) გამოთქმა „до“ გვაფრთხილებს ჩვენ, რომ ალექსანდრე ბაგრატიონის რუსეთში გადასვლიდან 1813 წლამდე გავიდა არა სრული 60 წელიწადი, სრამედ ოდნავ ნაკლები, რაც კარგად ეთანხმება საქმის საერთო ვითარებას. რომ 60 წელზე ნაკლებია, ეს ჩანს მეფე თეიმურაზ II 1756 წლის სიგელიდან, რომლის მიხედვითაც ალექსანდრე იმ დროს (1756 წ.) საქართველოში მცხოვრებად ჩანს. ციფრებად, რომლებიც უპასუხებენ გამოთქმას **„назад тому лет до 60“** არ შეიძლება იყოს 59, 58 და 57, რადგან მათი მიღებით, ჩვენ ისაყ-ბეგ(ალექსანდრე) ბაგრატიონის რუსეთში გადასახლების ქრონოლოგიური ჩარჩოები უნდა განვსაზღვროთ 1754-დან 1756 წლამდე გასული დროით. მაგრამ ისაყ-ბეგის საქართველოში ყოფნა ამ წლებში დადასტურებულია დოკუმენტალურად.

ამრიგად, პეტრე ბაგრატიონის პაპის რუსეთში გადასახლების პირველ სავარაუდო წელს წარმოადგენს 1757 წელი, რამდენადაც პირველი სიგელი, რომლითაც ჩამოერთვა ალექსანდრე ბაგრატიონს მამულები, 1757 წელს

*) ცსსა, ფონდი 8 (9), ფურც. 44—55.

**) ცსსა, ფონდი 8 (9), საქმე 236, ფ. 7—16.

გაიცა. სწორედ ეს წელი უნდა ჩაითვალოს მის მიერ საქართველოს ფარგლების დატოვების თარიღად. *)

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ჩანს, პეტრე ბაგრატიონის წინაპართა მიერ მამულების დაკარგვის დასაწყისი დაკავშირებულია არა მარტო მათ გადასახლებასთან რუსეთის ფარგლებში, არამედ მათ მოქმედებასთან თეიმურაზ II და ერეკლე II წინააღმდეგ. ამის შესახებ არსებობს ამ მოვლენათა თანამედროვე ისტორიკოსების დასტურიც. **) იმ ბრძოლაში, რომელიც ბატონა-ბეგმა წამოიწყო, მონაწილეობას იღებდა პეტრეს პაპა ისაყ-ბეგიც. ***) ალბათ, ეს გარემოება ჰქონდათ მხედველობაში თავად ორბელიანებს, როცა თავიანთ ახსნა-განმარტებებში აღნიშნავდნენ: „ბაგრატიონების გვარეულობამ დაკარგა აქ მამული არა იმ მიზეზებით, რომლებზედაც თავადი ბაგრატიონი მიუთითებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბოროტი განზრახვისათვის მეფე ერეკლეს წინააღმდეგ, რაც სინამდვილეში დაუმტკიცდა მათ და ისინი მაშინვე, დაისაჯნენ“ ****). თეიმურაზ II და ერეკლე II მოავრობა არ ენდობოდა ისაყ-ბეგს და, როდესაც მის (ისაყ-ბეგის) რუსეთში გადასახლებასთან დაკავშირებით თეიმურაზ II დამატებითი საბაბი იპოვა, შეუდგა ისაყ-ბეგის მატერიალურ შეზღუდვასა და მის მოლობელურ უფლებათა შელახვას.

ისაყ-ბეგი (ალექსანდრე) რუსეთში სამხედრო სამსახურში შესულა და პოდპოლკოვნიკის ხარისხამდე მიუღწევია.

არც პეტრეს მამის, ივანე ბაგრატიონის გადასახლების თარიღია ცნობილი. ჩვენი მასალების მოწმობა, რომელიც ამ საკითხს ეხება, მდგომარეობს არა ერთგზის მითითებაში, რომ ივანე ბაგრატიონი გადავიდა რუსეთში იმპერატორ ეკატერინე II მეფობის დროს (1762-1796). მაშასადამე, ამ გადასახლებას ადგილი ჰქონია არა უადრეს 1762 წლისა. მეორე, დადასტურებულ ფაქტს წარმოადგენს პეტრე ბაგრატიონის დაბადება ქალაქ ყიზლარში 1765 წელს. *****) ამნაირად, ივანე ალექსანდრესძე ბაგრატიონს შეეძლო საქართველოდან წასულიყო არა უადრეს 1762 წლისა და არა უგვიანეს 1765 წლისა.

ივანეს ახალ ადგილზე ცხოვრების შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ამის შესახებ რაიმეს არც ჩვენი დოკუმენტები ლაპარაკობენ. ერთადერთი მითითება ამ მხრივ მდგომარეობს იმის აღნიშვნაში, რომ ძმები ბაგრატიონები (პეტრე, ალექსანდრე და რომანი) „ბავშვობიდანვე იყვნენ გატაცებული მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურით, რომელსაც მათმა განსვენებულმა მშობელმაც მიუძღვნა თავისი თავი, დიდი იმპერატორის ეკატერინე ალექსის-ასულის მეფობის ჟამს და რუსეთში დაამთავრა თავისი სიცოცხლე“ ******). ივანე ბაგრატიონი, პოლკოვნიკის ხარისხის მქონე, გარდაცვლილა 1796 წელს *******).

---

*) დოც. თ. ლომოური, პეტრე ბაგრატიონი . თბილისი, 1942 წ., გვ. 8.

**) „ქართლის ცხოვრება“. ტ. 2. გვ. 400—403. 481.

***) დოც. თ. ლომოური, აღნიშნ. თხზ. გვ. 4.

****) ცსსა. ფონდი 8 (9), საქმე. 236, ფურ. 7—16.

*****) ბ. ესაძე: „Летопись Грузии“, выпуск I, გვ. 262.

******) ცსსა. ფონდი 8 (9). საქმე 236. ფ. 44—55.

*******) თ. ლომოური, პეტრე ბაგრატიონი, გვ. 8.

ზემოთ ჩვენ არა ერთხელ მოვიხსენიეთ ივანე ბაგრატიონის სამი შვილი: პეტრე, ალექსანდრე და რომანი.*) სამწუხაროდ ჩვენი დოკუმენტები ძალიან მცირე რაოდენობით შეიცავენ ცნობებს პეტრე ბაგრატიონის ნაკლებად შესწავლილი ბიოგრაფიის დასაზუსტებლად. სამაგიეროდ შედარებით ბევრ ცნობას შეიცავს „საქმე“ პეტრეს ძმის, ალექსანდრეს შესახებ. აქამდე ლაპარაკობდნენ პეტრეს ერთი ძმის, რომანის შესახებ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მას სხვა ძმა არ ყავდა;**) ასეთი აზრი, როგორც ეს „საქმის“ მასალებიდან ჩანს, სინამდვილეს არ შეესაბამება. პეტრეს მესამე ძმას ერქვა ალექსანდრე (ალბათ, თავისი პაპის ალექსანდრე-ისაყ-ბეგი იესეს-ძე ბაგრატიონის პატივსაცემად). ირკვევა, რომ იგი რომანზე უფროსი და პეტრეზე უმცროსი იყო. ალექსანდრეს მიერ ალმასრულებელ ექსპედიციაში 1813 წლის დეკემბერში შეტანილ თხოვნაში არის ერთი ადგილი, რომელიც ადასტურებს ზემოთ ნათქვამს: „მაგრამ რამდენადაც ეს (საქმე მამულების დაბრუნების შესახებ — ი. ა.) დღევანდლამდე გამოურკვეველი რჩება, **ჩემი ძმა კი** თავადი პეტრე ბაგრატიონი რუსეთში მტრის შემოჭრის დროს დაიჭრა ბრძოლაში და გარდაიცვალა, ხოლო **მეორე ჩვენზე უმცროსი ძმა** რომან ბაგრატიონი საზღვარგარეთ ფრანგების წინააღმდეგ მოქმედ არმიაში იმყოფება, მე მოვალე ვარ მივიღო ჩემს თავზე ზრუნვა, რათა მოვიძებნო სხვის მფლობელობაში მყოფი ჩვენი გვარეულობის კუთვნილი მამული და დავიბრუნოთ იგი“ ***). თვით პეტრე ივანეს-ძეც თავის მიმართვაში ტორმასოვისადმი (1811 წელს), ლაპარაკობდა „ძმების“ (და არა ძმის) შესახებ, რომელთა სახელითაც ის, როგორც უფროსი, გამოდიოდა ****).

ალექსანდრე რომ პეტრეს და რომანის ნამდვილად **ღვიძლი** ძმა იყო, ამის შესახებ არაერთხელ არის ნათქვამი ჩვენს განკარგულებაში მყოფ მასალებში *****).

---

*) ივანეს ყავდა ქალიშვილი ანაც, რომელიც ცოლად შეურთავს თავად გოლიცინს. თ. ლომოური, აღნიშნული თხზ. გვ. 7—8.

**) მაგალითად, წიგნის „პეტრე ბაგრატიონის“ ავტორი დოც. თ. ლომოური ლაპარაკობს (გვ. 8) ივანეს მარტო ორი შვილის — პეტრესა და რომანის შესახებ, მის მიერ წარმოდგენილ საგვარეულო ტაბულაში გამორჩენილია მესამე ძმა—ალექსანდრე.

***) ცსსა, ფონდი 8 (9), საქმე 236. ფ. 17—18. კაზაკთა პოლკის ლეიბ-გვარდიის როტმისტრის თავად ალექსანდრე ბაგრატიონის უმორჩილესი თხოვნა 1813 წ. 8 დეკემბრის თარიღით.

****) იქვე. ფ. 1—2 და უკ. გვ.

*****) ამ ცნობათა მიხედვით ბაგრატიონების საგვარეულო ტაბულა, წარმოდგენილი თ. ლომოურის მიერ, შევსებულ უნდა იქნას ალექსანდრე ბაგრატიონით, რომლის შემდეგ იგი ასეთ სახეს მიიღებს:

მეფე იესე

გიორგი	თეიმურაზი (ანტონ)	აბდულა-ბეგი (არჩილი)	ისაყ-ბეგი (ალექსანდრე)	უსეინ-ბეგი (კირილე?)
		იოანე	სოლომონი	ანა
	პეტრე	ალექსანდრე	რომანოზი (რომანი)	

ალექსანდრე ისევე, როგორც დანარჩენი მისი ძმები, რუსეთის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. 1813 და 1814 წლებში შეტანილ თხოვნებში ალექსანდრე თავის თავს უწოდებს ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის როტმისტრს. როტმისტრის ხარისხით არის იგი წოდებული 1816 წლით დათარიღებულ დოკუმენტებშიაც *). უფრო გვიანდელ მასალებში კი იგი მოხსენებულია პოლკოვნიკის ხარისხით. მაგალითად, ალექსანდრე ბაგრატიონის ქალიშვილი საქართველოს სამოქალაქო საქმეთა მმართველის ველიამინოვისადმი გაგზავნილ წერილში 1821 წლის 15 მარტს თავის მამას პოლკოვნიკს უწოდებდა **). როდის მიიღო მან ეს სამხედრო წოდება, ზუსტად ცნობილი არ არის. ასევე არ არის ცნობილი მისი სიკვდილის თარიღიც. ყოველ შემთხვევაში, 1821 წლის 15 მარტისათვის იგი უკვე გარდაცვლილი ჩანს ***).

სიკვდილის შემდეგ ალექსანდრეს დარჩა დიდი ოჯახი, რომელიც შედგებოდა მისი ცოლის, დარია ბორისის ასული ბაგრატიონის, **** ქალიშვილის ალექსანდრა ალექსადრეს ასულისა და ოთხი ვაჟისაგან. ***** ქალიშვილი უფროსი იყო თავის ძმებზე, რომელთაც იგი ერმოლოვისადმი 1822 წლის 10 აპრილს გაგზავნილ წერილში „მცირე წლოვანებს“ უწოდებდა. ******) ალექსანდრე ბაგრატიონის ოჯახის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ყველა შემთხვევაში ნაჩვენებია ქალაქი ასტრახანი. *******) ისინი თხოულობდნენ ამ ქალაქში გაეგზავნათ ორი გლეხი მათთვის მიცემული 10 კომლიდან, აგრეთვე გადაერიცხათ საზღაურის სახით დამტკიცებული 10 ათასი მანეთი. ********) ოჯახის მატერიალური მდგომარეობა სახარბიელო არ ყოფილა. ალექსანდრეს ქალიშვილი და მისი ცოლი მუდამ ჩიოდნენ განსაკუთრებით გაჭირვებულ მდგომარეობაზე.

ჩვენი მასალები ბევრ ცნობას შეიცავს პეტრეს გარეშე ბიძის — დიმიტრი ბაგრატიონის შესახებ. რაც შეეხება ცნობებს რომან ივანეს-ძე ბაგრატიონზე, მათში ახალი არაფერია.

---

*) ცსსა, ფონდი 8 (9), საქმე 236, ფ. 56—59.

**) იქვე, ფურც. 65—66.

***) იქვე.

****) მისი ქალიშვილობის გვარი ცნობილი არ არის

*****) იქვე, ფურც. 67—68.

******) იქვე.

*******) იქვე, ფურც. 125—132.

********) იქვე.

РЕЗЮМЕ

В 1811 году генерал от инфантерии Петр Иванович Багратиони обратился с письмом к главнокомандующему войсками в Грузии Тормасову. В этом письме говорилось: „Известно вашему превосходительству, что по древним грузинским законам имения подданных Грузии, которые вступали в службу держав иностранных, отдаваемо было во владение других людей, до возвращения их в свое отечество. На сем основании, имение, мне и братьям моим принадлежащее, по вступлении нашем на службу Российской империи перешло в руки других грузинских подданных. А как по присоединении Грузии к державе России означенное узаконение места уже не имеет..., то я, будучи старшим в фамилии князей Багратионовых, почитаю себе в обязанность для братьев моих употребить старание к отыскиванию принадлежащего роду нашему имения". Этим письмом открывается серия документов, собранных в „Деле об отыскивании князьями Багратионами имения в Грузии".[1]

В ходе следствия было поднято большое количество грамот, собрано множество свидетельских показаний, проливающих свет на некоторые вопросы истории Грузии. В частности, материалы, добытые следствием, помогают уточнить генеалогию Петра Багратиони, причины переселения родителей его в пределы России. Они же дают возможность иметь суждение об имущественном положении Петра Багратиони и его предков, об их владениях и т. д.

Следствие по этому делу, начатое в 1811 году Тормасовым, закончилось лишь в 1828 году при графе Паскевиче. За это время умер Петр Багратиони, умер и брат его Александр. Остались в живых только третий брат Роман и дети Александра.

Выясняется, что Багратиони отыскиваемых имений так и не получили. По постановлению Комитета министров, одобренному императором, дети Александра в качестве компенсанции получили 10 дымов крестьян и 10 тысяч рублей ассигнациями, а Роман Багратиони только деньги в том же размере (т. е. 10 тыс. руб.)

---

1. ЦГИА Груз. ССР, ф. 8 (б), д. 296, л. л. 1-160.

ДОКУМЕНТЫ*

(Приложение)

№ 1. Письмо П. И. Багратиона главнокомандующему войсками в Грузии А. П. Тормасову от 28 мая 1811 года.

Известно вашему высокопревосходительству, что по древним грузинским законам имение подданных Грузии, которые вступали в службу держав иностранных, отдаваемо было во владение других людей, до возвращения их в свое отечество.

На сем основании, имение, мне и братьям моим принадлежавшее, по вступлении нашем в службу Российской империи перешло в руки других грузинских подданных.

А как по присоединении Грузии к державе России означенное узаконение места уже не имеет, — чему и несколько примеров уже последовало, — то я, будучи старшим в фамилии князей Багратионовых, почитаю себе в обязанность для братьев моих употребить старание к отысканию принадлежащего роду нашему имения, коего описание вы, милостивый государь мой, усмотреть изволите из препровождаемого при сем свидетельства шести грузинских царевичей.

Посему и обращаюсь с покорнейшей просьбой к вашему высокопревосходительству, по главному управлению вашему Грузиею, об оказании законного содействия к отобранию имения нашего у тех, кои им ныне владеют, и к обращению его в род наш.

Будучи в полном уверении, что ваше высокопревосходительство в сем справедливом требовании моем явит возможное на основании законов пособничество, считаю приятным долгом предварительно изъяснить вашему высокопревосходительству выражение живейшей моей признательности и совершенного почтения, с коими честь имею быть...

ЦГИА Груз. ССР, фонд 8(9), дело 236, л.л. 1—2.

№ 2. Копия с журнала верховного грузинского правительства исполнительной экспедиции, 18 июня 1813 года учиненного.

1811 года августа 7 дня исправляющий должность правителя Грузии, г. генерал-майор Сталь, пред'явил исполнительной экспедиции в списке повеление господина генерала от кавалерии, главнокомандующего в Грузии и кавалера Тормасова, следующего содержания: Господин генерал от инфантерии, князь Петр Иванович Багратион, в отношении своем к нему, господину главнокомандующему, пишет, что как

* Документы публикуются без изменений. Исправлены лишь явные ошибки. Слова и знаки, проставленные в скобки, принадлежат нам. Места, по тем или иным причинам из'ятые нами, обозначены многоточием. Каждый случай пропуска в самом документе нами особо оговорен.

к статье С. Званба „Абхазская мифология и религиозные поверья и обряды между жителями Абхазии"

1. Правильно — Шасвы (შაშვგ).
2. აჟეიფშაა აბნა ინცაახუ.
3. Правильно — Джаджа (ჯაჯა). С. Званба выражается об этом божестве, как о существе мужского пола („Джаджы вознаградил"), что неверно, как это замечает и Г. Ф. Чурсин (Указ. рук., стр. 148).
4. Речь идет, очевидно, об общинной молитве, известной под названием ацуныхва (აცუნჭაა). Молитва совершалась, как правило, при указанных С. Званба обстоятельствах.
5. Абыста-гоми, мамалыга.
6. Ашвымкят (აშვმკათ).
7. Правильно — анцва рашва (ანცაა რაშაა).
8. Правильно — анцва дыукуа злыпха хаура (ანცაა დუუქუა ზლეფხა ჰაურა).
9. Правильно — ах дыу (აჰ დუ).
10. შაშვგ აბეჟნეხა.
11. Правильно — хах дыу (ჰაჰ დუ).
12. Бзыбский округ охватывал северо-западную часть Абхазии, от г. Сухуми (современ. — частично Сухумский район, Гудаутский и частично Гагрский).
13. Правильно Готануа (გოთანუა). По-абхазски называется, пишет Н. С. Джанашия, шарп-ныхва (შაარფ-ნეჭა) — утреннее моление, по мегрельское название (Готануа) „больше в обиходе". Ко времени издания работы Н. С. Джанашия „Религиозные верования абхазов" („Христианский восток", Петроград, т. IV, вып. I, 1915 г.) он сохранялся лишь „у некоторых родов". Обычай этот, видимо, древнего происхождения и, между прочим, интересен как факт духовного общения между абхазами и мегрелами и в далеком прошлом.
14. Правильно — Абжуйский округ, современ. Очамчирский район.
15. Современ. Галский район.
16. გუნჭაა.
17. Текст песни „Дзиоу" (а не „Дзвау") искажен очень сильно. Даже запятые проставлены так, что местами разделяют одно слово на две части; напр., ах ипа-აჰ ოფა (сын владыки или владетеля) записано: „ах, и па".

В исправленном виде текст, приводимый С. Званба, выглядит так: „Дзиоу, Дзиоу, дзари кваква, мыркылд апш, ах ипа (по другому варианту — ах ипха-აჰ ოფჰა — дочь владыки или владетеля) дзыша дакыит, дзы хучык". Но это лишь часть песни; вот ее продолжение: „Хучык азы дахзытиуам, дыук азыха дахтиуент" („ხუჩკ აზგ დაჰზეთიუამ, დეუკ აზგჰაა დაჰთიუეიტ"), т. е. „из-за малости не можем

отдать, за большую (при обилии) отдадим". Песня древнего происхождения и текст очень трудный, отдельные слова различными исследователями понимаются различно (см. Н. Я. Марр. О религиозных верóваниях абхазов. Сб. „О языке и истории абхазов", стр. 113—115; И. А. Джавахишвили. ქართველი ერის ისტორია, изд. 1913 г., т. 1, стр. 128; Н. С. Джанашия. Абхазский культ и быт. „Христианский восток", Петроград, 1917 г., т. V, вып. III, стр. 161—162; Г. Ф. Чурсин. Указ. рук., стр. 160—161), перевод С. Званба носит характер догадки.

18. Отдельный брачный домик, известный под названием амхара (ამჰარა).

* * *

Примечания, помещенные в тексте и обозначенные звездочками, принадлежат С. Званба.

გ. ძიძარია

სოლომონ ზვანბა

(ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ნარკვევი)

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

სოლომონ თემურყვას-ძე ზვანბას (1809-1855 წ.წ.) სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული აფხაზეთის ეთნოგრაფიის შესწავლის ისტორიასთან. პოდპოლკოვნიკი ს. ზვანბა რუსეთის არმიაში მსახურობდა და თავი გამოიჩინა ყირიმის ომის დროს; იგი დაიღუპა 1855 წლის 25 ოქტომბერს თურქეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში მდ. ენგურთან, სადაც ის ფრონტის უმნიშვნელოვანეს უბანს იცავდა. ს. ზვანბამ იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც მან მოსახლეობასთან უშუალო ურთიერთობის შედეგად შეკრიბა, თბილისის გაზეთ „კავკაზი"-ს ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატიები: „Зимние походы убыхов на Абхазию" (1852 წ.; რომელშიაც საინტერესო მასალაა მოცემული უბიხების სამხედრო წყობის შესახებ), „Обряд жертвоприношения святому победоносцу Георгию, совершаемый ежегодно абхазцами" (1852 წ.), „Поцелуй за занавесом" (1853 წ.; ლაპარაკია აფხაზების საქორწინო ჩვეულებებზე), „Абхазская мифология и религиозные поверья и обряды между жителями Абхазии" (1855 წ.).

ს. ზვანბას მცირე ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც კარგა ხანია ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახდა, ყურადღებას იპყრობს როგორც დიდი მეცნიერული ინტერესის შემცველი მასალა (რელიგიური ჩვეულების ზოგიერთი მოვლენა, აღწერილი ს. ზვანბას მიერ, კარგა ხანია დავიწყებულია). ამასთანავე მან (ს. ზვანბას მემკვიდრეობამ) საგრძნობი როლი ითამაშა აფხაზეთის ეთნოგრაფიასთან დაკავშირებული ლიტერატურის განვითარების საქმეში. ეს განსაკუთრებით ითქმის მის სტატიაზე „აფხაზური მითოლოგია", რომელიც თან ერთვის ამ ჩვენს ნარკვევს.

ჩვენ თანმიმდევრულად გავაღევნეთ თვალი სოლომონ ზვანბას მიერ შეგროვილ მასალების სხვა მკვლევართა მიერ გამოყენების ფაქტს და ყურადღება მივაქციეთ ამ მკვლევართა მიერ ს. ზვანბას შრომების ღირსებანაკლოვანებათა შეფასებას. ნარკვევში შეტანილია აგრეთვე ს. ზვანბას შესახებ ბიოგრაფიული ხასიათის ცნობები, რომლებიც ამოკრეფილია სხვადასხვა არქივებიდან და ლიტერატურული წყაროებიდან.

დ. ფიკლაური
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ჰაერიღის ტიპის ჰიდროკომპრესორის მუშაობის თეორიული საფუძვლები

1. საერთო ცნობები

შეკუმშულ ჰაერს ფართო გამოყენება აქვს სახალხო მეურნეობისა და წარმოება-მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

სამთო საქმიანობაში, გადასატან პნევმატიკურ იარაღების (პერფარატორების, ჩაქუჩების, ბურღების და სხვ.) მოქმედება შეკუმშული ჰაერით წარმოებს; წყალმომარაგებაში და ნავთობის საქმეში, წყლის ან ნავთობის ამოტუმბვა ხშირად შეკუმშული ჰაერის საშუალებით ხდება. რკინიგზასა და სააღმშენებლო საქმეში, აგრეთვე კომუნალურ მეურნეობაში სხვადასხვა სააღმშენებლო და საექსპლოატაციო პროცესების შესრულებისას ხშირად შეკუმშული ჰაერით სარგებლობენ.

ენერგეტიკული თვალსაზრისით შეკუმშულ ჰაერს შემდეგი დადებითი მხარეები აქვს: მაღალი წნევის ჰაერის რეზერვუარებში ან გადასატან ბალონებში შენახვის შესაძლებლობა; შეკუმშულ ჰაერის დრეკად ენერგიის სრული (მთლიანი) გამოყენება და მისი იოლი ტრანსპორტირება.

ამჟამად შეკუმშული ჰაერის მიღება მექანიკური ქმედების კომპრესორებით წარმოებს.

არსებობს კიდევ **ჰიდრავლიკური ქმედების** კომპრესორები, რომელთა კონსტრუქტიული გაფორმება მეტად მარტივია და მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტით ხასიათდებიან.


ჰიდრავლიკური კომპრესორის პრინციპიალური სქემა 1 ნახაზზეა წარმოდგენილი. კომპრესორი შემდეგ ელემენტებს შეიცავს: A საწნევო კამერას სათავე მოწყობილობით, B მუშა მილს, C სეპარატორს შეკუმშული ჰაერის მილით და D შახტს.

სათავე მოწყობილობა b ძაბრით — საწნევო აუზს წარმოადგენს.

ძაბრზე რამდენიმე (ორივე მხრიდან ღია) e მილაკებია დამაგრებული. ამ მილაკების ზემო ღია ნაწილი ატმოსფეროსთან შეხებაშია, ქვემო კი წყლით არის დაფარული. ძაბრი მუშა მილს უერთდება, ეს უკანასკნელი კი სეპარატორს. მუშა მილი და სეპარატორი შახტშია მოთავსებული, რომლის კედლები სათანადოდ მოპირკეთებულია და წყლისა და ყამირის წოლვაზეა გაანგარიშებული.

ჰიდრავლიკური კომპრესორი შემდეგნაირად მოქმედებს: წყლის ნაკადი მიმყვანი არხით საწნევო აუზში ისხმება, აქედან კი b ძაბრით B მუშა მილში გადადის. გადასვლის მომენტში, წყლის ჭავრილი e მილაკებთან უშუალო შეხებაშია, ამასთან ჰაერის ნაწილაკებსაც იტაცებს და ცალკეულ ბუშტების სახით, მუშა მილით სეპარატორში გადააქვს.

ამრიგად, მუშა მილში წარმოშობილი **წყალჰაერის ნარევი** სეპარატორში გადმოდის. სეპარატორში წყალჰაერის ნარევის ჰავრილის სიჩქარე მნიშვნელოვნად მცირდება, რაც ხელს უწყობს ჰაერის ბუშტების წყლის თავისუფალ ზედაპირის ზემოთ ამოტივტივებას. შეკუმშული ჰაერი სეპარატორის ზემო არეში გროვდება, საიდანაც a მილის საშუალებით მოხმარების ადგილზე გადაიტანება. წყლის ნაკადი კი სეპარატორის ფუძეზე დატანებულ ხვრელებით შახტში გადადის, აქედან გამყვან არხის საშუალებით გარეთ გამოდის.



ფიგ. 1. **ჰიდროკომპრესორის სქემა**

წყლის მოძრაობა hd ვარდნის სიმაღლით წარმოებს, წყალის ჩადინება კი hd + hs სიღრმემდე ხდება. შეკუმშული ჰაერის სეპარატორში hs ჩაღრმავებაზეა (სიღრმეზე) დამოკიდებული.

მიღებული შეკუმშული ჰაერის რაოდენობა კომპრესორში გამავალ წყლის ხარჯის რაოდენობაზეა დამოკიდებული.


ჰიდრავლიკური მეთოდით მიღებული შეკუმშული ჰაერის ტემპერატურა წყლის ტემპერატურას უახლოვდება, იგი ნაკლებათ ნესტიანია და თითქმის არ შეიცავს მტვერსა და მექანიკურ შენარევებს. (ლიტ. 1, გვ. 28 და ლიტ. 2, გვ. 23).

ჩვენს მიერ დამუშავებული ჰავრილის ტიპის ჰიდროკომპრესორი მარტივ დადგმულობას წარმოადგენს, რომელიც ტექნიკურად ადვილად შესასრულებელ და იოლად მოსაელელ მანქანას მიეკუთვნება. ამ ჰიდროკომპრესორის გამოყენება პრაქტიკულად დიდი მასშტაბითაა შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰიდროკომპრესორები მანქანების ისეთ კლასს მიეკუთვნება, რომლებიც შეკუმშულ ჰაერის მიღებისას, ნაკადის მექანიკურ ენერგიას უშუალოდ იყენებენ. ამ ტიპის მანქანების დანერგვა საბჭოთა კავშირის წარმოება-მრეწველობის ისეთ რაიონებშია შესაძლებელი, რომლებიც შეკუმშული ჰაერით მომარაგებას მოითხოვენ და ამასთან ეს რაიონები წყლის საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფილნი არიან. წყლის მექანიკური ენერგიის

უშუალოდ გამოყენება კი საშუალებას მოგვცემს ელექტრო-ენერგიის მნიშვნელოვან ეკონომიას, რომელიც შეიძლება გადაცემულ იქნეს საწარმოებში სხვა და სხვა სახის პროცესების შესასრულებლად.

ჩვენს მიერ კონსტრუირებული ჰიდრავლიკური კომპრესორი 2-რე ფიგურაზეა წარმოდგენილი. ჰიდროკომპრესორის მოდელი [1]) შემდეგ ძირითად ნაწილებისაგან შედგება: A მიმყვან (მკვებავ) მილისაგან I ონკანით, Б ჰაერილის ტუმბოსაგან (სათავე მოწყობილობა), B მუშა მილისაგან, რომელიც a მუხლის საშუალებით C სეპარატორს უერთდება. სეპარატორთან b მუხლათი o გამყვანი მილია შეერთებული, რომელზედაც III ონკანია დადგმული. სეპარატორის ზემო ნაწილთან ჰაერის მილია შეერთებული II ონკანით. ყველა შეერთებები მილტუჩებით არის შესრულებული. მიმყვან მილის კვეთია d=26 მმ, გამყვანის კი d=52 მმ, გადასვლა d=26 მმ-დან d=52 მმ კვეთზე (სეპარატორში შესავალთან) გადასაყვან r მუფთით არის განხორციელებული. ჰაერის მილის კვეთის d=13 მმ; დანარჩენ ნაწილების ზომები 2-ე ფიგურაზეა ნაჩვენები.



ფიგ. 2. ჰაერილის ტიპის ჰიდროკომპრესორის მოდელი

ჰაერილის ტიპის ჰიდროკომპრესორის მოქმედების პრინციპი ზემოთ აღწერილის ანალოგიურია: A მიმყვანი მილით წყალი წნევის ქვეშ Б ჰაერილის ტუმბოში გადის, სადაც წყლის ნაკადი დიდ სიჩქარეს ანვითარებს, ერთდროულად ჰაერის ნაწილაკებს იტაცებს და ვაკუმს წარმოშობს, რაც შემწოვი მილის საშუალებით ატმოსფეროს ჰაერის განუწყვეტელ შეწოვას გამოიწვევს. წარტაცებული ჰაერი (ბუშტების სახით) წყლის ჰაერილთან ერთად B მუშა მილით წყალჰაერის ნარევის სახით სეპარატორში გადადის. სადაც ამ ნარევის სიჩქარე მნიშვნელოვნად მცირდება. ამიტომ ჰაერის ბუშტები, ამწევი ძალების მოქმედებით, ამოტივტივებას იწყებენ და ამრიგად შეკუმშული ჰაერი სეპარატორის ზემო არეში გროვდება. წყლის ნაკადის გარეთ გამოდინება o გამყვან მილის საშუალებით ხდება, ხოლო შეკუმშულ ჰაერის გამოყენების ადგილზე მიწოდება e მილით ხორციელდება.

[1]) ჰაერილის ტიპის ჰიდროკომპრესორის მოდელი შესრულებულია ენერგეტიკულ ინსტიტუტის (საქ. მეცნ. აკად.) ჰიდროლაბორატორიაში.

წნევის გაზომვა დამახასიათებელ წერტილებში U მაგვარ და მიკრო-მანომეტრების საშუალებით ხდება [მანომეტრები №№ 1, 2, 3, 4 და 5] წყლის ხარჯისა და წნევის რეგულირება ონკანებით წარმოებს (I, II და III ონკანები).

ავტორს, წინამდებარე ნაშრომში, მიზნათ არ ჰქონდა დასახული ჰიდროკომპრესორების კონსტრუქციების აღწერა მოეცა. ავტორის მიზანდასახულებას შეადგენდა მკითხველი გასცნობოდა მის მიერ დამუშავებულ წყალჰაერის ნარევის ჰიდრავლიკურ თეორიასა და მარგი ქმედების კოეფიციენტის გამოსათვლელად მიღებულ თეორიულ ფორმულებს; აგრეთვე გასცნობოდა ამ თეორიული ფორმულების შემოწმების იმ შედეგებს, რომლებიც ჰიდროკომპრესორის მუშაობის ლაბორატორულ გამოკვლევის საფუძველზე იქნა მიღებული.

2. შეღულ მილში წყალჰაერის ნარევის წინაღობის ამოცანის გადაწყვეტის საერთო პრინციპი და მიღებული დაშვებები

წყალჰაერის ნარევის მოძრაობისას (ჰიდროკომპრესორში) წნევის სიდიდე P_n ატმოსფერულ — საბოლოო P_1 წნევამდე იცვლება. ამიტომ ჰაერის მოცულობითი ხარჯი და წყლის მოძრაობის სიჩქარე მუშა მილის ყოველ კვეთში ცვალებადი იქნება, მიუხედავად ამისა, წყლისა და ჰაერის წონითი ხარჯი მუშა მილის ყოველ კვეთში მუდმივი დარჩება.

რადგან წყლისა და ჰაერის მოცულობითი წონა ერთმანეთისაგან განსხვავებულია, ამიტომ ჰაერის ბუშტები ცდილობენ წყლის მოძრაობის საწინააღმდეგოთ ამოტივტივებას. ამასთან ბუშტების მოძრაობისას ქვევით, მათი ზომები და ამწევი ძალების გავლენა თანდათან მცირდება.

ბუშტების ტრანსპორტირებისათვის წყლის მოძრაობის სათანადო სიდიდის სიჩქარის შექმნაა საჭირო, ამასთან ნარევის იმ ზონაში, სადაც ბუშტები მეტად შეკუმშულია, იქ წყლის მოძრაობის სიჩქარე კლებულობს, ჰიდრავლიკური კარგვების სიდიდე მცირდება, პოტენციალური ენერგია კი იზრდება.

ბუშტის ზემო წახნაგზე წარმოშობილი ხალასი წნევა არ არის გაწონასწორებული ქვემო წახნაგზე მოსული წნევით: ამ წნევების სხვაობა კი ეთანადება ბუშტის ჰიდრავლიკურ წინაღობის სიდიდეს (ლიტ. 3, გვ. 146).

შეეცადნოთ შემდეგი გამარტივებანი: დავუშვათ, რომ ჰაერის ბუშტების მოძრაობისას, მათი სფერული ფორმა უცვლელია, ბუშტები მილის განსახილველ მცირე სიგრძის მონაკვეთში და განივკვეთში განაწილებულია თანაბრად და აქვთ ერთი და იგივე სიმსხო. ჰაერის მოცულობის წონას (წყლის მოცულობის წონასთან შედარებით) მხედველობაში არ ვიღებთ. აგრეთვე ბუშტების ზედაპირული ხახუნის ძალები, მათი სიმცირის გამო გამოტოვებულია. ჰაერის კუმშვის პროცესი იზოტერმიულია მიღებული. ნაგულისხმევია ერთგვაროვანი წყალჰაერის ნარევი, რომელიც დამყარებული სახით მოძრაობს. წყალჰაერის ნარევის მოძრაობის საერთო განტოლების შედგენისას ცოცხალ ძალების კანონს ვემყარებით.

3. წყალჰაერის ნარევის მოძრაობის განტოლება

განვიხილოთ წყალჰაერის ნარევის უწყვეტი მოძრაობა; მივიღოთ შემდეგი აღნიშნები: Q_w წყლის ხარჯია, q_n წყლის მიერ შეწოვილი (წარტაცებული) ატმოსფერული წნევის ჰაერის მოცულობა დროის ერთეულში, P_1 კი შეკუმშული ჰაერის საბოლოო წნევაა (სეპარატორში).


განვიხილოთ dl სიგრძის მუშა მილის ABCD მონაკვეთი F განიკვეთით (ფიგ. 3), რომელშიაც წყალჰაერის ნარევი დამყარებული სახით მოძრაობს. ამ მონაკვეთის მოცულობა

$$Q_c = Fdl \qquad (1)$$

წყლის $Q_{ж}$ და ჰაერის $q_в$ მოცულობებს შეიცავს.

დავუშვათ, რომ განსახილველ მონაკვეთის საწყის AB კვეთში წყლის წნევა და სიჩქარეა: P და V, ჰაერის ბუშტებს ამავე კვეთში (v-w) სიჩქარე აქვთ; აქ w ბუშტის ამწევი სიჩქარეა უსასრულოდ მცირე dt დროის განმავლობაში.

ბოლო DC კვეთში წყალის ნაკადი (P + dP) წნევას და (v-dv) სიჩქარეს ღებულობს, ხოლო ბუშტების სიჩქარე [(v-dv) — (w-dw)] სიდიდეს აღწევს.



ფიგ. 3. მუშა მილის მონაკვეთი

AB ზედაპირი dt დროის განმავლობაში vdt მანძილზე გადაადგილდება, CD კი (v-dv) dt მანძილზე.

ცნობილია, რომ დამყარებულ მოძრაობის რეჟიმის განხილვისას გარე და შიგა ძალების მუშაობის ჯამი, ცოცხალ ძალების (კინეტიკურ ენერგიის) მუშაობის ჯამის ტოლია.

გარე ძალების მუშაობა

ა) წნევის ძალების მუშაობის გამოსახულება

რადგან განსახილველ ABCD მონაკვეთში ჰაერის ბუშტები თანაბრად განაწილებულია, ამიტომ AB ზედაპირზე მოქმედი წნევა შემცირებულ იქნება $\frac{q_в}{Q_c}$ სიდიდეზე და სრული წნევა AB ზედაპირზე ტოლი იქნება: $\frac{q_c - FP}{Q_c}$

მუშაობა კი $\frac{q_в}{Q_c} FPvdt.$ (ა)

CD ზედაპირისათვის წნევის სიდიდეს და მუშაობის გამოსახულებას ანალოგიურადვე მივიღებთ: $-F(P+dP)\ q_в/Q_c$ და

$$-(P+dP)\frac{q_в}{Q_c}(v-dv)\ dt. \qquad (ბ)$$

(ა) და (ბ) გამოსახულებების შეჯამება წნევის ძალების მუშაობის სიდიდეს გვაძლევს, ე. ი.

$$q_в/Q_c\,FdPvdt - q_в/Q_c\,F(P+dP)\ (v-dv)\ dt = -\frac{q_в}{Q_c}FdPvdt. \qquad (2)$$

ბ) სიმძიმის ძალის მუშაობა

ზემოთ მიღებულ დაშვებების საფუძველზე, $q_в/Q_c$ შეფარდება განსახილველ ABCD მონაკვეთისათვის შეგვიძლია მუდმივად ვიგულისხმოთ. ამიტომ წყლის მოცულობა ამ მონაკვეთში ტოლია $Fdl\ q_в/Q_c$, მისი წონა კი $\gamma Fdl\ q_в/Q_c$ იქნება, მაშინ წყლის სიმძიმის ძალის მუშაობა დროის განმავლობაში ასე წარმოგვიდგება:

$$\gamma Fdl\,q_в/Q_c\,vdt = -\gamma q_в\,vdt. \qquad (3)$$

მიღებულ გამოსახულების წინ უარყოფითი ნიშანი გვიჩვენებს, რომ ნაკადის სიჩქარე შეუღი მიმართულებით კლებულობს.

შიგა ძალების მუშაობა

გ) წყლის წინაღობის ძალების მუშაობა

განსახილველ ABCD მონაკვეთში წყლის მოცულობა ასე დავწეროთ: $(1-\beta)Fdl$, სადაც $\beta = q_в/Q_c = \frac{C}{1+C}$ ჰაერის კონცენტრაციაა მილის მონაკვეთის Q_c მოცულობასთან შეფარდებით, C კი იგივე ჰაერის კონცენტრაციაა $Q_ж$ წყლის ხარჯთან შეფარდებული. წყლის წინაღობის ძალა შემდეგნაირად დაიწერება $\gamma\lambda\frac{V^2}{2gD}(1-\beta)\ Fdl$, მუშაობა კი

$$dA_1 = i_o\gamma(1-\beta)Fdlvdt, \qquad (3)$$

სადაც $i_o = \frac{\lambda V^2}{2gD}$ ჰიდრავლიკური ქანობია.

დ) წყლის ნაკადისა და ჰაერის ბუშტების ურთიერთქმედების ძალების მუშაობის გამოსახულება

ჰაერის ერთი ბუშტისა და წყლის ნაკადის ურთიერთქმედების ძალა ტოლია: $P' = -\frac{\gamma\pi r^2}{2g}C_ф\,W^2$. ამ ძალების მუშაობა dt დროის განმავლობაში, ბუშტის wdt ფართობითი გადაადგილებისას ასე დაიწერება;

$$dA_2 = WdtP' = -\frac{\gamma\pi r^2}{2g}C_ф W^3 dt. \qquad (გ)$$

მოცემულ ABCD მონაკვეთში წყლის ნაკადის მიერ შესრულებული სრული მუშაობა n რიცხვის ბუშტების ტრანსპორტირებისათვის ტოლი იქნება:

$$\Sigma dA_2 = n dA_2, \qquad (დ)$$

სადაც n ბუშტების რაოდენობაა განსახილველ ABCD მონაკვეთში.

ე) ჰაერის ბუშტების დრეკადი ძალების მუშაობა

თითოეულ ბუშტის გადაადგილება dt დროის განმავლობაში $dh=(v-w)dt$ მანძილზე ხდება, ამავე დროს ბუშტის შიგა წნევა $dp=\gamma dh=\gamma(v-w)dt$ — მდე იზრდება. ჰაერის იზოტერმული შეკუმშვისას, დრეკადი ძალების მუშაობა ერთი ბუშტისათვის ასე გამოისახება:

$$dA_3 = \frac{4}{3}\pi r^3 dP = \frac{4\pi r^3}{3}\gamma(v-w)dt \qquad (ე)$$

n ბუშტებისათვის შესრულებული სრული მუშაობა კი

$$\Sigma dA_3 = n dA_3. \qquad (ზ)$$

ამრიგად, შიგა ძალების მუშაობის საერთო ჯამი ნაკადის მიერ ჰაერის ბუშტების ტრანსპორტირებისათვის დახარჯული dt დროის განმავლობაში, ტოლი იქნება:

$$\Sigma dA = -[i_0\gamma(1-\beta)Fdlvdt + nd(A_2+A_3)dt]. \qquad (თ)$$

(თ) განტოლებაში ზემოთ მიღებული (გ) და (ე) განტოლებები შევიტანოთ და რადგან $n=\frac{q_в}{\frac{4}{3}\pi r^3}=\frac{\beta Fdl}{\frac{4}{3}\pi r^3}$, ვიპოვით:

$$\Sigma dA = -\left[i_0(1-\beta)v + \frac{3w^2C\psi}{8\,gr} + \beta(v-w)\right]\gamma Fdldt. \qquad (4)$$

ვ) ცოცხალ ძალების (კინეტიკურ ენერგიის) მუშაობის გამოსახულება

დამყარებული მოძრაობის დროს ABCD მონაკვეთის კინეტიკური ენერგია უცვლელია. იხარჯება ABB′A′ და იმატებს CDD′C′ კინეტიკური ენერგია. ABB′A′ ნაწილის კინეტიკური ენერგიის გამოსახულება იქნება:

$$\frac{\gamma}{g}Fvdt\,\frac{q_в}{Qc}\,\frac{V^2}{2}, \qquad (ი)$$

CDD′C′ ნაწილისათვის კი

$$-\frac{\gamma}{g}Fvdt\,\frac{q_в}{Qc}\,\frac{(v-dv)^2}{2}. \qquad (კ)$$

ამ ენერგიების სრული მუშაობა (ი) და (კ) გამოსახულებების სხვაობას წარმოადგენს, ე. ი. $\frac{\gamma}{g}Fvdt\,q_в/Qc\,\frac{V^2}{2}-\frac{\gamma}{g}Fvdt\,\frac{q_в}{Qc}\,\frac{(v-dv)^2}{2}=$

$$=\frac{\gamma}{g}Fvdt\,\frac{q_в}{Qc}vdv-\frac{\gamma}{g}Fvdv\,\frac{q_в}{Qc}\,\frac{d^2v}{2}. \qquad (ლ)$$

მიღებულ განტოლების გარდაქმნისა და მეორე რიგის უსასრულოდ მცირე წევრების მოცილების შემდეგ, მივიღებთ:

$$A_4=\frac{q_в}{Q_c}\gamma Fvdtvdv. \qquad (5)$$

ზ) მოძრაობის განტოლება

წყალჰაერის ნარევის მოძრაობის განტოლება გარე და შიგა ძალების მუშაობების კინეტიკურ ენერგიის მუშაობასთან გატოლების შედეგად მიიღება, ე. ი.

$$-\frac{q_в}{Q_c}FdPvdv-\gamma q_в\,vdt-\left[io\,(1-\beta)+\frac{3w^3\beta C_ф}{8gr}+\right.$$

$$\left.+\beta(v-w)\right]\gamma Fdldt=\gamma\,Fvdt\,\frac{q_в}{Q_c}vdv. \qquad (8)$$

დაწერილ განტოლების თითოეული წევრი $\gamma Fvdldt$ წევრზე გავყოთ; მივიღოთ მხედველობაში, რომ $Fdl=Q_c$ და $dl=dh$ ამასთან მოვახდინოთ სათანადო გარდაქმნები, მაშინ გვექნება:

$$-(1-\beta)\left[\frac{1}{dh}\left(\frac{dP}{\gamma}+\frac{vdv}{g}\right)+1\right]=\left[io\,(1-\beta)v+\frac{3w^3\beta C_ф}{8gr}+\beta(v-w)\right]\frac{1}{v}. \qquad (6)$$

ამ (6) განტოლების გადასაწყვეტათ საჭიროა ჰაერის ბუშტის ამწევი სიჩქარის (w) მნიშვნელობის განსაზღვრა.

თ) ჰაერის ბუშტის ამწევი სიჩქარის გამოსახულება

W ამწევი სიჩქარის მნიშვნელობა ბუშტის ამწევი ძალისა და ბუშტის (ფორმის) წინაღობის გატოლების პირობიდან განისაზღვრება:

ამწევი ძალა ტოლია:

$$P_{под}=\gamma\frac{4}{3}\pi r^3$$

ბუშტის წინაღობის ძალა კი

$$P'=C_ф\gamma\frac{\pi r^2}{2g}w^2.$$

ამ გამოსახულებების თანასწორობიდან

$$P_{под}=P'$$

W ამწევ სიჩქარის მნიშვნელობას ვპოულობთ:

$$W=\sqrt{\frac{8gr}{3\,C_ф}}. \qquad (7)$$

ი) მოძრაობის განტოლების გადაწყვეტა

ზემოთ მიღებულ (6) მოძრაობის განტოლებაში ამწევი სიჩქარის კვადრატის მნიშვნელობა $\left[w^2=\frac{8gr}{3\,C_ф}\right]$ შევიტანოთ და მოვახდინოთ მოქმედებები,

მაშინ განტოლება ასეთ სახეს მიიღებს


$$-\frac{d}{dh}\left[\frac{P}{\gamma}+h+\frac{v^2}{2g}\right]=i_0+\frac{\beta}{1-\beta}, \qquad (8)$$

სადაც $i_{ем}=i_0+\frac{\beta}{1-\beta}$ წყალჰაერის ნარევის ჰიდრავლიკური ქანობია.

დაწერილ (8) დიფერენციალურ განტოლების ინტეგრირება (1—1) და (2—2) ზღვრებში, ე. ი. H სიღრმეზე (ფიგ. 4) გვაძლევს:

$$E_1-E_2=\int_{(н)} i_{ем}\,dh, \qquad (б)$$

სადაც E_1 და E_2 1 და 2 კვეთებში კუთრი ენერგიის მნიშვნელობებია, ამიტომ ამ ენერგიების



ფიგ. 4. შვეული მუშა მილის მონაკვეთი

სხვაობა ჰიდრავლიკურ კარგვების მნიშვნელობას იძლევა

$$E_1-E_2=h_{пот}.$$

მ ა შ ა ს ა დ ა მ ე

$$h_{пот}=\int_{(н)}\left(i_0+\frac{\beta}{1-\beta}\right)dh,$$

ან $$\Sigma\, h_{пот}=i_0\,H+\int_{(н)}\frac{\beta}{1-\beta}\,dh, \qquad (9)$$

აქ $\beta=\frac{const}{Kh+ha}$ ჰაერის კონცენტრაციაა ნებისმიერად აღებულ h სიღრმეზე, სადაც $K<1$, დაუშვათ, რომ $K=1$, ე. ი. მხედველობიდან თუ გამოვტოვებთ ჰიდრავლიკურ კარგვებს, მაშინ $h=\frac{const}{\beta}-ha$, რომლის გადიფერენცია-

ლება გვაძლევს: $dh=-\frac{const}{\beta^2}d\beta$. შევიტანოთ dh მნიშვნელობა (9) ფორმულაში, გვექნება:

$$h_{пот}=i_0 H-const\int_{\beta_2}^{\beta_1}\frac{d\beta}{\beta(1-\beta)}=i_0 H-const\left(\ln\frac{1-\beta}{\beta}\right)_{\beta_2}^{\beta_1},$$

ან თუ ზღვრებს შეუცვლით, მაშინ

$$h_{пот}=i_0 H+const\int_{\beta_1}^{\beta_2}\frac{d\beta}{\beta(1-\beta)}=i_0 H+const\left(\ln\frac{1-\beta}{\beta}\right)_{\beta_1}^{\beta_2}, \qquad (ო)$$

სადაც $const=\beta_1 ha$. ჰაერის კონცენტრაცია H სიღრმეზე ტოლი იქნება: $\beta_2=\beta_1\frac{ha}{ha+H}$ აქ, β_1 ჰაერის კონცენტრაციაა ატმოსფერულ წნევისას, რა კი ატმოსფერულ წნევის დაყვანილი სიმაღლეა.

ამრიგად, გვექნება ჰიდრავლიკური კარგვების გამოსახულება შეუღ მუშა მილში:

$$h_{пот}=i_0 H+\beta_1 ha\ln\frac{(1-\beta_2)\beta_1}{(1-\beta_1)\beta_2}, \qquad (10)$$

როგორც მიღებულ ფორმულიდან ჩანს ჰაერის კონცენტრაციის გაზრდით ნაკადში, ჰიდრავლიკური კარგვები გაიზრდება, ამიტომ ჰიდრავლიკური მარგი ქმედების კოეფიციენტი შესაბამისად შემცირდება.

სინამდვილეში, როდესაც $K<1$, მაშინ $\beta=\beta_1\frac{ha}{Kh+ha}$, $\beta_2=\beta_1\frac{ha}{KH+ha}$, $h=\beta_1\frac{ha}{K\beta}-ha/K$, საიდანაც $dh=\beta_1\frac{ha}{K\beta_2}d\beta$, რომლის (9) ფორმულაში შეტანით და სათანადო გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ:

$$h_{пот}=i_0 H+\beta_1\frac{ha}{K}\ln\frac{(1-\beta_2)\beta_1}{(1-\beta_1)\beta_2}, \qquad (11)$$

სადაც $K=\frac{h_2}{H}$ შეუღი მილის ჰიდრავლიკური მარაგი ქმედების კოეფიციენტია, ამიტომ $KH=h_2$, აქ h_2 შეკუმშულ ჰაერის შესაბამისი პიეზომეტრული სიმაღლეა მუშა მილის H სიღრმეზე (ფიგ. 4). (11) ფორმულაში შემავალი შეფარდება $\frac{(1-\beta_2)\beta_1}{(1-\beta_1)\beta_2}$ ასეთნაირად გარდავქმნათ:

$$\frac{\beta_1}{\beta_2}=\frac{KH+ha}{ha};\quad \frac{(1-\beta_2)}{(1-\beta_1)}=\frac{KH+ha-\beta_1 ha}{(KH+ha)(1-\beta_1)}=\frac{\frac{KH}{1-\beta}+ha}{KH+ha}$$

ან

$$\Sigma\ \frac{(1-\beta_2)\beta_1}{(1-\beta_1)\beta_2}=\frac{\left(\frac{KH}{1-\beta_1}+ha\right)\left(KH+ha\right)}{(KH+ha)ha}=1+\frac{KH}{(1-\beta_1)ha}.$$

საბოლოოდ გვექნება:

$$h_{пот}=i_0 H+\beta_1\frac{ha}{K}\ln\left[1+\frac{KH}{(1-\beta_1)ha}\right]. \qquad (12)$$

შეუღლი მილისათვის ჰიდრავლიკური მარგი ქმედების კოეფიციენტის მნიშვნელობა ასე გამოითვლება $K=1-\frac{h_{пот}}{H}$, ან თუ (12) ფორმულიდან $h_{пот}$ კარგვების მნიშვნელობას შევიტანთ, მაშინ


$$K=1-\left\{i_0+\beta_1\frac{ha}{KH}\ln\left[1+\frac{KH}{(1-\beta_1)ha}\right]\right\}. \qquad (13)$$

4. ჭავრილის ტიპის ჰიდროკომპრესორისათვის $h_{пот}$ და K-ის თეორიული გამოსახულება

ზემოთ მიღებული (12) და (13) გამოსახულებები შეუღლ მილში მოძრავ ნაკადისათვის არის გამოყვანილი.

ჭავრილის ტიპის ჰიდროკომპრესორისათვის $h_{пот}$ და K-ის გამოსახულებების მისაღებათ განვიხილოთ ჰიდროკომპრესორის მოდელის სქემა (ფიგ. 5).

მუშა მილის სიმაღლე H_2 ასოთი აღვნიშნოთ h_2 კი სეპარატორში მყოფ შეკუმშულ ჰაერის წნევის დაყვანილი (პიეზომეტრული) სიმაღლე იყოს.



ფიგ. 5. ჰიდროკომპრესორის სქემა

ზემოთ მიღებული $K=\frac{h_2}{H}$ შეფარდება ჰიდროკომპრესორის სქემისათვის ჰიდრავლიკურ მარგი ქმედების კოეფიციენტის მნიშვნელობას არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ეს არის შეკუმშულ ჰაერის წნევის პიეზომეტრულ სიმაღლის (h_2) მუშა მილის სიმაღლესთან (H_2) შეფარდება. ამიტომ ეს შეფარდება K′ ასოთი აღვნიშნოთ, ე. ი.

$$K'=\frac{h_2}{H_2}=\frac{H-H_0}{H_2},$$

სადაც $H_0=H_1+h_1$ ნაკადის ვარდნის სიმაღლეა.

ჰიდროკომპრესორისათვის კარგვების გამოსახულება ასე დაიწერება:

$$h_{\text{пот}} = i'_0 L + i_{\text{ем}} H_2,$$

აქ $i'_0 L1$ და 4 წერტილებს შორის უბანზე (წყლისათვის) ჰიდრავლიკური კარგვებია (ადგილობრივი კარგვების ჩათვლით), ხოლო $i_{\text{ем}} H_2$ კი ჰიდრავლიკური კარგვებია ბუშტების კუმშვის ზონაში (ე. ი. H_2 სიმაღლის შეეულ მილში წყალჰაერის ნარევისათვის).

ვისარგებლოთ (12) და (13) ფორმულებით და დავწეროთ

$$h_{\text{пот}} = i'_0 L + \frac{H_2 \beta_1 ha}{h_2} \ln\left[1 + \frac{h_2}{(1-\beta_1)ha}\right]. \qquad (14)$$

საბოლოთ ჰიდრავლიკური მარგი ქმედების კოეფიციენტის თეორიული გამოსახულება ასე წარმოგვიდგება:

$$K = 1 - \frac{i'_0 L}{H_0} - \frac{H_0 \beta_1 ha}{H_0 h_2} \ln\left[1 + \frac{h_2}{(1-\beta_1)ha}\right]. \qquad (15)$$

5. ჰიდროკომპრესორის მუშაობისა და თეორიულ ფორმულების შემოწმების ზოგიერთი მონაცემები

აგებულ მოდელის დანადგარზე (ფიგ. 2) ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები (ჰაერილის ტიპის ჰიდროკომპრესორის მუშაობის ექსპერიმენტალურ გამოკვლევის მიზნით) წყლის მოძრაობის სხვადასხვა რეჟიმზე და წყლისა და ჰაერის სხვადასხვა ხარჯებზე.

ცდები წარმოებდა სამ სერიად: წყლის ხარჯების 0,45 ÷ 2,1 ლიტ/წმ გატარებით (ჰიდროკომპრესორში).

ცდების პირველი სერია ჰაერილის ტუმბოს კონუსის ზემო ზღვრულ მდებარეობისას წარმოებდა, ამასთან I, II და III ონკანების დაკეტვა სხვადასხვა კომბინაციებში ხდებოდა.

ცდების მეორე სერია კონუსის შუა მდებარებისას ხდებოდა, ონკანების დაკეტვა კი ცდების პირველი სერიის ანალოგიურად წარმოებდა.

ცდების მესამე სერია კონუსის ქვემო ზღვრულ მდებარეობისას ხდებოდა, ონკანების დაკეტვა კი იგივე პირობებში წარმოებდა, რაც პირველი და მეორე სერიის ცდებისათვის იყო მიღებული.

მარგი ქმედების კოეფიციენტის ექსპერიმენტალურად განსაზღვრისათვის შემდეგი ფორმულა (ლიტ. 5, გვ. 92) იყო გამოყენებული

$$K = \frac{10\ q_a\ Pa\ 2{,}303 \lg \frac{Pa + P_{\text{вак}}}{Pa}}{Q_ж\ H_0}, \qquad (16)$$

აქ q_a ატმოსფერულ წნევაზე დაყვანილ შეკუმშულ ჰაერის ხარჯია, $Q_ж$ წყლის ხარჯია, H_0 კი ნაკადის ვარდნის სიმაღლეა.

ექსპერიმენტალურ გაზომვების (წნევების, წყლისა და ჰაერის ხარჯებისა და სხვ.) გამოთვლების თანმიმდევრობა და გაანგარიშების შედეგები შესაბამის ცხრილებში იქნა მოცემული. ამ ცხრილების საფუძველზე შედგენილი იყო კრებითი ცხრილი, სადაც ნაჩვენებია დანადგარის ძირითად ჰიდრავლიკურ ელემენტების (ცდების სხვადასხვა სერიებისა და წყლის სხვადასხვა ხარჯე-


ბისათვის) და ექსპერიმენტალურად მიღებულ და თეორიულად განსაზღვრულ მარგი ქმედების კოეფიციენტის მნიშვნელობები.

ქვემოთ მოყვანილ 1-ლ ცხრილში მოცემულია პირველ და მეორე სერიის ცდებისათვის ექსპერიმენტალურად გამოთვლილი და თეორიული (15) ფორმულით განსაზღვრული მარგი ქმედების კოეფიციენტის მნიშვნელობები.

ამ ცხრილის საფუძველზე აგებულია $K=\varphi(\beta)$ დამოკიდებულების ექსპერიმენტალური (უწყვეტი ხაზები) და თეორიული (წყვეტილი ხაზები). მრუდეები (ფიგ. 6). მიღებულ მრუდეების თანახმად ვრწმუნდებით, რომ (15) თეორიული ფორმულა დამაკმაყოფილებლად ეთანხმება (ეთანადება) ექსპერიმენტებს წყალჰაერის ნარევის უწყვეტ—დაწყარებულ მოძრაობისას, ხოლო წყლის თავისუფალ ვარდნის შემთხვევაში, წყლის მცირე ხარჯისას, ეს თეორიული ფორმულა უვარგისი აღმოჩნდა.

შედარებამ დაგვანახვა, რომ განსხვავება საშუალოდ 10%-ს არ აღემატება [ცხრილი 1, სვეტი 20].

ეს განსხვავება ძირითადათ უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი ადგილობრივ კარგვების განსაზღვრის მეთოდი, როდესაც ადგილობრივი წინაღობები ერთმანეთის სიახლოვეზე არიან განლაგებულნი.



ფიგ. 6. $K=\varphi(\beta)$ დამოკიდებულების მრუდეები.

ბოლო წლების ცდების საფუძველზე დადგენილია, რომ ადგილობრივი კარგვების შეჯამება მაშინ არის დასაშვები, როდესაც თანმიმდევრობით განლაგებულ ადგილობრივ წინაღობებს შორის დატოვებული მანძილები ისეთი სიგრძისა, რომელიც ადგილობრივ წინაღობათა შორის უბნებზე ნაკადის სტაბილიზირებას უზრუნველყოფს. ამასთან ადგილობრივ წინაღობათა შორის დატოვებული უბნები სწორხაზოვანი უნდა იქნეს და მათი სიგრძე კი (20—50) D—ფარგლებში უნდა მერყეობდეს.

ასეთი პირობები ჩვენ მოდელის დანადგარზე არ იყო დაცული, ამიტომაც თეორიული (წყვეტილი) მრუდეები 6 ფიგურაზე ექსპერიმენტალურ მრუდეების ერთ მხარეზე მოთავსდენ.

$K=\gamma(\beta)$ დამოკიდებულებიდან ნათელია, რომ დანადგარის მოქმედების უდგარ რეჟიმის ზღვრებში (მცირე წყლის ხარჯისას), წყლის ხარჯის გაზრდით მარგი ქმედების კოეფიციენტის მნიშვნელობაც იზრდება. დანადგარის მუშაობის მდგრად რეჟიმის ზღვარი 1, 2 ლ/წმ ხარჯიდან იწყება და წყლის ხარჯის შემდგომი გაზრდით შეკუმშული ჰაერის წარმადობა იზრდება, მარგი ქმედების კოეფიციენტის მნიშვნელობა კი შესაბამისად მცირდება.

ამიტომ ჰიდროკომპრესორის გამოყენების ზღვრების დადგენას უნდა მიუდგეთ ან მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტის მიღების თვალსაზრისით და მცირე შეკუმშული ჰაერის წარმადობით, ან და შებრუნებით.

ზემოთ აღწერილიდან დავასკვნით, რომ მიღებული მრუდეები წარმოადგენენ ჰიდროკომპრესორის მუშა მახასიათებლებს; $\beta(K)$ დამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ მარგი ქმედების კოეფიციენტის უდიდესი მნიშვნელობა მოცემულ წყლის ხარჯისას შეესაბამება სრულიად განსაზღვრულ ოდენობის შეკუმშულ ჰაერის წარმადობას, რაც დანადგარის მუშაობის საანგარიშო რეჟიმს განსაზღვრავს. მაგალითად: პირველი სერიის ცდებისათვის კომპრესორის მუშაობის საანგარიშო რეჟიმი წყლის ხარჯის 1, 2 ლ/წმ შეესაბამება. ამ შემთხვევაში ჰიდროკომპრესორის მარგი ქმედების კოეფიციენტის მნიშვნელობა უდიდესია, ე. ი. $K=0,71$, ხოლო შეკუმშული ჰაერის წარმადობა $q_a = 0,28$ ლ/წმ, მეორე სერიის ცდებისათვის კი საანგარიშო რეჟიმს $Q_ж=1,2$ ლ/წმ წყლის ხარჯი, $K=0,80$ და $q_a = 0,287$ ლ/წმ წარმადობა შეესაბამება.

მოცემული მაგალითი გვიჩვენებს, რომ ცდების მეორე სერია ჰიდროკომპრესორის მუშაობის ხელსაყრელ რეჟიმს გვიხასიათებს, სახელდობრ: $Q_ж = 1,2$ ლ/წმ, $K=0,8$ და $q_a = 0,287$ ლ/წმ.

მოდელის დანადგარის ექსპერიმენტალურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ჰიდროკომპრესორიდან მიღებული შეკუმშული ჰაერის რაოდენობა სამუალოდ ჰიდროკომპრესორში გამავალ წყლის ხარჯის 35%-ს შეადგენს, ხოლო ჰაერის წნევა სეპარატორში $(0,6-0,7)\ H_0$-მდე იქნა მიღწეული, სადაც H_0 ნაკადის ეარდნის სიმაღლეა.

ადვილი წარმოსადგენია, რომ პრაქტიკული (საწარმოო) ნიმუშის ჰიდროკომპრესორის მუშაობისას, შეკუმშული ჰაერის წარმადობა, რამდენიმედ გაზრდილ იქნება, რადგან დანადგარის ჰიდრავლიკური პირობები ამ შემთხვევაში შედარებით ხელსაყრელი იქნება, ვიდრე მოდელის დანადგარში იყო.

ცხრილი 1.

ცდის №№	წყლის ხარჯი ლიტრ/წმ $Q_ж$	ტალღისმაწარმოებელი მოწყობილობის მახასიათებლები: ტალღის სიგრძე ხარჯის 1 ლიტრ/წმ-ზე H	ტალღის ტალღური ამპლიტუდა H0	ტალღის ამპლიტუდა ბაქანის წინ (ტალღისმაწარმოებელი მოწყობილობიდან 10 მეტრის მანძილზე) $(h_1=P_{ma6})$	ტალღის ტალღური ამპლიტუდა ბაქანის ფერდზე (ტალღისმაწარმოებელი მოწყობილობიდან 10 მეტრის მანძილზე) (h₂)	ტალღის ტალღური ამპლიტუდა ბაქანის ფერდზე (ტალღისმაწარმოებელი მოწყობილობიდან 11 მეტრის მანძილზე) (h₃)	ბაქანის ფერდის დახრილობა C	ტალღის სიგრძე (l6)	ტალღის ტალღური ამპლიტუდა ბაქანის წინ ხარჯის 1 ლიტრ/წმ-ზე h_1	ტალღის ტალღური ამპლიტუდა ბაქანის ფერდზე ხარჯის 1 ლიტრ/წმ-ზე $h_2=P_{ma6}/Q$	$1+\frac{2}{1-\frac{}{}}$ C	ბაქანის ფერდის დახრილობა ხარჯის 1 ლიტრ/წმ-ზე D	წყლის ხარჯის ფარდობითი სიდიდე $Y=\frac{Q_ж}{\omega}$	$\frac{h_1}{H_0}$	$\frac{h_2}{H_0}$	$\frac{h_3}{H_0}$	ტალღის ტალღური ამპლიტუდა ბაქანის წინ (15) ტალღისმაწარმოებელი მოწყობილობიდან 10 მეტრის მანძილზე	ტალღის ტალღური ამპლიტუდა ბაქანის ფერდზე (15) ტალღისმაწარმოებელი მოწყობილობიდან 11 მეტრის მანძილზე	ტალღის ტალღური ამპლიტუდა ბაქანის ფერდზე (15) ტალღისმაწარმოებელი მოწყობილობიდან 12 მეტრის მანძილზე	ტალღის სიგრძე ბაქანის წინ $\lambda_ბ$	ტალღის სიგრძე ბაქანის ფერდზე
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
	0,45	110.2	74.4	0.035	0.041	0.043	9.6	0.44	—	—	0.088	—	—	—	—	—	—	—	—	
	0,6	116.8	79.1	0.037	0.055	0.058	9.7	0.46	—	—	0.089	—	—	—	—	—	—	—	—	
1	1.0	185.5	133.6	0.050	0.173	0.206	20.6	0.74	—	—	0.170	—	—	—	—	—	—	—	—	
	1,25	205.5	154.6	0.050	0.271	0.28	23.2	0.71	1000	50	0.188	2.6	236	0.22	0.12	0.66	0.71	0.63	147.0	
	2,1	290.9	242.6	0.053	0.60	0.63	30.1	0.66	—	55	0.232	2.6	596	0.37	0.09	0.54	0.66	0.54	146.6	
	0,5	118.9	75.6	0.037	0.05	0.052	10.6	0.50	—	—	0.096	—	—	—	—	—	—	—	—	
	1,2	205.8	162.9	0.048	0.27	0.287	23.0	0.80	1000	43	0.187	2.6	227	0.20	0.105	0.70	0.80	0.70	142.0	
2	1.5	246.3	194.8	0.053	0.40	0.42	28.0	0.73	—	53	0.220	2.6	282	0.25	0.1	0.55	0.73	0.65	140.8	
	1.8	258.5	211.30	0.052	0.50	0.522	29.0	0.70	—	52	0.225	2.6	340	0.31	0.106	0.59	0.70	0.59	145.8	
	2,0	305.51	261.3	0.049	0.52	0.665	33.0	0.61	—	49	0.250	2.6	378	0.34	0.098	0.56	0.61	0.56	148.0	

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВАНИЯ РАБОТЫ ГИДРОКОМПРЕССОРА СТРУЙНОГО ТИПА

Р Е З Ю М Е

Настоящая работа касается актуального вопроса—разработки теории гидрокомпрессора, использующего непосредственно механическую энергию водотока.

Работа не преследует цели дать разработку конструкций гидрокомпрессора, а лишь знакомит с разработанной автором новой гидравлической теорией движения водовоздушной смеси и полученными теоретическими формулами для определения гидравлических потерь и КПД гидрокомпрессора.

Схема разработанной теории гидрокомпрессора представлена таким образом: рассматривается движение водовоздушной смеси в вертикальной трубе, при этом приняты следующие упрощения: пузырьки воздуха сохраняют при движении шаровую форму, распределены равномерно по сечению и в рассматриваемом отсеке имеют одинаковую крупность. Объемный вес воздуха по сравнению с объемным весом воды не принят во внимание. Кроме того, величина поверхностного трения пузырьков, ввиду их малой поверхности, также не принята во внимание по сравнению с сопротивлением формы. Процесс сжатия пузырьков принят изотермический.

Движение смеси рассматривается установившимся и вывод уравнения движения основан на законе живых сил.

Уравнение движения водовоздушной смеси для вертикальной трубы получено после приравнивания работ всех внешних сил и сил сопротивления работе кинетической энергии. Окончательно это дифференциальное уравнение представлено в таком виде:

$$-\frac{d}{dh}\left[\frac{P}{\gamma}+\frac{v^2}{2g}\right]=i_o+\frac{\beta}{1-\beta}$$

или

$$-\frac{dE}{dh}=i_{см},$$

где $i_{см}=i_o+\frac{\beta}{1-\beta}$ представляет гидравлический уклон смеси.

Интегрирование уравнения движения по высоте рабочей трубы (H), и после соответствующих преобразований, дает:

$$h_{пот}=i_o H+\beta_1\frac{haH}{h_2}\ln\left[1+\frac{h_2}{(1-\beta_1)ha}\right],$$

где $h_{пот}$ — гидравлические потери смеси в рабочей трубе (длиной H),

$i_o=\frac{\lambda v^2}{2gD}$ — градиент давления для воды.

$\beta_1=\frac{qa}{Q_c}$ концентрация воздуха при атмосферном давлении

q_a — содержание воздуха (атмосферным давлением) в рассматриваемом отсеке, Q_c — объем этого отсека, h_a — приведенная высота атмосферного давления, h_2 — приведенная высота давления сжатого воздуха на глубине H.

Выражение гидравлического КПД для вертикальной трубы имеет такой вид:

$$K=1-\frac{h_{пот}}{H},$$

где $h_{пот}$ — гидравлические потери смеси.

Для получения выражений $h_{пот}$ и K для гидрокомпрессора, рассмотрена схема модельной установки. При этом выражение потерь для гидрокомпрессора принято:

$$h_{пот}=i'_o L+i_{см}H_2,$$

здесь $i'_o L$ — гидравлические потери для воды, на всем протяжении гидроустановки, с учетом и местных потерь. $i_{см}H_2$ — потери для смеси в зоне сжатия воздушных пузырьков в вертикальной части трубы, т. е. по высоте H_2.

Пользуясь вышеприведенной формулой можно написать

$$h_{пот}=i'_o L+\frac{H_2\beta_1 ha}{h_2}\ln\left[1+\frac{h_2}{(1-\beta_1)ha}\right]$$

и окончательно теоретическое выражение гидравлического КПД для гидрокомпрессора будет:

$$K=1-\frac{i'_o L}{H_o}-\frac{H_2\beta_1 ha}{H_o h_2}\ln\left[1+\frac{h_2}{(1-\beta_1)ha}\right],$$

где H_o — перепад давления, а h_2 — приведенная высота давления сжатого воздуха в сепараторе.

В работе одновременно показаны результаты экспериментальной проверки полученных теоретических зависимостей, дающих убедительное доказательство правильности выведенных теоретических формул.

С этой целью на построенной модельной установке гидрокомпрессора были проведены эксперименты (с целью опытного исследования работы гидрокомпрессора струйного типа) на разных режимах и расходах воды и подачи сжатого воздуха.

Для экспериментального определения КПД установки была использована рабочая формула

$$K=\frac{10gaPa2{,}303\lg\dfrac{Pa+P_{изб}}{Pa}}{Q_ж\ H_o},$$

где q_a — подача сжатого воздуха, приведенная к атмосферному давлению, $Q_ж$ — расход воды, а H_o перепад давления.

Последовательность вычислений экспериментальных измерений (давлений, расходов воды и сжатого воздуха и др.) и результаты подсчетов приведены в соответствующих таблицах. На основании этих таблиц была составлена сводная таблица, с показанием основных гидравлических элементов установки и с сопоставлением значений КПД по экспериментам с расчетными, по теоретической формуле.

На основании этой таблицы построены экспериментальные (сплошные линии) и расчетные (пунктирные линии) кривые зависимости $K=\varphi(\beta)$ (фиг. 6). Как видно из этих кривых, теоретическая формула имеет хорошее согласие с экспериментами при устойчивом режиме (напорном движении), т. е. для сплошного потока воздушной смеси, а при свободном падении струи в рабочей трубе, как это имело место при малых расходах воды, эта формула не имела смысла. Сравнение показало, что расхождение в среднем не превышает 10%.

Как видно из кривых зависимости $K=\varphi(\beta)$, КПД установки, в границах неустойчивого режима, с увеличением расхода воды—возрастает. Граница устойчивой работы гидрокомпрессора является при расходе от 1,2 л/сек, далее с увеличением $Q_ж$ — производительность сжатого воздуха увеличивается, но КПД установки соответственно падает. Поэтому при установлении границ использования гидрокомпрессора нужно подходить или с точки зрения высокого КПД, но низкого $q_в$, или же наоборот.

Из вышеизложенного следует, что полученные кривые, в общем подтверждающие гидравлическую теорию, являются рабочими характеристиками гидроустановки; связь $\beta(K)$ показывает, что наибольшее значение КПД при заданном расходе воды соответствует совершенно определенной величине подачи, т. е. производительности сжатого воздуха, а следовательно определяет (нормальный) расчетный режим установки.

Экспериментальное исследование работы модельной установки гидрокомпрессора показало, что количество сжатого воздуха, полученное от гидрокомпрессора, в среднем составляет 35% от расхода воды, а давление воздуха достигает $(0.6 \div 0.7)\ H_0$, где H_0 — перепад давления.

Можно полагать, что при работе гидрокомпрессора производственного образца производительность сжатого воздуха его будет несколько повышена, поскольку гидравлические условия работы установки при этом должны быть более благоприятны, нежели в модельной установке.

ციტირებული ლიტერატურა

1. БАГДАСАРОВ В. Г. — Теория, расчет и практика эргазлифта. ГОНТИ, Нефтяная и Горнотопливная литература, Москва, 1947 г.
2. СУББОТИН И. М. — Получение сжатого воздуха гидравлическим путем. Горный журнал, том 1, февраль, 1911 год.
3. АЛЕКСАНДРОВ В. П.— Техническая гидромеханика, ОГИЗ, Гостехиздат, 1946 г.
4. ЦИКЛАУРИ Д. С. — Исследование работы гидравлического компрессора струйного типа (Диссертация) (АН Груз. ССР).

Некоторые замечания на работы проф. Г. П. Сердюченко по абазинскому языку:

1. „АБАЗИНСКАЯ ФОНЕТИКА".
2. „АБАЗИНСКИЕ МЕСТОИМЕНИЯ".
3. „АБАЗИНСКИЕ ТЕКСТЫ" (Ученые записки Ростовского на-Дону Государственного университета им. В. М. Молотова, т. V. Труды историко-филологического факультета, вып. 2. Кафедра общего и кавказского языкознания, Таганрог, 1947 г., стр. 55—101).

Названные работы проф. Г. П. Сердюченко вызывают ряд существенных замечаний. Начнем с третьей — „Абазинские тексты".

В работе „Абазинские тексты" абазинская речь представлена всего лишь одной сказкой („Кто из них самый большой?") в 33 **строки;** проф. Г. Сердюченко дает грамматический анализ этого текста.

В предисловии к „Абазинским текстам" автор пишет: „**При полном отсутствии в печати специальных лексикологических и грамматических исследований по абазинскому языку**[1], а также комментированных абазинских текстов, естественно, я испытывал в своей работе серьезнейшие затруднения. Возможно, что где-либо допустил и ошибки: **проторенных дорог в абазиноведении еще нет**[2]. Думаю, что впервые публикуемый в печати с русским подстрочником и языковым комментарием абазинский текст может представить интерес для любого лингвиста-кавказоведа" (стр. 93).

Текст (т. е. 33 строки) этой сказки, нужно отдать справедливость, записан безошибочно. Но дело в том, что текст сказки

---

1) Таким образом, проф. Г. Сердюченко, отрицая существование специальной литературы, тем самым отрицает и факт наличия монографии „Тапантский диалект" (над. Институтом языка им. акад. Н. Я. Марра АН Груз. ССР, 1944 г., стр. 236+144), содержащей детальный анализ фактов фонетики, морфологии и синтаксиса одного из абазинских диалектов в сопоставлении с данными других абхазско-абазинских диалектов (стр. 1—218); приложены тексты (как Кубино-Эльбурганского, так и Псыж-Красновосточного говоров) в 144 стр., правда, без перевода.

При этом исследование снабжено подробным резюме на русском языке (стр. 218—236). Работа была защищена в качестве докторской диссертации в конце 1945 г.

Забывчивость профессора Г. Сердюченко производит тем более странное впечатление, что эта работа имелась у него на руках (Она была переслана профессору Г. Сердюченко Институтом языка им. акад. Н. Я. Марра Акад. Наук Груз. ССР по его же просьбе).

2) Подчеркнуто везде нами. К. Л.

слово в слово повторяет сказку, опубликованную раньше в учебнике абазинского языка[1].

Проф. Г. П. Сердюченко сообщает: „Публикуемая здесь абазинская сказка, как и ряд других, записана мною со слов уроженца абазинского аула Эльбурган в Черкесии тов. Курчева Ахмета Бубовича... Записи абазинских сказок от тов. Курчева сделаны мною в 1939 г., когда под моим руководством и с его участием создавался учебник по фонетике и морфологии абазинского языка для 5—6-го классов средней школы. Заинтересовавшись всесторонним анализом грамматических фактов родного языка, тов. Курчев оказал нам существенную помощь в истолковании многих специфических явлений абазинской речи"... (стр. 91).

Посмотрим, как у проф. Г. П. Сердюченко толкуется этот коротенький текст.

1. В глагольной форме р х ч у н проф. Г. П. Сердюченко **р-** рассматривает, как „префикс побудительного залога" (стр. 96). В действительности же з д е с ь **р-** является не префиксом „побудительного залога", а показателем субъекта 3 л. мн. ч. (переходного глагола).

2. По проф. Г. П. Сердюченко, в форме анӏадза — „...корень глагола гӏайра—приходить сюда" (стр. 96).

В данном случае форма анӏадза образована от глагола г 1 а д з а р а — 'достигнуть (сюда)', а не от глагола г 1 а й р а ('приходить сюда').

3. Про й а ф у а у автора читаем: „причастие наст. вр. — тот, который её ест; её он едящий..." (стр. 97).

Неверно: йафуа тут не причастие, а д е е п р и ч а с т и е, и никак не может означать 'тот, к о т о р ы й её ест'!

4. Разбирая глагольную форму г 1 а к в у ш д з и щ а н, проф. Г. П. Сердюченко пишет: „будущее определен. вр., призрачного, по терминологии Услара, наклонения — сюда дождь как будто идет; г 1 а — глагольный префикс направления сюда, ква—дождь, дз—глагольный суффикс, указывающий завершенность, окончательность действия, ща — как бы, как будто — показатель форм призрачного наклонения"... (стр. 97).

Неверно. Показателем усларовского призрачного наклонения как в абхазской, так и абазинской речи выступает **шва** (ӡ), а не **ща** (ӡа).

На самом деле—„гӏаквушдзищан" — разбивается на **два слова:** первое слово глагол гӏаквра (ква гӏаквра), выражающий 'дождить' (действие дождя) и представленный здесь в инфинитной форме будущего времени: [ква] **гӏаквуш,** в дословном переводе означает— ...'что [дождь] будет дождить (идти)', а второе слово—**дзщара**—глагол, выражающий' думать, подумать'. Всё выражение „[ква] гӏак-

1) Расхождение имеется только в одном слове: в Учебнике—рщуан, а в „Текстах"—рчпун. См. профессор Г. П. Сердюченко, А. Б. Курчев, М. Малхозов, Д. И. Агирбов „Грамматика абазинского языка", часть первая. Фонетика и морфология... 1940 г., Черкесск (на абазинском языке), стр. 46—47.

вуш дзищан" значит: '**(что) дождь пойдет (дождить будет), подумав он** (мужч.)'..., а не—'сюда дождь **как будто** идет'![1] И здесь нет никакого **дз** — „суффикса, указывающего завершенность, окончательность действия", и никакого **ща**, „показателя форм призрачного наклонения".

5. Так же путается автор при разборе формы ахьпагlайуищтl: „3 л. ед. ч. буд. определен. вр.—откуда сюда (дождь) идёт; ахьпа—относительное наречие места—откуда; гlа-гlай (перед гласным)—глагольный префикс направления, уищтl—буд. определен. вр.[2] от уыра—делать, идти (о дожде)" (стр. 98).

И в этом случае перед нами совершенно другой глагол. В составе ахьпагlайуищтl имеем: а) обстоятельственно-относительную частицу места ахьпа—'откуда (куда)'; б) основу—**гlа-й** глагола гlа-й-ра (с корнем -й-, а не префиксом гlай, как это думает проф. Г. П. Сердюченко) —'идти сюда' (а не глагол уыра—'делать', как это кажется проф. Г. П. Сердюченко); в) суффикс **настоящего времени**—**у**(а) (с усечением гласного а); г) частицу—**ищтl** со значением: 'же, ну-ка, ну'!

Вся форма ахьпагlайуищтl означает: „[дождь] откуда-сюда-**идет-же**". Нет здесь никакого уыра ('делать'), нет никакого будущего времени. Аффиксом будущего времени является **уштl**, а здесь имеем **уищтl**.

6. Форму йызгlыцlымхуата проф. Г. П. Сердюченко характеризует так: „отрицательная форма деепричастия прош. несовершен. вр.—ту, которую он не вынул (сюда); з—относительное местоимение «который», корень цlых[3]—вынимать из чего-либо, отрицание-м-инфиксировано в корень[4]; та—обычный в абаз. яз. суффикс наречий и деепричастий; уа—суффикс причастий"... (стр. 98)[5].

йызгlыцlымхуата значит не 'ту, которую он не вынул (сюда)', а 'то (что-то) он (мужч.) не в состоянии вынуть' (букв. „вынимая, доставая"). Здесь префикс **з**[6]— выразитель возможности, а не относительного местоимения[6].

7. О глагольной форме дангlайх на стр. 98 у автора читаем: „3 л. ед. ч. соц.-акт., прежденрош. вр.—когда он пришел; гlай—корень глагола гlайра—приходить сюда".

„дангlайх" вовсе не „прежденрош. вр.", а самое обыкновенное прошедшее время с элементом **х**, выражающим категорию **'опять (назад)'**. Показатель же прежденрошедш. вр.—**хьа**, а не—**х** И форма дангlаих значит: 'он (чел.)-когда (тогда как)-сюда

---

